

არისტოფანე

კომედიები

ტომი I

აქარნელები

•

მხედრები

შესავალი წერილი, თარგმანი და კომენტარები

ლევან ბერძენიშვილისა

გამომცემლობა

«ლოგოს პრესი»

რედაქტორი და გამომცემელი
ლაშა ბერაია

© გამომცემლობა «ლოგოს პრესი», 2002
© ლევან ბერძენიშვილი, თარგმანი, 2002

ISBN 99928-924-3-9

გამომცემლობა «ლოგოს პრესი»
ილია ჭავჭავაძის გამზირი 15ა, 0179 თბილისი
ტელ. 915101, www.logospress.com.ge

ძველი ატიკური კომედია და არისტოფანე

ათენში, აკროპოლისის მთის ძირას, დიონისეს თეატრში, დღისით, ღია ცის ქვეშ, ჩვიდმეტი ათასი მაყურებლის წინაშე გამოდის კომედიის გუნდი და თავის თანამოქალაქეთა და ატიკის დედაქალაქის სტუმართა წინაშე (სტუმრები კი სპეციალურად ჩამოდიოდნენ თეატრალურ დღესასწაულებზე საბერძნეთის ქალაქებიდან და ხანდახან უცხოეთიდანაც კი) დაუნდობლად ესხმის თავს სახელმწიფოს

მეთაურს, უკანასკნელი სიტყვებით მოიხსენიებს დიდ-დიდი თანამდებობის პირებს, სასტიკად აკრიტიკებს სახელმწიფოს საგარეო თუ საშინაო პოლიტიკას, დასცინის ეროვნულ ტრადიციებს, აყალბებს სახელოვან ისტორიას და ა. შ. სახელმწიფოს მეთაურები და უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოღვაწეები კი იქვე, პირველ რიგში მსხდომნი, სიცილითა და ტაშით ეგებებიან თავიანთ საქვეყნო ლანძღვა-გინებასა და დამცირებას... ასეთია ის არნახული თავისუფლება, რომელიც არც მანამდე და არც მას შემდეგ არც ერთ სახელმწიფოს არ მიუნიჭებია რომელიმე ხელოვანისთვის და, მით უმეტეს, მთელი ჟანრისთვის.

*

ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარება იწყება ძვ. წ. ³ საუკუნის დასასრულს ე. წ. კლისთენეს რეფორმებით. კლისთენე ჩაუდგა სათავეში პისისტრატიდთა წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელმაც 510 წელს მოახერხა ათენიდან ტირან ჰიპიას გამევეება. კლისთენე გახდა სახელმწიფოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი; მან ოთხი საგვარეულო ფილეს ნაცვლად შექმნა ათი ტერიტორიული ფილე (თითოეული მათგანი სამი ნაწილისაგან შედგებოდა: ქალაქი, სანაპირო და შიდა მხარე); ამით წარჩინებულთა პოლიტიკური გავლენა მნიშვნელოვნად შემცირდა. ძირითადი ადმინისტრაციული, სამეურნეო, საკულტო და პოლიტიკური ერთეული გახდა დემი. კლისთენემ საგვარეულო ფილეს ოთხასკაციანი საბჭო შეცვალა ტერიტორიული ფილეს ხუთასკაციანი საბჭოთი, ანუ ბულეთი (თითოეული ფილედან ბულეში შედიოდა ორმოცდაათი წევრი ანუ ბულეკტი); ამავე პოლიტიკურმა მოღვაწემ შემოიღო ოსტრაკიზმი (კენჭისყრა «ოსტრაკონების» – თიხის ნატეხების მეშვეობით, მიმართული ტირანული გადატრიალებების წინააღმდეგ) და დააწესა ათისტრატეგოსის ინსტიტუტი (თითოეული ფილე ერთი წლით ირჩევდა სტრატეგოსს).

ათენელმა მიწათმოქმედებმა და ხელოსნებმა პირველად იგრძნეს თავი მშობელი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქეებად. სწორედ ამან მისცა საშუალება პატარა საბერძნეთს, ათენის მეთაურობით, დაემარცხებინა სპარსეთის უზარმაზარი ფლოტი და არმია, დაეცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ბრწყინვალე გამარჯვებებმა ბერძენ-სპარსელთა ომში ათენს მოუპოვა აურაცხელი მცირეაზიელი და სკვითი მონა, ჰეგემონის როლი ჯერ კიდევ ომის დროს შექმნილ დელოსის საზღვაო კავშირში. ათენის ნავსადგური პირეოსი გახდა ძველი სამყაროს მრავალი ქვეყნის სავაჭრო გზების გადაკვეთის ადგილი. მაღალგანვითარებული ხელოსნობის, ვაჭრობისა და ზღვაოსნობის ბაზაზე ოლიგარქიულ და დემოკრატიულ დაჯგუფებებს (პირველს ხელმძღვანელობდა არისტიდე და შემდგომში კიმონი, ხოლო მეორეს – თემისტოკლე და შემდგომში ეფიალტე და პერიკლე) შორის დაძაბულ ბრძოლაში საბოლოოდ გაიმარჯვა დემოკრატია, რო-

მელმაც უდიდეს აყვავებას მიაღწია პერიკლეს (ძვ. წ. 490-429 წწ., სტრატეგოსად იყო ზედიზედ თხუთმეტჯერ 444/443-429 წწ.) ეპოქაში.

პერიკლემ გააუქმა ქონებრივი ცენზი; მისი მეცადინეობით უზენაესი ძალაუფლება მიენიჭა სახალხო კრებას, რომელსაც ყველა სხვა ორგანო ემორჩილებოდა; სამართალს განაგებდა მოქალაქეთაგან კენჭისყრით არჩეული ჰელიასტიების (მსაჯულების) სასამართლო. წილისყრით (ნაცვლად ოდინდელი ხმის მიცემისა) ირჩეოდნენ დიდი თანამდებობის პირნიც, რომელთაც არჩევის შემდეგ ენიშნებოდათ ხელფასი სახელმწიფო ხაზინიდან, რაც უღარიბეს მოქალაქეებსაც კი აძლევდა რეალური პოლიტიკური მოღვაწეობის შესაძლებლობას. პერიკლეს რჩევით, თეატრალური დღესასწაულების დროს სახელმწიფო ყველაზე უფრო უპოვარ მოქალაქეებს ფულს აძლევდა, რათა მათაც შეძლებოდათ დასწრებოდნენ სანახაობას (ე. წ. თეორიკონი). გაზრდილი ხარჯები იფარებოდა ე. წ. ფოროსით, ანუ გადასახადით, რომელიც ათენის სახელმწიფო ხაზინაში შეჰქონდათ საზღვაო კავშირის (ათენის არქეს) წევრ მოკავშირე ქალაქებს; ამ დიდ თანხას ემატებოდა შემოსავალიც, რომელსაც ათენს აძლევდა ლავრიონის ვერცხლის საბადოები.

ათენის საზღვაო ძლიერებამ უდიდესი ნაყოფი გამოიღო: შავიზღვისპირეთიდან ჩამოჰქონდათ იაფი ხორბალი, რომელიც საერთოდ ცუდად მოდის ატიკის კირქვიან მიწაზე; საზღვაო ბაზრების ფართო ქსელი საშუალებას აძლევდა მიწათმოქმედს, გაეყიდა ატიკური მიწათმოქმედების ტრადიციული პროდუქტები: ზეთუნის ზეთი და ღვინო. ამგვარად, ბერძენ-სპარსელთა ომის შედეგებით ატიკელი მიწათმოქმედი კმაყოფილი იყო. სრულიად სხვაგვარად იყო განწყობილი მოსახლეობის სხვა ნაწილი. ვაჭართა და ხელოსანთა მეცადინეობა მიმართული იყო ათენის გაგლენის სფეროს გაზრდისა და ახალი ტერიტორიების მოპოვებისაკენ. ამ მისწრაფებებს მხარს უჭერდა მოსახლეობის შედარებით ღარიბი ფენაც – წვრილი ხელოსნები, მოიჯარენი და მეზღვაურები. ქალაქის დემოსის ამ მასას ეყრდნობოდა პოლიტიკურად ე. წ. რადიკალური დემოკრატია, რომელმაც დემაგოგ კლეონისა და ჰიპერბოლეს მეთაურობით ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალაუფლება პერიკლეს სიკვდილის შემდეგ.

დაპირისპირება მიწათმოქმედებსა და რადიკალებს შორის სრულად გამოვლინდა კლასიკური საბერძნეთის ისტორიაში უდიდესი – ე. წ. პელოპონესის ომის (ძვ. წ. 431-404 წწ.) მსვლელობაში. ომი გაჩაღდა დელოსის საზღვაო კავშირსა და პელოპონესის კავშირს შორის და შემდგომში მოიცვა მთელი საბერძნეთი, მათ შორის სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბერძნული პოლისებიც.

ბერძნულ პოლისთა ეკონომიკურმა ზრდამ და პოლისებს შორის ვაჭრობამ გაამწვავა ურთიერთობა უმსხვილეს სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს შორის. ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთის მხრივ, ათენი და, მეორეს მხრივ, კორინთო და მეგარა. ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა აღმოსავლეთისა (იტალია, სიცილია) და ჩრდილო-აღმოსავლეთის (მაკედონია, თრაკია, შავიზღვისპირეთი) ბაზრებისათვის; ამას დაერთო პოლიტიკური მეტოქეობა სპარტასა და ათენს შორის საბერძნეთში

ჰეგემონობისათვის, რასაც ამწვავებდა განსხვავება ამ პოლისთა სოციალურ სტრუქტურაში, რის გამოც ათენი მხარს უჭერდა დემოკრატიულ, ხოლო სპარტა – ოლიგარქიულ დაჯგუფებებს ბერძნულ პოლისებში.

ომს საბაზად დაედო სამი კონფლიქტი, დაკავშირებული კერკირას, პოტიდეასა და მეგარასთან. კერკირა ცდილობდა თავისი მეტროპოლიის კორინთოსაგან განთავისუფლებას. კორინთო-კერკირას კონფლიქტში 433 წ. ათენი ამ უკანასკნელს დაეხმარა და კიდევ უფრო გაიმწვავა ურთიერთობა კორინთოსთან. თავის მხრივ, 432 წელს კორინთომ სამხედრო დახმარება აღმოუჩინა პოტიდეას, რომელიც დელოსის კავშირში შედიოდა და ათენისაგან თავის დახსნას ცდილობდა. ამავე წელს ათენმა თავისი ნავსადგურები ჩაუკეტა მეგარას და ვაჭრობა შეუფერხა. კორინთომ და მეგარამ დასახმარებლად სპარტას მიმართეს, ხოლო სპარტამ არარეალური მოთხოვნები წაუყენა ათენს, რომელმაც უარყო ისინი. ვითარება უაღრესად დაიძაბა.

სამხედრო მოქმედება დაიწყო თებემ, რომელიც 431 წლის აპრილში თავს დაესხა ათენის მოკავშირე ქალაქ პლატეას. ივნისის შუაგულში პელოპონესელები ა რ ქ ი - დ ა მ ე ს მეთაურობით თავს დაესხნენ ატიკას, რომლის მოსახლეობამაც ათენს შეაფარა თავი. შემოსევა განმეორდა შემდგომ წელსაც; ამას დაერთო შავი ჭირის ეპიდემია ათენში (430-429 წწ.), რომელმაც იმსხვერპლა ბევრი მოქალაქის, მათ შორის პერიკლეს, სიცოცხლე. ათენში გამწვავდა ბრძოლა ზომიერ და რადიკალურ დაჯგუფებებს შორის. ამ უკანასკნელთა პოლიტიკური გამარჯვების შედეგად ათენელებმა აქტიური საბრძოლო მოქმედება დაიწყეს პელოპონესელთა ტერიტორიაზე: ათენის ფლოტმა 425 წელს დაიპყრო პილოსი და კუნძულ სფაქტერიაზე ტყვედ ჩაიგდო 120 წარჩინებული სპარტელი. ამის შემდეგ საომარ მოქმედებათა თეატრმა ქალკიდიკაში გადაინაცვლა, სადაც სპარტელებმა რიგ წარმატებებს მიაღწიეს ბ რ ა ს ი დ ა ს ი ს მეთაურობით. 422 წლის ოქტომბერში ამფიპოლისთან ბრძოლაში დაიღუპნენ ბრასიდასიც და კლეონიც; 421 წელს დაიდო ე. წ. ნ ი კ ი ა ს ზ ა ვ ი 50 წლის ვადითა და სტატუს კვოს შენარჩუნების პირობით. მიუხედავად ამისა, უკმაყოფილება იზრდებოდა როგორც ათენის, ისე სპარტის მოკავშირეთა წრეებში. ათენში ა ლ კ ი ბ ი ა დ ე ს მეთაურობით საომრად განწყობილმა დაჯგუფებამ გამარჯვა. მისი ინიციატივით შეიქმნა პელოპონესის პოლისთა ახალი კოალიცია (არგოსი, მანტინეა და ელეა), რომელმაც ათენის მხარდაჭერითა და წაქეზებით შეუტია ლაკედემონს, მაგრამ დამარცხდა მანტინეასთან 418 წლის აგვისტოში. 415 წლის გაზაფხულზე, მიუხედავად მხედართმთავარ ნიკიას წინააღმდეგობისა, ათენმა მოაწყო სიცილიის ექსპედიცია სირაკუზის წინააღმდეგ; ექსპედიცია ათენელთა სასტიკი დამარცხებით დასრულდა 413 წლის სექტემბერში.

სიცილიის ექსპედიციის დასაწყისში ათენელებმა მკრეხელობაში დასდეს ბრალი ალკიბიადეს და იგი სპარტაში გაიქცა. სწორედ მისი რჩევით, 413 წ. სპარტელებმა დაიპყრეს ატიკის ქალაქი დეკელეა და დაიწყეს განუწყვეტელი სამხედრო მოქმედება ატიკის ტერიტორიაზე. 411 წ. ათენელმა ოლიგარქებმა სახელმწიფო გადატ-

რიალება მოაწყვეს და ე. წ. «ოთხასთა ბატონობა» დაამყარეს; ახალი ხელისუფლება მალე დამარცხდა და კვლავ ათენში დაბრუნებულმა ალკიბიადემ ათენის ფლოტს დიდი გამარჯვებები მოუპოვა იონიაში (411-408 წწ.). 406 წ. ათენელებმა კიდევ ერთხელ დაამარცხეს პელოპონესელები არგინუსის კუნძულებთან, მაგრამ უკვე შემდეგ წელს სპარტელმა ლისანდრემ, რომელმაც სპარსეთის დახმარებით აღადგინა ფლოტი, დაამარცხა ათენელები ეგოსპოტამესა და ჰელესპონტთან. 404 წლის აპრილში ათენი საბოლოოდ დანებდა მტერს. გამარჯვებულები დაუნდობლები იყვნენ; მათ მოითხოვეს: დელოსის კავშირის დაშლა; ათენის სამხედრო ფლოტის გადაცემა სპარტელებისათვის; ე. წ. «გრძელი გალავნისა» და პირეუსის კავშირში ლაკედემონის ჰეგემონიის აღიარება. ათენში დამყარდა 30 ტირანის ოლიგარქიული რეჟიმი...

პელოპონესის ხანგრძლივმა, მძაფრმა და გამანადგურებელმა ომმა დაასუსტა როგორც ათენი და მისი მოკავშირეები, ისე სპარტა და მისი სატელიტები. ომმა ძირს დასცა მანამდე უაღრესად მაღალი საერთაშორისო პრესტიჟი მთელი საბერძნეთისა. სულ მალე, უკვე ^{3'} საუკუნეში კიდევ უფრო გამწვავდა ბერძნულ პოლისთა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კრიზისი. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. კორინთოს ომში (395-387) გამარჯვების შემდეგ ათენმა მოახერხა თავისი საომარი ფლოტის აღდგენა და დემოკრატიის აღორძინება, მას უკვე აღარ ეწერა ძველი დიდების დაბრუნება...

*

საყოველთაოდ ცნობილია ბერძენი ხალხის დამსახურება ევროპული ცივილიზაციისა და კულტურის წინაშე. ბერძნული კულტურული მემკვიდრეობიდან ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დრამის ფენომენი, რომელიც კლასიკურ ხანაში მოიცავდა ტრაგედიას, სატირულ დრამასა და კომედიას.

კომედია ჩაისახა დიონისეს დღესასწაულებზე და ამ ღმერთის კულტთან კავშირი არ დაუკარგავს მთელი კლასიკური პერიოდის განმავლობაში.

კომედია («კომოს» – კომოსი და «ოდე» – სიმღერა), როგორც ჟანრი, ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული ელემენტის შერწყმით; ესაა ინვექტივა (თავდასხმები რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე) და მიმოსი (ყოფითი სცენების გასართობი ასახვა).

ინვექტივა, პირადი სატირა ლიტერატურაში ფართოდ პირველად დანერგა დიდმა ბერძენმა პოეტმა არქილოქემ (ძვ. წ. '33 ს.); მანამდე კი თავისი სრული განხორციელება თავდაპირველად ჰპოვა ფოლკლორში, კერძოდ კი კომოსში, რომელსაც უკავშირდება კომედიის სახელწოდება. კომოსის ზეიმი («კომადეინ») ნიშნავდა ყანების შემოვლას, ნადიმს და შემდეგ შეზარხოშებული ხალხის ჯგუფ-ჯგუფად სეირნობას ქუჩებში ცეკვა-თამაშით, გამვლელ-გამომვლელების დაცინვითა და თავშეუკავებელი ლანძღვა-გინებით.

კომოსის ნაწილი იყო ე. წ. ფ ა ლ ი კ უ რ ი სიმღერები, რომლებსაც ასრულებდნენ ფ ა ლ ო ს ი ს, ნაყოფიერების სიმბოლოს მატარებელთა მსვლელობის დროს. ფალიკურ სიმღერებს ასრულებდნენ წამომწყები («ექსარონ») და გუნდი («ქოროს»). წამომწყები განადიდებდა დიონისეს, მხიარულებასა და ღვინოს; როგორც ჩანს, ამას ერთვოდა გონებამახვილური და ფანტასტიკური წიაღსვლები. გუნდი წამომწყებს უპასუხებდა სიმღერით, რასაც ემატებოდა ყიჟინა და ღმერთებისადმი მიმართვა. არავითარი შეზღუდვა ფორმის მხრივ არ არსებობდა, ასპარეზი სრულიად თავისუფალი იყო დაცინვისა და ხუმრობისათვის. სავარაუდოა, რომ აქვე ჩაისახა დიალოგი. ყოველ შემთხვევაში, საყურადღებოა, რომ არისტოტელეს ცნობით, «...კომედია წარმოიშვა წამომწყებთაგან ფალიკური სიმღერებისა, რომლებიც ახლაც იმღერება მრავალ ქალაქში» (პოეტიკა, ³, 1449 9).

ინვექტივა ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო ე. წ. «ურმების სვლის» («კომპეია») წეს-ჩვეულებისა: გაზაფხულის პირველი თვის, ანთესტერიონის (დაახლოებით შეესაბამება ჩვენი თებერვლის მეორე და მარტის პირველ ნახევარს) დღესასწაულის – ე. წ. «ანთესტერიების» მეორე დღეს ათენის საქალაქო მოედანზე ერთმანეთს ნელ-ნელა მიჰყვებოდა სოფლელი გლეხებით სავსე ურმები; გლეხები მღეროდნენ და შემხვედრ ქალაქელებს უხეში ხუმრობებითა და ლანძღვა-გინებით «ასაჩუქრებდნენ». ამას ეწოდებოდა «ურმის დაცინვები» («სქომმატა ექს ჰამაქსონ»).

შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ანთესტერიების საკრალური შინაარსი. ანთესტერიონში, ყვავილების თვეში («ანთოს» – ყვავილი), ძველი ბერძნების წარმოდგენით, მიწიდან პირველ ყვავილებთან ერთად ამოდიოდნენ მიცვალებულთა სულებიც. ერთმანეთს ხვდებოდა სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლოები; ნაყოფიერებისა და შემოქმედებითი სქესობრივი ძალის გამომხატველი სახეები ერეოდა გარდაცვლილთა მოუსვენარ აჩრდილებს, რომლებთან შეხვედრასაც გაურბოდნენ ცოცხლები. მიცვალებულთა სულების დასამშვიდებლად ისინი მიმართავდნენ მსხვერპლშეწირვასა და ე. წ. აპოტროპეებს, ხოლო დასაშინებლად – ყვირილსა და ხმაურიან მხიარულებას. ამავე დროს, ყვირილი და მხიარული ლანძღვა-გინება სრულიად შეესაბამებოდა ამ სამხრეთული კარნავალის განწყობილებას.

სრულიად ნათელია, რომ ხმაურსა და გინებაში ძველი ბერძნისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სიტყვის პრიმიტიული მაგია. ჰაერი, რომელიც გარს ეხვეოდა ნაყოფიერების დემონს, ივსებოდა სქესობრივი ცხოვრების სახეებით, ცახცახებდა სიცილის აფეთქებებითა და «მაგარ-მაგარი» სიტყვებით, რომლებიც უშუალოდ, ყოველგვარი გარეგანი თუ შინაგანი ცენზურის გარეშე აღნიშნავდნენ შემოქმედებითი და გამანაყოფიერებელი ძალების ცნებებს – ძველი ადამიანის წარმოდგენით, ყოველივე ამას მაგიურად უნდა ემოქმედა ნიადაგის, შინაური ცხოველებისა და თვით ადამიანის ნაყოფიერებაზე. უხამსობა, რომელიც ძველი ატიკური კომედიის ლიტერატურული სტილის აუცილებელი ელემენტია, სათავეს იღებს ამავე საკრალური წყაროდან.

«ურმის დაცინვის» წეს-ჩვეულება საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა ათენში; იგი იმდენად პოპულარული ყოფილა, ხოლო მისი ხუმრობები ისეთი «დახვეწილი» უხეშობით გამოირჩეოდა, რომ ერთიცა და მეორეც ათენში ანდაზად ქცეულა. ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს სხვა დღესასწაულთან – ელევსინის მისტერიებთან დაკავშირებული ე. წ. «გეფირიზმები» ანუ «ხიდის ლანძღვა-გინება». ელევსინის მისტერიებზე, შემოდგომით, როდესაც ათენელ მოქალაქეთა პროცესია, რომელსაც დიონისეს კერპი მოჰქონდა, ელევსინიდან ქალაქში ბრუნდებოდა, ათენის მახლობლად, მდინარე კეფისოსზე გადასვლისას, *ხიდზე* მას ხვდებოდა მეორე პროცესია, რომელიც პირველს ლანძღვა-გინებითა და ხუმრობებით უმასპინძლდებოდა. არსებობს ცნობა, რომ «გეფირიზმებში» დაცინვა მიმართული იყო, როგორც წესი, ყველაზე უფრო ცნობილი და სახელგანთქმული მოქალაქეების წინააღმდეგ.

კომედიის მეორე საწყისი ელემენტი, მ ი მ ო ს ი თავდაპირველად ხალხური ბალაგანის ელემენტარული ფორმა იყო. ეს სახუმარო სცენები დასცინოდა ბრიყვ მდიდარს, ცრუმეცნიერს, თაღლითსა და ქურდს. ყოველი მათგანი ხვდებოდა წარმოდგენის მთავარ პერსონაჟს, ცდილობდა მისგან ფულის მიღებას, მის მოტყუებას, გაცურებას ან გაქურდვას, მაგრამ მარცხდებოდა და ნაცემი გარბოდა სცენიდან მაყურებელთა საერთო ხარხარში. უბრალო ხალხის სიმპათიას, ბუნებრივია, იმსახურებდა მთავარი პერსონაჟი, ერთი შეხედვით გულუბრყვილო, მაგრამ ჭეშმარიტი ხალხური სიბრძნის მატარებელი ადამიანის ტიპი.

მომოსი შემდგომში ძველ საბერძნეთშივე დამოუკიდებელ ლიტერატურულ ჟანრად მოგვევლინა; ხოლო ინვექტივა წმინდა სახით, თავისი ბუნების გამო, გასაგებია, რომ დამოუკიდებელ ჟანრად ჯერაც ვერ ჩამოყალიბებულა, თუმცა ზეპირმეტყველებაში იგი დღემდე ცოცხალია და პოპულარული ანეკდოტების უმთავრეს ელემენტს წარმოადგენს.

*

ადრე მიაჩნდათ, რომ კომედიამ უკვე ძვ. წ. ³ საუკუნეში მიიღო ჩამოყალიბებული ფორმა დორიულ პოლისებში (გრიზარი), მაგრამ ეს მოსაზრება არქეოლოგიური ან ლიტერატურული წყაროების მოხმობით არ დადასტურდა. მართალია, ლაკონიკაში გვხვდება საინტერესო ცეკვებიცა და მიმოსური წარმოდგენებიც, რომლებშიც ფიგურირებდნენ ე. წ. დიკელისტები, მაგრამ აქ, როგორც ირკვევა, საქმე გვექონია არა საკუთრივ კომედიასთან, არამედ პანტომიმასთან. ს ი კ ი ო ნ შ ი იხსენიება ფ ა ლ ო ფ ო რ ო ს თ ა («ფალოსის მატარებელთა») პროცესია, რომელიც, ალბათ, ჩამოჰკავდა ზემოხსენებულ ატიკურ მსვლელობებს, მაგრამ ცნობები ამ საკითხზე მეტად მცირერიცხოვანი და ბუნდოვანია.

მხოლოდ მ ე გ ა რ ა შ ი შეიძლება, როგორც ჩანს, უკვე ძვ. წ. ³ საუკუნისათვის ჩამოყალიბებული კომედიის ჩანასახის გამოყოფა. არისტოტელეს ცნობით, მეგარელები ამტკიცებდნენ, რომ კომედია დემოკრატიასთან ერთად დამკვიდრდა მათთან (პოეტიკა, ³³³, 1448 29); ამ ცნობაში ყურადღებას იპყრობს ფუნქციონალური დაკავ-

შირება კომედიასა და დემოკრატიას შორის, თუმცა კი ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ეს მეგარული კომედია; საეჭვოა, რომ მას დიდი ლიტერატურული ღირსება და მნიშვნელობა ჰქონოდა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი შედგებოდა მოკლე სახუმარო სცენებისა (მიმოსი?) და სიმღერებისაგან (ინვექტივა?). არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ვამტკიცოთ, რომ ამ სცენებს შორის რაიმე კაუზალური კავშირი არსებობდა.

ეს მეგარული ფ ა რ ს ი, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, საკმაოდ საეჭვო ცნობის თანახმად, ატიკაში ძვ. წ. 570 წ. მახლობლად ჩამოუტანია ვინმე ს უ ს ა რ ი ო ნ ს (სხვა ცნობების თანახმად, სუსარიონი ატიკელი ყოფილა); ამის შემდეგ, თითქოსდა ჩვენთვის სრულიად უცნობმა პოეტებმა, მ ი ლ ო ს მ ა და მ ე ს ო ნ მ ა განავითარეს იგი პისისტრატესა და მისი ვაჟების ეპოქაში. და მხოლოდ მომდევნო საუკუნეში, ბერძენ-სპარსელთა ომების შემდეგ გამოდის ისტორიის სარბიელზე ატიკური კომედია.

მანამდე კი კომედია, როგორც ჟანრი, დამკვიდრდა ბერძნული სამყაროს სულ სხვა ნაწილში, ე. წ. «დიდ საბერძნეთში», სიცილიაში. ამ კუნძულის მოსახლეობა მხიარულებისა და დაცინვის მოყვარული ყოფილა; მას ბუნებით დაჰყვა მიმიკისადმი, გამომსახველობითი ჟესტიკულაციისადმი მიდრეკილება, პაროდიული სული. ყოველივე ამის შესახებ ცნობები მოეპოვება უკვე ციცერონს, თუმცა შეგვიძლია, არ შევაწუხოთ დიდი რომაელის აზრდელი და, უბრალოდ, გავიხსენოთ სიცილიის თუნდაც თანამედროვე მოსახლეობა. ყოფითი სცენების გასართობი ასახვა უაღრესად პოპულარული იყო სიცილიაში; მ ი მ ო ს ი ც, როგორც დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟანრი, სწორედ აქ ჩამოყალიბდა შემდგომში (სოფრონი). სწორედ მიმოსი და არა ინვექტივა იყო მთავარი საფუძველი სიცილიური კომედიისა, რომლის უდიდესი წარმომადგენელი ყოფილა ე პ ი ქ ა რ მ ე (ძვ. წ. დაახლ. 550-460 წწ.); პოეტს მიუცია კომედიისათვის ფაბულა, შეუქმნია ინტრიგა და გადასულა «საგინებლიდან» «სასაცილოზე» (არისტოტელე). ეპიქარმე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელი ყოფილა ბერძნულ ლიტერატურაში; პლატონს იგი სახუმარო პოეზიის უდიდეს წარმომადგენლად მიაჩნდა, როგორც ჰომეროსი – სერიოზულისა; არისტოტელე მას უყოყმანოდ ანიჭებდა უპირატესობას არისტოფანესთან შედარებით... სამწუხაროდ, ამ ავტორისაგან მხოლოდ უმნიშვნელო მოცულობის ფრაგმენტები და მის მიერ დაწერილი ორმოცი კომედიიდან ოცდაცხრის სათაური შემოგვრჩა.

როგორც აღვნიშნეთ, ეპიქარმემ კომედიას მისცა ფაბულა; ატიკაში ამას დაემატა ნიღბები, მსახიობთა მეტნაკლებად უტრირებული კოსტუმები; დორიულმა სამყარომ კომედიაში შემოიყვანა გუნდი; ასე იზრუნა მთელმა საბერძნეთმა ახალი დრამატული ჟანრის ჩამოყალიბებისათვის.

ძვ. წ. ' ს. დასაწყისში დაარსებულა კომედიოგრაფოსთა ასპარეზობა. პირველი ცნობა კომიკური გუნდების შეჯიბრების შესახებ ეხება 487/486 წელს, როდესაც გაუმარჯვია ვინმე ქ ი ო ნ ი დ ე ს. ვიცით მისი რამდენიმე თანამედროვე კომედიოგრა-

ფოსის სახელიც, მაგრამ შედარებით ზუსტი ცნობები მოგვეპოვება მხოლოდ არისტოფანეს უშუალო წინამორბედებსა და თანამედროვეებზე – მაგნესზე, კრატინეზე, ევპოლისზე, კრატესსა და ფერეკრატესზე.

ტრაგიკოსთა ტრიადის პარალელურად, ჩვეულებრივ, ასახელებდნენ ძველ კომედიოგრაფოსთა ტრიადასაც – კრატინე, ევპოლისი, არისტოფანე. კრატინეს (გარდაიცვალა ძვ. წ. 420 წლის მახლობლად) დაუწერია ოცდაცხრა კომედია და კომედიოგრაფოსთა ტრადიციულ ასპარეზობებზე, სულ ცოტა, ცხრა გამარჯვება მოუპოვებია. ეს ყოფილა უზარმაზარი ტემპერამენტის პოეტი, რომელსაც კომედიისათვის მანამდე არნახული გაქანება და დინამიზმი მიუნიჭებია. ამ დიდი შემოქმედის მემკვიდრეობიდანაც მხოლოდ უმნიშვნელო მოცულობის ფრაგმენტები შემოგვრჩა... მათი შესწავლით ირკვევა, რომ კრატინე დაუნდობლად ესხმოდა თავს პოლიტიკურ მოღვაწეებს, მათ შორის პერიკლესაც კი; პოეტი ებრძოდა უცხოურის კულტსა და სოფისტებს. ერთხელ მას გამოუყვანია არქილოქეების მთელი გუნდი, ჯგუფი დაუნდობელი, სასტიკი კრიტიკოსებისა.

არც ევპოლისის შემოქმედება დაინდო დრომ; გადარჩა მხოლოდ ცხრამეტი კომედიის სათაური და 460-ზე მეტი ფრაგმენტი, რომელთაგან მხოლოდ ერთია შედარებით მოზრდილი (შეიცავს ნაწყვეტს კომედიისა «დემები»); ფრაგმენტების შესწავლით ირკვევა, რომ ეს კომიკოსი პოეტიც აკრიტიკებდა სოფისტებს, სამხედრო პირებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს.

მეხუთე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისათვის კომედიაში მიიღო სტაბილური ფორმა. მისი გუნდი შედგებოდა 24 წევრისაგან (ქორეგტისაგან) და მას სათავეში ედგა კორიფეოსი; მოქმედების მსვლელობაში გუნდი ორ ნახევარგუნდად იყოფოდა, რომლებსაც მეთაურობდნენ წინამძღოლები. მსახიობთა რიცხვი განსაზღვრული იყო: ყველა როლს ასრულებდა სამი მსახიობი. იშვიათ შემთხვევაში (კომედიაში უფრო ხშირად, ვიდრე ტრაგედიაში) დასაშვებია იყო პარაქორეგემა (მეოთხე ან, უიშვიათეს შემთხვევაში, მეხუთე მსახიობის შემოყვანა); სტატისტების რიცხვი განუსაზღვრელი იყო. კომედიაში მოქმედება სწრაფად გადადიოდა ქალაქიდან სოფელში, დედამიწიდან – ზეცაზე, სააქაოდან – საიქიოში; ქრონოტოპის ეს სწრაფი ცვლილებები, როგორც ჩანს, გაძლიერებული არ ყოფილა დეკორაციის ასევე სწრაფი მონაცვლეობით. ქორეგტებს ეცვათ პოეტის ჩანაფიქრის შესაბამისად, ამავე დროს, ხაზგასმული იყო მხოლოდ ერთი სპეციფიკური ნიშანი, მაგალითად, ღრუბლებისათვის – გრძელი ცხვირები, კრაზანებისათვის – ნესტარი და ა. შ. მსახიობებს ჭრელი კოსტუმები ემოსათ (ზოგიერთი როლისათვის ესკიზებს თავად ავტორი ქმნიდა). კომედიანტების სხეულს გროტესკული ფორმები ენიჭებოდა: გამობერილი ღიპი, სქელი უკანალი, უზარმაზარი კუზი და ტყავის ფალოსი. როგორც ტრაგედია, კომედიაც მხოლოდ მამაკაც მსახიობებს ანდობდა თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას. საერთო მოსაზრებით, კომედიის წარმოდგენის ქორეოგრაფია საკმაოდ ერთფეროვანი იყო, გუნდი, ჩვეულებრივ, ცეკვავდა კორდაქსს – ევროპული სარაბანდის მსგავს ცეკვას, რომელიც გამოირჩეოდა მკვეთ-

რი მოძრაობებით, ხტომებითა და საკმაოდ უხამსი ხასიათით. რაც შეეხება წარმოდგენის მუსიკალურ მხარეს, როგორც მწირად შემორჩენილი მუსიკალური ფრაგმენტების ანალიზი გვარწმუნებს, იგი უაღრესად მრავალფეროვანი და რთული ხასიათისა ყოფილა. კომიკურ ნიღბებსა და თეატრალურ მანქანებზე ძალიან ცოტა რამ ვიცით, თეატრალურ მხატვრობაზე კი – თითქმის არაფერი.

განსაზღვრული იყო ძველი ატიკური კომედიის კომპოზიცია: პ რ ო ლ ო გ შ ი, ჩვეულებრივ, წარმოდგენილი იყო რაიმე ახალი იდეა-თეზისი, რომელიც უპირისპირდებოდა საზოგადოდ მიღებულ, ტრადიციულ შეხედულებებს; პროლოგს მოჰყვებოდა ა გ ო ნ ი, რომელშიც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ «ნოვატორი» პროტაგონისტი (მთავარი როლის შემსრულებელი) და ტრადიციონალისტი დეეტერაგონისტი (მეორე როლის შემსრულებელი); კამათში, როგორც წესი, იმარჯვებდა ახალი თეზისი და მისი ავტორი. აგონს მოსდევდა პ ა რ ა ბ ა ს ი ს ი, ძველი კომედიის სპეციფიკური ნაწილი, ანტიკური პუბლიცისტიკის, საჯაროობისა და დემოკრატიზმის მწვერვალი. კომედიის ამ ნაწილში გუნდი უშუალოდ მიმართავდა მაყურებელს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ყველაზე უფრო მწვავე საკითხებთან დაკავშირებით (პარაბასისი, ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი იყო კომედიის სიუჟეტისაგან). ამით მთავრდებოდა კომედიის პირველი ნაწილი და იწყებოდა მეორე, მეტად განსხვავებული პირველისაგან. ეს იყო სცენათა რიგი, ე. წ. ე პ ი ს ო დ ი ო ნ ე ბ ი: ცოცხალი, მოკლე და ხშირად ერთმანეთის სიმეტრიული; მათ შორის ჩასმული იყო ი ნ ტ ე რ მ ე დ ი ე ბ ი – გუნდის სიმღერები და ცეკვები. ეპისოდებში ხორცს ისხამდა პროლოგში წარმოდგენილი და აგონში გამარჯვებული იდეა-თეზისი. ხალხური ბალაგანიდან შემოსული ბრიყვი მდიდრის, ცრუმეცნიერისა თუ ქურდის ტიპები ცდილობდნენ რაიმე წაელლიტათ პროტაგონისტისათვის, რომელიც თავის მონაპოვარს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავის უზიარებდა. კომედია მთავრდებოდა ე ქ ს ო დ ო ს ი თ – სცენიდან მსახიობებისა და ორქესტრადან გუნდის მხიარული გასვლით.

დადგენილია, რომ კომედიის კომპოზიციას საფუძვლად დასდებია მისი შინაგანი სტრუქტურა; კლასიკური ფილოლოგიის ინგლისურმა სკოლამ კომედია, ისევე როგორც ტრაგედია, დაუკავშირა ე. წ. «წელიწადის» რიტუალს და გამოავლინა დრამის სტრუქტურის სტაბილური ხასიათი. ძველი კომედიის მოქმედების განვითარებისათვის შემოთავაზებულია ტრაფარეტული სქემა: ბრძოლა, მსხვერპლშეწირვა, საჭმლის მომზადება, ნადიმი, წმინდა ქორწინება (კორნფორდი).

*

ანტიკურ ეპოქაში არც კომედია და არც ტრაგედია არ იდგმებოდა ისეთი ინტენსივობით, როგორც ამას ჩვენ ვართ ჩვეულებრივნი.

დრამა, როგორც უკვე აღინიშნა, რელიგიურ დღესასწაულს უკავშირდებოდა და საზოგადოებრივი კულტის ელემენტს შეადგენდა. ძვ. წ. ' საუკუნეში კომედია ატიკაში იდგმებოდა ქალაქის ანუ დ ი დ ი ო ნ ი ს ი ე ბ ე (487/486 წლიდან), ლ ე -

ნ ე ე ბ ზ ე (444 წლიდან) და, იშვიათად, სოფლის ანუ მ ც ი რ ე დ ი ო ნ ი ს ი ე ბ - ზ ე. ეს უკანასკნელი დღესასწაული განსაკუთრებული ბრწყინვალეობის გარეშე მიმდინარეობდა და მისი მნიშვნელობა დიდი არ იყო. რაც შეეხება ქალაქის (დიდ) დიონისიებს, აქ მთავარი როლი ეკისრებოდა ტრაგედიას, კომედია კი მეორე პლანზე იყო გადაწეული; ლენეების დღესასწაული კი, პირიქით, კომედიას ეთმობოდა და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ტრაგედიას: არისტოფანეს ჩვენამდე მოღწეულ კომედიათა უმრავლესობა სწორედ ლენეებზე დაიდგა.

დრამის დადგმის ორგანიზაცია ათენში დიდ სახელმწიფო საქმედ ითვლებოდა და ეკისრებოდა რომელიმე არქონტს; კერძოდ, დიდი დიონისიების დროს ამ მოვალეობას ასრულებდა ა რ ქ ო ნ ტ - ე პ ო ნ ი მ ი, ხოლო ლენეების დღესასწაულზე – ა რ ქ ო ნ ტ - ბ ა ს ი ლ ე ვ ს ი.

დრამატურგი პიესის დადგმის ნებართვისათვის მიმართავდა არქონტს. ოფიციალურ ენაზე ამას ეწოდებოდა «გუნდის მოთხოვნა» («ქორონ აიტეინ»). არქონტი თავისი ნებისამებრ დართავდა ან არ დართავდა დრამატურგს ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში არქონტი ითვალისწინებდა როგორც პოეტის რეპუტაციას, ისე წარმოდგენილი დრამის ხარისხსაც. თუკი დრამა დასადგმელად მიიღებოდა, ოფიციალურ ენაზე ამას ეწოდებოდა «გუნდის მიცემა» («ქორონ დიდონაი»). გუნდის მიცემის შემდეგ არქონტი რომელიმე შეძლებულ მოქალაქეს დადგმის ორგანიზატორად ნიშნავდა; ამ საპატიო მოვალეობას ქ ო რ ე გ ი ა, ხოლო მის შემსრულებელს ქ ო რ ე გ ო ს ი ეწოდებოდა. ამ უკანასკნელის მოვალეობაში შედიოდა: საკუთარი ხარჯით გუნდის მომზადება წარმოდგენისათვის, ხარჯის გაღება დეკორაციისა და გუნდის კოსტუმებისათვის და ა. შ. რაც შეეხება მსახიობებს, მათ გასამრჯელოს უხდიდა არა ქორეგოსი, არამედ სახელმწიფო. დრამატურგი, რომლის დრამასაც მიიღებდნენ დასადგმელად, ჰონორარს მიიღებდა ისევ და ისევ სახელმწიფო ხაზინიდან.

რეჟისორის, კომპოზიტორისა და ქორეოგრაფის ფუნქციას, ჩვეულებრივ, თვით ავტორი ასრულებდა. ამის გამო მას «გუნდის მასწავლებელსაც» («ქოროდიდასკალოს») უწოდებდნენ.

სახელმწიფო ზრუნავდა წარმოდგენის დროს წესრიგისა და სიჩუმის დაცვაზე, აგრეთვე, ჯილდოთა სამართლიან განაწილებაზე. ამ მიზნით ატიკის თითოეული ფილედან ირჩეოდნენ ა გ ო ნ ა თ ე ტ ე ბ ი – თეატრალური ჟიურის წევრები (ჟიური ათი კაცისაგან შედგებოდა), რომელთაც ემორჩილებოდნენ მ ა ს ტ ი გ ო ფ ო - რ ო ს ე ბ ი; ესენი სჯიდნენ წესრიგის დამრღვევთ და უკიდურეს შემთხვევაში ამეკვებდნენ კიდეც მათ თეატრიდან.

ასპარეზობაში, როგორც წესი, მონაწილეობდა სამი კომედიოგრაფოსი (ე. ი. სამი გუნდი და სამი ქორეგოსიც). პაექრობის დასრულების შემდეგ ათი აგონათეტიდან კენჭისყრით არჩეული ხუთი განიხილავდა კონკურსის შედეგებს და აცხადებდა გამარჯვებულს. ასპარეზობის შედეგები იწერებოდა სტელაზე, რომელიც საჯარო

ადგილას იდგმებოდა – ეს იყო ე. წ. დიდასკალიები (ზოგიერთი მათგანი დღემდე შემოგვრჩა).

*

არისტოფანეს კომედიები კარგადაა ცნობილი.

არისტოფანეს ბიოგრაფია თითქმის უცნობია.

წყაროები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დიდი კომედოგრაფოსის ბიოგრაფიის ელემენტები აღვადგინოთ, სხვადასხვა ღირსებისაა: ესაა ორი ანონიმური ბიოგრაფია, სტატია სვიდას ლექსიკონში, პლატონის «აპოლოგიის» ერთი სქოლიო, მოკლე შენიშვნა ანონიმურ გამოკვლევაში «კომედიის შესახებ» (ე. წ. «კოალენის ტრაქტატი») და ტომას მაგისტერის ნაკლებად სანდო კომპილაცია. ამას უნდა დამატოს სქოლიოები და დიდასკალიები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია კომედიების ტექსტთან ერთად; დაბოლოს, მნიშვნელოვანი წყაროა თვით არისტოფანეს კომედიები, განსაკუთრებით კი «აქარნელების», «მხედრების», «ღრუბლების», «კრაზანებისა» და «მშვიდობის» პარაბასისები.

თუკი ამ წყაროთაგან შევარჩევთ ყველაფერ იმას, რაც აშკარა წინააღმდეგობებსა და ლეგენდებს არ შეიცავს, ძალიან ცოტა რამ შეგვრჩება ხელთ. სხვა რომ არ იყოს, დრამატურგის დაბადებისა და გარდაცვალების წლებიც კი მხოლოდ და მხოლოდ სავარაუდოდაა ცნობილი.

დაბადების თარიღის დასადგენად ერთმანეთს უნდა შეუჯერდეს ორი ცნობილი ფაქტი:

1. დანამდვილებით ცნობილია, რომ არისტოფანეს პირველი კომედია «მეინახენი», რომელმაც ჩვენამდე უმნიშვნელო მოცულობის ფრაგმენტების სახით მოაღწია, დაიდგა ძვ. წ. 427 წ. ფილონიდეს ან კალისტრატეს სახელით.
2. არისტოფანეს «ღრუბლების» პარაბასისში ნათქვამია (სტრ. 530-532, პწკარედული თარგმანი):

და რადგანაც მე ჯერაც ქალწული ვიყავი და არ შეიძლებოდა

ჩემთვის მშობიარობა,

ვშობე, ბავშვი კი სხვა ვინმემ მიიღო და აიყვანა,

თქვენ კი, ათენელებო, ღირსეულად გამომიკვებეთ და აღმიზარდეთ.

სრულიად ნათელია, რომ ორივე ფაქტი ერთსა და იმავე ამბავს ეხება (მით უმეტეს, რომ ამას აღნიშნავს ალექსანდრიული ხანის ერთ-ერთი კომენტატორიც, არისტოფანეს სქოლიასტი). «ღრუბლებში» განხორციელებული ამ მეტაფორის სემანტიკა საკმაოდ გამჭვირვალეა: «ქალწული» თავად არისტოფანეა, რომლისთვისაც ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა «მშობიარობა», ანუ კომედიის დადგმა, ხოლო «ბავშვი» კი სხვის (მაგალითად, კალისტრატეს) მიერ «მიღებული» და «აყვანილი», ანუ დადგმული პირმშოა, კომედია «მეინახენი».

ამრიგად, ირკვევა, რომ ძვ. წ. 427 წელს არისტოფანეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა უფლება, კომედია დაედგა. საქმე, როგორც ჩანს, ეხება ასაკობრივ ცენზს.

კომედიის დაწერა, რა თქმა უნდა, შეეძლო ნებისმიერი ასაკის ადამიანს, მაგრამ სახელმწიფო რომელიმე არქონტის ხელით გუნდს აძლევდა მხოლოდ სრულასაკოვან მოქალაქეს, რომ მას შეეძლებოდა ქორეგტების ხელმძღვანელობა, ანუ ქოროდიდასკალოსის (რეჟისორისა და ქორმაისტერის) ფუნქციის შესრულება. სრულასაკოვანებად ათენში მიჩნეული იყო თვრამეტი წელი (ე. წ. «ეფებია», რომლის დასრულების შემდეგ თავისუფალ ათენელ ყმაწვილს სრულუფლებიან მოქალაქედ მიიჩნევდნენ). ამრიგად, ცხადია, რომ 427 წლისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როცა ვინმე კალისტრატემ «მეინახეთათვის» არქონტს გუნდი მოსთხოვა, არისტოფანეს, ამ კომედიის ნამდვილ ავტორს, ჯერ თვრამეტი წელიც არ შესრულებოდა.

არისტოფანეს მეორე კომედია «ბაბილონელები», რომელმაც ასევე მხოლოდ უმნიშვნელო მოცულობის ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე, დაიდგა დიდ დიონისიებზე (მარტის დასასრული – აპრილის დასაწყისი); ამ კომედიის დადგმის დროს არისტოფანე, როგორც ჩანს, უკვე ეფებოსი (სრულასაკოვანი მოქალაქე) ყოფილა. «ბაბილონელების» დადგმის წელიც დანამდვილებითაა ცნობილი – ძვ. წ. 426 წ. თუკი გავითვალისწინებთ, რომ კომედიის დადგმას წინ უძღოდა გუნდის მოთხოვნა და გუნდთან ქოროდიდასკალოსის მუშაობა, უნდა დავასკვნათ, რომ არისტოფანე ეფებოსი გამხდარა უკვე ძვ. წ. 427 წელს, კალისტრატეს მიერ «მეინახეთათვის» გუნდის მოთხოვნის შემდეგ.

ამგვარი მსჯელობის წყალობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ არისტოფანე დაბადებულია ძვ. წ. 445 წელს.

თუმცა, მეცნიერებაში არსებობს სხვა მოსაზრებაც. ზოგიერთ მეცნიერს (მაგალითად, ა. კიორტეს) კომედიოგრაფოსის დაბადების თარიღი აჰყავს ძვ. წ. 450 წლამდე, ხოლო ერთი მეცნიერის (რ. კენტი) ვარაუდით, არისტოფანე დაბადებულია 455/454 წელს. ეს უკანასკნელი მოსაზრება ემყარება «ღრუბლებიდან» მოყვანილი ნაწყვეტის სიტყვა «პართენოსის» («ქალწული») მცდარ თარგმანსა და იმ ფაქტს, რომ «მხედრების» დადგმის დროს არისტოფანე უკვე მელოტი ყოფილა («მხედრები», სტრ. 550; შდრ. «მშვიდობა», სტრ. 767-768 და ევპოლისი, ფრაგმენტი 78). ჩვენი აზრით, ვერც ერთი ეს არგუმენტი სერიოზულ კრიტიკას ვერ უძლებს.

კიდევ უფრო ძნელდება არისტოფანეს გარდაცვალების უტყუარი თარიღის დადგენა.

უკანასკნელი კომედია, რომელიც არისტოფანემ საკუთარი სახელით წარმოადგინა, იყო ჩვენამდე სრულად მოღწეული «პლუტოსი» (მეორე). ეს კომედია დაიდგა ძვ. წ. 388 წელს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ამის შემდეგ არისტოფანეს დაუწერია კიდევ ორი კომედია, «კოკალოსი» და «ეოლოსიკონი» (ეს უკანასკნელი ორ ვარიანტად). დრამატურგის ეს ორი (სამი?) კომედია, ისევე როგორც პირველი ორი («მეინახენი» და «ბაბილონელები») სხვისი სახელით დაიდგა – კომედიოგრაფოსმა მათი სცენაზე განხორციელება თავის ვაჟს, არაროსს მიანდო (შესაძლოა, არისტოფა-

ნეს ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს, გუნდთან ემუშავა, ან მზრუნველი მამა ცდილობდა, შვილისათვის მაყურებელთა კეთილგანწყობა მოეპოვებინა). მართლაც, დიდასკალიაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, 387 წლის დიდი დიონისიების კომედიოგრაფოსთა ასპარეზობაში გამარჯვებულად მოხსენიებულია არაროსი და მისი კომედია «კოკალოსი». სავარაუდოა, რომ მომდევნო, 386 წელს დაიდგა «ეოლოსიკონიც». დანამდვილებით ვიცით, რომ 101-ე ოლიმპიადის განმავლობაში (ე. ი. ძვ. წ. 375-372 წლებში) არაროსს თავად დაუწყია კომედიების წერა. ამრიგად, უნდა ვივარაუდოთ, რომ არისტოფანე გარდაიცვალა «ეოლოსიკონის» დადგმის შემდეგ, ძვ. წ. 386 წელს, ან ამ თარიღის მახლობლად.

«კომედიის მამის» ბიოგრაფიიდან დანამდვილებით ვიცით შემდეგი – არისტოფანე იყო ფილიპეს ძე, ათენელი (კერძოდ კი, კიდათენეს დემიდან, პანდიონის ფილედან); ჰყოლია სამი ვაჟი: უკვე ნახსენები არაროსი, ფილიპე და ნიკოსტრატე.

მართლაც, პანდიონის ფილეს ხუთასთა საბჭოში შემავალ პრიტანთა ნუსხაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და ძვ. წ. 3¹ საუკუნის დასაწყისით თარიღდება, მოხსენიებულია ვინმე «არისტოფანე კიდათენელი». არავითარი სერიოზული საფუძველი არა გვაქვს, რომ ამ კიდათენელ არისტოფანეში ჩვენი კომედიოგრაფოსი არ დავინახოთ. არისტოფანეს ანონიმურ ბიოგრაფიებსა და ზოგ სქოლიოში არსებული ცნობა იმის შესახებ, რომ კლეონმა «ბაბილონელების» დადგმის შემდეგ კომედიოგრაფოსს უცხოელობაში დასდო ბრალი, როგორც ჩანს, ყალბია. არც ერთ მეტოქეს, მათ შორის ყველაზე უფრო დაუნდობელს – ევპოლისსაც კი (იხ. მისი ფრაგმ. 357) არ უარუყვია არისტოფანეს ათენელობა.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არისტოფანე ათენელი კოლონისტიც იყო კუნძულ ეგინაზე (მდრ. «აქარნელები», სტრ. 653 და შესაბამისი სქოლიო).

მეცნიერებისათვის ცნობილია ძველი ატიკური კომედიის ორმოცამდე ავტორის სამსამდე კომედიის დასახელება.

უკვე ანტიკურობა იცნობს არისტოფანეს 44 კომედიას (ერთ-ერთი ბიოგრაფია და «კოალენის ტრაქტატი»). ოთხ მათგანს უკვე ძველად სხვა ვინმეს, კერძოდ კი, პოეტ არქიპეს მიაწერდნენ («პოეზია», «გემის დაღუპვისას გადარჩენილი», «კუნძულები», «ნიობოსი»).

არისტოფანეს კომედიათა სრული ნუსხა აღმოჩნდა ⁹3 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში (ე. წ. «ამბროზიანუს მ») და იგი პირველად გამოაქვეყნა ნოვატიმ. სხვა სია, იმავე წყაროდან, მაგრამ არასრული აღმოჩნდა ამავე საუკუნის სხვა ხელნაწერში (ვატიკანუს 918) და იგი გამოსცა ცურეტიმ.

აი, ეს სიაც (ჯერ მოცემულია ის კომედიები, რომელთა დადგმის თარიღი ჩვენთვის ცნობილია; ჩვენამდე სრულად შემონახული კომედიების სათაურები გამოყოფილია მუქი შრიფტით):

№	სახელწოდება	დადგმის ადგილი	დადგმის თარიღი (ძვ. წ.)	ასპარეზობაში დაკავებული ადგილი
1.	«მეინახენი»	დიონისიები (?)	427	33
2.	«ბაბილონელები»	დიონისიები	426	
3.	«აქარნელები»	ლენეები	425	3
4.	«მხედრები»	ლენეები	424	3
5.	«ღრუბლები»	დიონისიები	423	333
6.	«პროაგონი»	ლენეები	422	33
7.	«კრაზანები»	ლენეები	422	3
8.	«მშვიდობა»	დიონისიები	421	33
9.	«ამფიაროსი»	ლენეები	414	
10.	«ფრინველები»	დიონისიები	414	33
11.	«ლისისტრატე»	ლენეები (?)	411	
12.	«ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე»	დიონისიები	411	
13.	«პლუტოსი» (პირველი)	ლენეები (?)	408	
14.	«ბაყაყები»	ლენეები	405	3
15.	«ქალები სახალხო კრებაზე»	ლენეები (?)	392	
16.	«პლუტოსი» (მეორე)	ლენეები (?)	388	
17.	«კოკალოსი»	დიონისიები	387	3
18.	«ეოლოსიკონი»		386	
19.	«ეოლოსიკონი» (მეორე)		386	
20.	«გლებები»		42?	
21.	«სატვირთო გემები»		42?	
22.	«ღრუბლები» (პირველი)			
23.	«მშვიდობა» (მეორე)			
24.	«ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე» (მეორე)			
25.	«ლემნოსელი ქალები»			
26.	«სცენის დამპყრობი ქალები»			
27.	«ფინიკიელი ქალები»			
28.	«ანაგიროსი»			
29.	«სიბერე»			
30.	«მევირალა»			
31.	«ყარყატები»			
32.	«მომხრაკველები»			
33.	«ტელმესოსელები»			
34.	«დრონი»			
35.	«დედალოსი»			
36.	«დანაიდები»			
37.	«კენტავრი»			
38.	«გმირები»			
39.	«პოლიიდე»			
40.	«ტრიფალესი»			
? 41.	«კუნძულები»			

№	სახელწოდება	დადგმის ადგილი	დადგმის თარიღი (ძვ. წ.)	ასპარეზობაში დაკავებული ადგილი
? 42.	«გემის დაღუპვისას (ორგზის) გადარჩენილი»			
? 43.	«პოეზია»			
? 44.	«ნიობოსი»			

*

ამრიგად, ძვ. წ. 427 წელს 17 წლის არისტოფანემ კალისტრატეს სახელით ათენის სცენაზე წარმოადგინა თავისი პირველი კომედია «მეინახენი», რომელმაც ჩვენამდე მეტად უმნიშვნელო რაოდენობისა და მოცულობის ფრაგმენტების სახით მოაღწია. როგორც ამ ფრაგმენტების შესწავლით ირკვევა, უკვე თავისი პირველი ქმნილებით არისტოფანე წარმოგვიდგა, როგორც მორალისტი და ახალი მიმართულებების კრიტიკოსი, რომელიც შეუბრალებლად დასცინოდა ახალი ყაიდის, «ნოვატორულ» პედაგოგიკას (ვინმე ათენელს ორი ვაჟი ჰყავს; ერთ ვაჟს ტრადიციულად აღზრდის, მეორეს კი ნოვატორულ-მოდურად, ანუ რიტორიკულად; ეს მეორე ვაჟი ვერ ამართლებს მამის იმედებს). შემდეგ, 425 წელს დაიდგა «ბაბილონელები», რომელმაც ასევე ვერ მოაღწია ჩვენამდე; მისი ფრაგმენტების ანალიზით ვრწმუნდებით, რომ ამ კომედიაში აღძრული ყოფილა ათენელთა მიერ მოკავშირეთა ჩაგვრის პრობლემა (მოკავშირეებს განასახიერებდნენ ბაბილონელი მონები). «ბაბილონელებში» არისტოფანე ყმაწვილური ჟინითა და გამბედაობით დაეცა თავს დემაგოგებს, კერძოდ კი – კლეონს. ამას მოჰყოლია გახმაურებული სასამართლო პროცესი, რომელშიც კომედიოგრაფოსს (სახელმწიფოს ფაქტობრივი მეთაურის წინააღმდეგ!) გაუმარჯვია. სასამართლომ ვერ შეაშინა ახალგაზრდა დრამატურგი და შემდეგსავე, 425 წელს საასპარეზოდ წარმოადგინა ყველაზე ადრინდელი ჩვენამდე მოღწეულ კომედიათაგან, «აქარნელები», რომლითაც მან პირველი გამარჯვება იზეიმა კომედიოგრაფოსთა ასპარეზობებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭაბუკი დრამატურგის მეტოქეები იმ ასპარეზობაში იყვნენ სახელოვანი კრატინე და ევპოლისი.

«აქარნელების» პროტაგონისტად გამოყვანილია მიწათმოქმედი დიკეოპოლისი, რომელიც ომმა და გაჭირვებამ ქალაქში გადახიზნა. გუნდი შედგება აქარნეს დემის მცხოვრებთაგან (აქედან მიეცა სახელი მთელს კომედიასაც). დიკეოპოლისი გაცხარებული ომის დროს სეპარატულ ზავს (მარტო თავისთვის და თავისი ოჯახისათვის) დებს მტრულ სახელმწიფოსთან, ლაკედემონთან.

თავის პირველ კომედიებს ახალგაზრდა არისტოფანე, როგორც აღვნიშნეთ, ვინმე კალისტრატეს სახელითა და, შესაძლოა, დახმარებითაც დგამდა, თუმცა ავტორის სახელი, როგორც ჩანს, ყველასათვის ცნობილი იყო. და აი, ძვ. წ. 424 წ. არისტოფანემ თავად დადგა თავისი ახალი კომედია «მხედრები», რომელშიაც განხორციელებულია ყველაზე უფრო სასტიკი თავდასხმა ათენის რადიკალური

დემოკრატიის ლიდერზე – დემაგოგ კლეონზე. ლენეებზე დადგმულმა ამ კომედიაში ამ პირველი ადგილი დაიკავა კომედოგრაფოსთა ასპარეზობაში.

ძვ. წ. 423 წ. დადგმულ «ღრუბლებში» არისტოფანე დაუბრუნდა იმ პრობლემას, რომელსაც მან თავისი პირველი კომედია «მეინახენი» მიუძღვნა; ეს იყო, როგორც ვთქვით, ალზრდის პრობლემა. შესაძლოა, ავტორი უკმაყოფილო იყო «მეინახენთა» მიერ დაკავებული მეორე ადგილით და რევანშის სურვილით იყო სავსე. «ღრუბლებმა» ვერ გაუმართლა არისტოფანეს იმედები და დაიკავა მხოლოდ მესამე ადგილი, რაც, ფაქტობრივად, სრულ ჩავარდნას ნიშნავდა. ამ კომედიაში პროტაგონისტად გამოყვანილია მოხუცი სტრეფსიადე, რომელიც უპირისპირდება ახალ ალზრდას და მის ლიდერს, ფილოსოფოს სოკრატეს, რომელიც კომედიაში შარჟირებული სახითაა წარმოდგენილი.

ძვ. წ. 422 წ. დაიდგა «კრაზანები», რომელმაც არისტოფანეს გამარჯვება მოუპოვა ლენეების დღესასწაულზე გამართულ კომედოგრაფოსთა ასპარეზობაში. ამ კომედიაში ავტორი დასცინის ათენელებს, რომელთაც სასამართლოსა და სასამართლო პროცესის სიყვარული ავადმყოფობად გადაქცევიათ. კომედიის პროტაგონისტია მოხუცი მოსამართლე ფილოკლეონი (სიტყვა-სიტყვით, «კლეონის მოყვარული»), რომლის «სასამართლოს სენისაგან» განკურნვას ცდილობს მისი ძე, ბდელიკლეონი (სიტყვა-სიტყვით, «კლეონის მოძულე»). გუნდი შედგება ფილოკლეონის მეგობრებისაგან (მეტაფორულად – მოსამართლე «კრაზანებისაგან»).

ძვ. წ. 421 წ. დაიდგა «მშვიდობა», რომელიც განავითარებს უკვე «აქარნელებში» დასმულ პრობლემას, მაგრამ ფორმის ბრწყინვალეობით, შეიძლება ითქვას, ჩამორჩება მას. კომედიის პროტაგონისტია ვინმე ტრიგეოსი, რომელიც ფანტასტიკური გზით ცდილობს საყოველთაო მშვიდობის დამყარებას.

ამავე პერიოდს (ძვ. წ. 424-421) განეკუთვნება ჩვენამდე მოუღწეველი კომედიები «გლეხები» და «სატვირთო გემები», რომლებშიც დრამატურგი საომარ მოქმედებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და ზავის დადებას მოითხოვდა.

ძვ. წ. 421 წლიდან 414 წლამდე არისტოფანეს ნაწარმოებთა ქრონოლოგიურ რიგში სიცარიელეა, მაგრამ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ამ შვიდი წლის განმავლობაში კომედოგრაფოსის გენია დუმდა. ამ წლებში, ეტყობა, დაიდგა არისტოფანეს ჩვენამდე მოუღწეველი რამდენიმე კომედია.

ეს რიგი წყდება 414 წელს ერთდროულად ორი კომედით. ეს არის «ამფიარაოსი» – მითოლოგიური ტრავესტი, რომლისგანაც ჩვენამდე რამდენიმე უმნიშვნელო მოცულობის ფრაგმენტმა მოაღწია და «ფრინველები», არისტოფანეს ერთ-ერთი შედეგრი, რომელმაც სრული სახით მოაღწია ჩვენამდე.

ამ კომედით იწყება არისტოფანეს პიესათა მეორე ჯგუფი, რომელშიც ინვექტივის ელემენტი თანდათანობით სუსტდება და სატირა პირადულ ხასიათს კარგავს. «ფრინველების» პროტაგონისტია ათენიდან გაქცეული პისთეტერე, რომელიც ახალი, ფანტასტიკური სახელმწიფოს შექმნის იდეას განახორციელებს.

სამი წლის შემდეგ, ძვ. წ. 411 წ. არისტოფანემ დადგა «ლისისტრატე» და «ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე».

«ლისისტრატეს» პროტაგონისტია ათენელი ქალი, ლისისტრატე (სიტყვა-სიტყვით, «ჯარის დამშლელი»), რომელიც მთელი საბერძნეთის ქალებს აამბოხებს საყოველთაო მშვიდობის დასამყარებლად.

«ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე» მიმართულია ევრიპიდეს წინააღმდეგ და, ამავე დროს, წარმოადგენს ამ ტრაგიკოსის ტრაგედიათა გონებამახვილურ პაროდias. კომედიის პროტაგონისტია ევრიპიდეს სიმამრი მნესილოქე, რომელიც სიძის გადასარჩენად ქალურად გადაცმული შეიპარება თესმოფორიების დღესასწაულზე.

არისტოფანეს კომედიათა ეს მეორე რიგი მთავრდება მისი დიდი შედევრით – «ბაყაყები», რომელმაც ავტორს უდიდესი წარმატება მოუპოვა. «ბაყაყების» პროტაგონისტია თეატრისა და ღვინის ღმერთი დიონისე; კომედიაში მოცემულია დიდი ტრაგიკოსების, ესქილესა და ევრიპიდეს დაპირისპირებისა და შეფასების ცდა.

შემდგომი წლები ისტორიულად ნაკლებად ხელსაყრელი იყო კომედიისათვის; პელოპონესის ომში საბოლოო დამარცხებამ და ოლიგარქიის მმართველობამ წელში გატეხა ათენი, ხოლო როცა დემოკრატია აღდგა, სახელმწიფომ თითქოს ამოისუნთქა, მაგრამ საზოგადოებრივ განწყობილებას აღარ შემორჩა ძველებური ენერჯია და ენთუზიაზმი; საზოგადოებაში გამეფებული აპათია აისახა კომედიაზეც და იგი ნელნელა შეიცვალა.

ძვ. წ. 392 წ. დაიდგა კომედია «ქალები სახალხო კრებაზე», რომელშიც არისტოფანემ დაუნდობლად გაანადგურა თავისი თანამედროვე უტოპიური თეორიები «ახალი, სამართლიანი საზოგადოების» აშენების თაობაზე. კომედიის პროტაგონისტია ათენელი ქალი პრაქსაგორა, რომლის მეთაურობითაც ქალები აღწევენ სახელმწიფოში გაბატონებულ მდგომარეობას და ამყარებენ «სამართლიან» სახელმწიფო წყობას.

უტოპიურ თეორიებს ეხმიანება კომედია «პლუტოსიც», რომლის პირველი ვარიანტი არისტოფანეს დაუდგამს 408 წელს, ხოლო მეორე (გადაკეთებული) – 368 წელს. ჩვენ ხელთა გვაქვს სწორედ ეს მეორე ვარიანტი (არსებობს მოსაზრება, რომ არისტოფანეს დაუწერია «პლუტოსის» მესამე ვარიანტიც). კომედიის პროტაგონისტია მოხუცი ქრემილოსი, რომელიც ასკლეპიოსის ტაძარში თვალს აუხელს მანამდე ბრმა პლუტოსს, სიმდიდრის ღმერთს – დგება «ოქროს ხანა».

«პლუტოსის» ეს მეორე ვარიანტი უკანასკნელია არისტოფანეს ჩვენამდე მოღწეულ კომედიათაგან. ორი წლის შემდეგ, როგორც ვთქვით, სამოც წელს მიტანებული არისტოფანე გარდაიცვალა. ანონიმური ბიოგრაფის ცნობით, მისთვის ეპიტაფია შეუთხზავს თვით პ ლ ა ტ ო ნ ს:

ქარიტნი ეძებდნენ საყდარს, რაც არასდროს არ დაემხობოდა;

ამგვარ სავანედ ჰპოვეს არისტოფანეს სული.

*

არისტოფანეს კომედიისათვის სპეციფიკურია, რომ ახალი თეზისი, რასაც პროტაგონისტი წარმატებით იცავს აგონში, აუცილებლად რეალიზებულია ეპისოდონებში და უკვე ამ რეალიზაციის მიხედვით ხვდება მაყურებელი და მკითხველი, საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ახალმა იდეამ, თუ იგი ასევე საბოლოოდ დამარცხდა. კარგად რომ გამოჩნდეს არისტოფანეს არჩევანი, ვიტყვით, რომ პროლოგში წარმოდგენილი და აგონში გამარჯვებული თეზისებიდან საბოლოოდ იმარჯვებს ახალი იდეა ჩვენამდე სრულად მოღწეული თერთმეტიდან ცხრა კომედიაში, სრულად მარცხდება ერთადერთ კომედიაში «ღრუბლები» და ნაწილობრივ – «ბაყაყებში».

როგორც ვხედავთ, კომედიათა საერთო ჯგუფიდან ამ თვალსაზრისით გამოიყო არისტოფანეს ორი ნაწარმოები, რომელთაგანაც ერთმა მას უდიდესი წარმატება, ხოლო მეორემ ასევე უდიდესი წარუმატებლობა მოუტანა – ეს, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის: ორიგინალობის შედეგის განსაზღვრა წინასწარ ყოველთვის ძნელია.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ არისტოფანეს კომედია აგებულია პოლიტიკური ან სოციალური ვითარებისა და ახალი თეზისის ოპოზიციაზე; მაგრამ ეს არ არის კომედიის სტრუქტურის ერთადერთი ოპოზიცია: კომედიაში ერთმანეთს უპირისპირდება, აგრეთვე, მისი ნაწილები; კერძოდ კი, კომედიაში ერთმანეთს უპირისპირდება ა გ ო ნ ი და ე პ ი ს ო დ ი ო ნ ე ბ ი. პირველ მათგანში მეტი სიჭარბითაა განხორციელებული ინვექტივის ელემენტები, მეორეში კი – მიმოსისა.

უბრალო დაკვირვებითაც კი ჩანს, რომ ამ ორი ელემენტისაგან შექმნილ კომედიაში, რომლის ორი თავდაპირველი ნაწილი საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის შერწყმული არისტოფანეს შემოქმედებაში, სხვადასხვაგვარია პერსონაჟის კონცეფცია: მართლაც, ისტორიულად არსებული რომელიმე პირი (პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, პოეტი, მეცნიერი, უბრალო ათენელი მოქალაქე და ა. შ.) კომედიაში წარმოდგენილია მეტწილად შ ა რ ჟ ი ს სახით, ხოლო ყოფით სცენებში პერსონაჟთა უმრავლესობა ს ქ ე მ ა ტ უ რ ა და ა ა წარმოდგენილი, ყოველგვარი ინდივიდუალური ნიშნების ხაზგასმის გარეშე. ოპოზიცია შარჟი/სქემა ხშირად ნეიტრალიზებულია პროტაგონისტის სცენურ სახეში: პროტაგონისტი, როგორც პერსონაჟი, თითქმის განუწყვეტლად იმყოფება სცენაზე და თითქმის ყველა «ურითერთდამოუკიდებელ» მოქმედებაში მონაწილეობს, აკავშირებს რა მათ ერთმანეთთან თავისი პერსონით, ატარებს როგორც შარჟის, ისე სქემის ელემენტებს; ამასთან, შარჟული ელემენტი პროტაგონისტის სახეში მეტწილად აგონში ვლინდება, ხოლო სქემატური – ეპისოდონებში. აქ აშკარად შეიმჩნევა პროტაგონისტზე სცენური გარემოს ზემოქმედება.

კომედიაში შარჟის სახითაა წარმოდგენილი არისტოფანეს თანამედროვე პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები: რადიკალური დემოკრატიის ლიდერი კლეონი, მხედართმთავრები – ლამაქე, დემოსთენე, ნიკია; რელიგიური მოღვაწეები, მაგა-

ლითად, ზევსის ქურუმი; ფილოსოფოსი სოკრატე და მისი მოსწავლეები, მაგალითად, ქერეფონტი; ცნობილი ასტრონომი და გეომეტრი, კალენდრის რეფორმატორი მეტონი; ტრაგიკოსები – ესქილე, ევრიპიდე და აგათონი; დითირამბიკოსი პოეტი კინესია; მითოლოგიის პერსონაჟები (ღმერთები და გმირები) – დიონისე, პოსეიდონი, პლუტონი, პლუტოსი, ჰერაკლე, პრომეთე, ჰერმესი, ქარონი, ეაკე. შარჟის სახითაა წარმოდგენილი «მხედრებში» თვით ათენელი ხალხიც კი – დ ე მ ს ი.

სქემის სახით კომედიებში გამოდიან: მაცნე, ელჩი, სიკოფანტი (მაბეზღარი), ბრალმდებელი, მჭედელი, მეაბჯრე, გამყიდველი, ქურუმი, შიკრიკი და სხვ. (პროფესიული ტიპები); ათენელი, სპარტელი, მეგარელი, ბეოტიელი, ტრიბალოსი და სხვ. (ეთნიკური ტიპები).


ამრიგად, პერსონაჟის დიფერენციაცია არისტოფანეს კომედიაში მარტივ დიქოტომიურ ტენდენციას ამჟღავნებს:

პერსონაჟი


პირველადი

დიქოტომია

შარჟი



სქემა



*მეორადი
დიქოტომია*

ისტორი-	მითოლოგიუ-	პროფესიუ-	ეთნიკური
ული	რი	ლი	ტიპი
პირი	პირი	ტიპი	

თუკი ამ მარტივი სქემის ბოლოს მიღებულ ოთხ ელემენტს დავუკვირდებით, აღმოვაჩნთ, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ დაახასიათებს და ვერ «მიისაკუთრებს» პროტაგონისტს; მართლაც, სულაც არ არის აუცილებელი, რომ პროტაგონისტი ისტორიულად არსებული პიროვნების სცენურ ტრანსფორმაციას წარმოადგენდეს (არისტოფანესთან ასეთი შემთხვევა გვაქვს მხოლოდ ერთ კომედიაში, «ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე», რომელშიც პროტაგონისტად გამოყვანილია ისტორიულად არსებული პირი, ევრიპიდე სიმამრი მნესილოქე; დანარჩენ ათ მოღწეულ კომედიაში პროტაგონისტი «არაისტორიული» პირია). მით უმეტეს, არ არის აუცილებელი, რომ პროტაგონისტი მითოლოგიურ პერსონაჟს (ღმერთს ან გმირს) წარმოადგენდეს (ჩვენამდე მოღწეულ კომედიებში ასეთი პროტაგონისტია დიონისე «ბაყაყებში», დანარჩენ ათ კომედიაში პროტაგონისტი «არამითოლოგიური» პირია). სრულიად გამორიცხულია, რომ პროტაგონისტი დახასიათდეს მხოლოდ პროფესიული, ან, შესაბამისად, მხოლოდ ეთნიკური ნიშნების მიხედვით. მისი სრული დახასიათებისათვის შემოდის ცნება «გამოგონილი» პერსონაჟისა, რომელიც ერთდროულად უპირისპირდება ე. წ. «ასახული» პერსონაჟის ორივე (პირვე-

ლად დიქტომიაში – შარჟი და სქემა) ან ოთხივე (მეორად დიქტომიაში – ისტორიული, მითოლოგიური პირი; პროფესიული, ეთნიკური ტიპი) ელემენტს.

ზემოთქმული მსჯელობა გულისხმობს მეტყველ პერსონაჟებს, მაგრამ ძველ ბერძნულ დრამაში და, მათ შორის, კომედიაშიც ხშირად ვხვდებით ე. წ. უტყვე პერსონაჟებს («პროსპა კფა»), რომლებიც, როგორც წესი, პროფესიულ ან ეთნიკურ ტიპებს წარმოადგენენ. ამრიგად, პერსონაჟის კონცეფცია არისტოფანესთან საკმაოდ რთულ დიქტომიურ დანაწევრებას განიცდის (რანგის მიხედვით: მეტყველი/მუნჯი, გამოგონილი/ასახული, შარჟი/სქემა, ისტორიული/მითოლოგიური, პროფესიული/ეთნიკური).

ძნელი არ არის, დავინახოთ, რომ არისტოფანეს ზოგიერთი პერსონაჟი ატარებს არა ორი, არამედ სამი და მეტი ტიპის პერსონაჟის ნიშნებს. მაგალითად, «მხედრების» პერსონაჟი დემოსი ატარებს არა მხოლოდ გამოგონილი ან ისტორიული პიროვნების ნიშნებს, არამედ მითოლოგიური პერსონაჟის ნიშნებსაც (იგულისხმება დემოსის მოხარშვა და გაახალგაზრდავება); პაფლაგონელის სახეში მოიპოვება როგორც ისტორიული პირის (კლეონის), ისე გამოგონილი პერსონაჟის (მეტაფორულად «პაფლადო» ზმნიდან) და პროფესიული ტიპის (დემოსის მონის) ნიშნები. ამრიგად, კომედიის პერსონაჟში შესაძლებელი ტიპების ოპოზიციათა ნეიტრალიზაცია ხდება არა ცალკეული ტიპის პერსონაჟზე უარის თქმით, არამედ ცალკეული ტიპის პერსონაჟთა ნიშნების შერწყმით ერთ პერსონაჟში, რომელიც ჩვენ თვალწინ იძენს მრავალგანზომილებიანობას; განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა პროტაგონისტისა და მისი წრის სახეებში. ამავე დროს, პერსონალური ინვექტივის შესუსტებასთან ერთად, რაც გამოწვეული იყო, როგორც ჩანს, დრამის შინაგანი განვითარების გარდა, სხვა, ასე ვთქვათ, «მეტადრამატული» მიზეზებით, თანდათანობით იკლებს შარჟირებულ პირთა რიცხვი და უკანასკნელ კომედიაში შარჟი, როგორც მხატვრული ხერხი, თითქმის არ გამოიყენება სუფთა სახით. ამის პარალელურად იკლებს სქემატურ პერსონაჟთა რიცხვიც. ჩვენამდე მოღწეულ კომედიათა შორის ორ უკანასკნელში («ქალები სახალხო კრებაზე» და «პლუტოსი») ოპოზიცია შარჟი/სქემა თითქმის მთლიანად ნეიტრალიზებულია და თითქმის ყველა პერსონაჟი (პრაქსაგორა, ბლეპიროსი, ქრემილე, კარიონი და სხვ.) ატარებს ინდივიდუალური ხასიათის მნიშვნელოვან ელემენტებს.

არისტოფანეს შემოქმედების გასაღებს გვადლევს მისი რთული და საინტერესო მეტაფორის ტიპი. კომედოგრაფოსის ენისა და სტილის შესწავლა გვარწმუნებს, რომ არისტოფანე თითქმის არასოდეს არ ქმნის რომელიმე მეტაფორას «არაფრისაგან»; ხშირია შემთხვევები, როდესაც არისტოფანე სრულიად შეგნებულად მიმართავს ენის საერთო საგანძურს: მისი მხატვრული სახეების უმეტესობა საკმაოდ «გაცვეთილია»; რა თქმა უნდა, ამა თუ იმ მეტაფორის გარეგნულ იერს შეუძლია გააკვირვოს ჩვენი თანამედროვე მკითხველი; მაგრამ ხშირად საკმარისია, თვალი გადავაავლოთ სხვა კომედოგრაფოსების, ტრაგიკოსების, ეპიკოსებისა და სხვათა ჩვენამდე მოღწეულ ნაწარმოებებს ან თხზულებათა ფრაგმენტებს, რომ «ო-

რიგინალურ» მეტაფორებს უფრო ძველი «პატრონები» აღმოუჩნდება. მრავალი მაგალითი გვარწმუნებს, რომ არისტოფანე თავის მეტაფორებს ხშირად იღებდა სალაპარაკო ენიდან, ჟარგონიდან, სოფისტების ტექნიკური ენიდან და ა. შ.

როდესაც «კომედიის მამა» პოეტს ადარებს ჩიტს, ფუტკარს, მოგზაურს, მეზღვაურს, მეეტლეს და ა. შ., უნდა ვიცოდეთ, რომ ამ სახეთა მოდელი, როგორც წესი, ინსპირირებულია ლირიკოს პოეტთა მიერ. კომედიოგრაფოსის მეტნაკლებად «ბანალური» და «ტრივიალური» პოეტური სახეები მიეკუთვნება ენის ყველა სოციალურ საფეხურსა და ყოველნაირ ლიტერატურულ რეგისტრს: იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვს სცენაზე გამოყვანილ პერსონაჟთა ზნე-ჩვეულების დამაჯერებლობა და ამა თუ იმ სცენის დრამატული სიტუაცია, არისტოფანეს პერსონაჟებს შეუძლიათ ილაპარაკონ ფიგურალური ენით, რომელიც შეეფერება როგორც ათენელ მეჯინიბეებს, ისე ყველაზე უფრო ამაღლებული და მაღალფარდოვანი ლირიკის პოეტებს. ჯერ კიდევ ჭაბუკმა კომედიოგრაფოსმა, როგორც ჩანს, ყველაფერი დაიმახსოვრა, რაც წაეკითხა ან გაეგონა. უკვე «აქარნელები» შეიცავს ყველა ტიპისა და რანგის მეტაფორას; ზოგიერთი მათგანი აშკარად ვულგარულია (მაგალითად «პაიენ» დარტყმა და «როთიაძენი» ხმაური – «ჭამის» აღსანიშნავად), მაშინ როცა სხვა მეტაფორები უკვე მაღალ დრამატულ კულტურას ავლენს; მაგალითად, გუნდის მიერ მუზის მოხმობა:

აქ მოდი, მუზავ აქარნელო,
უშრეტო სიმძლავრეც ცეცხლისა!
მუხის ნაკვერჩხლიდან ცვივა ნაპერწკლები,
ხოლო საბერვლიდან ზურგქარი უბერავს...

ჟ. ტაიარდას სიტყვებით რომ ვთქვათ, «425 წელს, ეს ოცი წლის გენიალური ახალბედა უკვე ვეტერანია, რომელსაც ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა».

თუმცა არისტოფანე თითქმის არ ქმნიდა ახალ მეტაფორულ სახეებს, სამაგიეროდ იგი განსაკუთრებით დიდ ენერგიას ახმარდა ტრადიციულ მეტაფორათა, კლიშეთა და ანდაზათა «გაახალგაზრდავებასა» და «გაცოცხლებას». საუცხოო მაგალითად გამოდგება პასაჟი «კრაზანებიდან», როცა მოსამართლე ფილოკლეონი საკუთარ ვაჟს, რომელსაც თავისსავე გრძნობებს მიაწერს, ეუბნება: «რა სიამოვნებით შეჭამდი ძმრიან სასამართლო პროცესს»; ამ ღრმა მეტაფორაში ერთი ხელის მოსმითაა წარმოდგენილი ათენის სახელმწიფოში სასამართლო საქმის ორგანიზაციის პრინციპული სისუსტე. მეტაფორა «ფაგინ დიკენ» (პროცესის ჭამა) ერთბაშად ნათელჰყოფს, რომ ათენელი მოსამართლეები დაინტერესებული იყვნენ სასამართლო პროცესების გამრავლებით და, შესაბამისად, დანაშაულობის ზრდით, რადგან სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული მათი ყოველდღიური არსებობა, ე. წ. «ხელფასის ლუკმა». რაც შეეხება ძმარს, ცნობილია, რომ იგი ძველ საბერძნეთშიც იყო ბრაზისა და გაღიზიანების, ამ შემთხვევაში კი მოსამართლეებში აღძრული აგრესიულობის, «ბოროტი მრისხანების» სიმბოლო.

არისტოფანეს რომელიმე მეტაფორამ შეიძლება განსაზღვროს მთელი სცენის სტრუქტურა ან მოგვცეს მთელი კომედიის სემანტიკური გასაღები; მიუხედავად ამისა, კვლევა გვარწმუნებს, რომ არისტოფანეს შემოქმედება არ იცნობს ე. წ. «დომინანტურ» მეტაფორას, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს და ქმნის ქსოვილს, რომელზედაც იქარგება დრამატული მოქმედება. მაგალითად, სრულიად აშკარაა, რომ სემანტიკური თვალსაზრისით, «კრაზანები» ბრაზისა და გალიზიანების კომედიაა – მის გუნდს შეადგენენ გესლიანი მოსამართლე-კრაზანები, მაგრამ ეს რისხვა-ბრაზი-გალიზიანება ერთი რომელიმე «დომინანტური» სახით კი არ აღინიშნება, არამედ მას მუდამ სხვადასხვა მეტაფორა გადმოსცემს. «მხედრებში» არაერთგზისაა გათამაშებული ათენელი დემაგოგების ქურდობისა და მათი გრიგალისებრი პოლიტიკური აქტიურობის მოტივი, მაგრამ აქაც «ქურდობისა» და «ბოროტი აგიტაციის» სახეები გამოხატულია არა შესაბამისი დომინანტური მეტაფორით, არამედ ცალკეული ახალ-ახალი მეტაფორების უზარმაზარი სიმრავლით.

არისტოფანეს მეტაფორისტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციფიკური მხატვრული ხერხი «მეტაფორის რეალიზაციისა», რომლის მეოხებითაც სიტყვა-სიტყვით გაგებული მეტაფორა სცენაზე «ცოცხლდება» მოქმედების რეკვიზიტის ან მოქმედების პერსონაჟის სახით. ამავე დროს, რეალიზაციისას გამოიყენება სიტყვის ფარული პოტენცია. ვთქვათ, რატომ წონის «ბაყაყების» პროტაგონისტი – ღმერთი დიონისე სცენაზე შემოტანილი ვეებერთელა სასწორით მოპაექრე ტრაგიკოსების – ესქილესა და ევრიპიდეს პოეტურ სტრიქონებს? იმიტომ, რომ სიტყვას «სტათმან» – «აწონვა» საკუთრივი მნიშვნელობიდან განვითარებული გადატანითი მნიშვნელობაც აქვს – «შეფასება, შედარება».

არისტოფანეს მეტაფორებს კომიკური, სახელადური, ექსპრესიული და პათეტიკური ფუნქციები ეკისრება; ამას ემატება საკუთრივ კომიკური ფუნქციის ელემენტები: «მეტყველი» სახელები, მსგავსება, ანტონომასია, ომონიმები და კალამბური, ნეოლოგიზმები, უხამსობანი, ორაზროვნება, ანდაზები, კომიკური პერიფრაზები, ჰიპერბოლა, ამაღლებულისა და ტრივიალურის კონტრასტი, შეუსაბამობანი, ალეგორიული სიზმრები, კომიკური ორაკულები, პაროდია-ბურლესკი, გროტესკი-კარიკატურა, ცხოველური ტრავესტი.

მეტაფორულ აზროვნებას უკავშირდება ძველი ატიკური კომედიის უაღრესად სპეციფიკური მახასიათებელი, მისი ფ ა ნ ტ ა ს ტ ი კ უ რ ო ბ ა. სხვა რომ არ იყოს, ფანტასტიკურ ხასიათს ატარებს კომედიის გუნდიც კი: ოცდაოთხი (ხშირად ერთი და იმავე სქესისა და ასაკის) ღრუბელი, ბაყაყი, კრაზანა, საიქიოს ზიარებული, კუნძული, დემი, არქილოქე და ა. შ. – ასეთია, ჩვეულებრივ, ძველი ატიკური კომედიის გუნდის შემადგენლობა. ფანტასტიკური ხასიათისაა კომედიაში დატრიალებულ ამბავთა უმრავლესობაც: დემოსის (ათენელი ხალხის) მოხარშვა მისი გაახალგაზრდავების მიზნით («მხედრები»), ზეციდან მშვიდობის ქალღმერთის ჩამოყვანა და მანამდე საამისოდ ჰერმესის მოსყიდვა («მშვიდობა»), ჰადესში ჩასვლა და იქიდან

გარდაცვლილი პოეტის ამოყვანა («ბაყაყები» და ჩვენამდე მოუღწეველი «ანაგრო-სი»); ქალების მიერ თეატრალური სცენის დაპყრობა (ჩვენამდე მოუღწეველი კომე-დია «სცენის დამპყრობი ქალები»); ისევ ქალების მიერ სახელმწიფო ძალაუფლე-ბის უზურპაცია («ქალები სახალხო კრებაზე»); მტრულ სახელმწიფოსთან გაცხარე-ბული ბრძოლის პერიოდში ერთვაციანი სეპარატული ზავის დადება («აქარნელე-ბი»); ზეცაში ფრინველთა «პროფაშისტური» სამეფოს დაარსება დევიზით: «ზეცა მხოლოდ ფრინველებისათვის» («ფრინველები»); აპოლონის რჩევით, პლუტოსის, სიმდიდრის ღმერთის მოტაცება და მისი იძულებითი მკურნალობა ასკლეპიოსის ტაძარში («პლუტოსი»); ნეხვის ხოჭოზე ამხედრებული გლეხის კოსმოსური ამბი-ციები («მშვიდობა»); რამდენიმე კონა ქინძით ათენის დემოკრატიული ინსტიტუ-ტების (საბჭო, სახალხო კრება) მოსყიდვა («მხედრები»); ქალების მიერ აკროპოლი-სის დაპყრობა და საერთო-ბერძნული მშვიდობის დამყარება («ლისისტრატე») და ა. შ. თავად ახალი თეზისი, რომელსაც პროტაგონისტი იცავს აგონში, ყოველ-თვის ფანტასტიკურ ხასიათს ატარებს; ვინაიდან კომედიის მთელი სიუჟეტი ამ თეზისის ირგვლივ იგება, ამიტომ ეს სიუჟეტიც აუცილებლად ფანტასტიკური ხა-სიათისაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფანტასტიკურობა არის არისტოფანეს კო-მედიის არა ატრიბუტული, არამედ სუბსტანციური ელემენტი. არ არის გამორიცხული, რომ ამ მხრივ იდენტური მდგომარეობა გვქონოდა არისტო-ფანეს წინამორბედ და თანამედროვე კომედიოგრაფოსთა შემოქმედებაში, საერ-თოდ, ძველ ატიკურ კომედიაში.

ჩვენი აზრით, ფანტასტიკურობის სუბსტანციური ხასიათი არისტოფანეს კომედიებ-ში (და, საერთოდ, ძველ ატიკურ კომედიაში) შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: არისტოფანეს კომედია მოქმედების განვითარების თვალსაზრისით შედგება ერთმა-ნეთისაგან დამოუკიდებელი სცენებისაგან, რომელთაც რაიმე ერთიანი მიზანი არ გააჩნია; შესაბამისად, მოქმედება არ ატარებს მიზანსწრაფულ ხასიათს, რაც იწვევს მისი ხანგრძლივობის «გაწელვას» და საბოლოოდ, უდროობის, უჟამობის განცდას; იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძველ კომედიაში დრო თითქმის არ გადის, ე. ი. იგი არ ამჟღავნებს თავის ძირითად ფუნქციას, ერთმანეთის მონაცვლე მოვლენების კა-ნონზომიერ კოორდინაციასა და დინამიზმს. ერთი შეხედვით, ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ამ «უდროო დროში» (ჩვენთვის ესოდენ ნაცნობი «უჟამო ჟამი» რომ არ ვიხმართ) მიმდინარე მოვლენები უჩვეულოდ ზანტად უნდა მიმდინარე-ობდეს; მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ძველი ატიკური კომედია ამჟღავნებს გასაო-ცარ დინამიზმს და ცალკეული სცენა უსწრაფესად მიექანება თავისი კონკრეტუ-ლი მიზნისაკენ. სწორედ შეთავსება ამ ორი საწყისისა: უჟამობისა (რაც თითქოსდა გამორიცხავს დინამიურობას) და დინამიურობისა (რაც თითქოსდა გამორიცხავს უჟამობას) იძლევა არისტოფანეს კომედიათა ფანტასტიკურობის გასაღებს. ანტი-ნომიური საწყისების შეთავსება, შეუძლებლის შესაძლებლობა არის ის გამოცანა, რომელსაც «კომედიის მამა» ილუზიონისტის ოსტატობით, შესაშური ძალდაუ-ტანებლობით განახორციელებს თავის შემოქმედებაში. უჟამობის, როგორც მხატ-

ვრული პრინციპის, სათავე არისტოფანესთან არის ინვექტივა, რომელიც მოკლებულია დროით განზომილებას, ხოლო დინამიურობისა – მიმოსის სცენები. შესაბამისად, ოპოზიცია უჟამობა/დინამიურობა არის ტრანსფორმაცია კომედიის თავდაპირველი ოპოზიციისა ინვენქტივა/მიმოსი. ამრიგად, ფანტასტიკურობა არის ანტიინოშიური საწყისების, ინვენქტივისა და მიმოსის შეერთებით მიღებული ახალი სტრუქტურული ელემენტი და რადგანაც თავისთავად არც ინვენქტივა და არც მიმოსი არ შეიცავს (აუცილებლობით) ფანტასტიკურ ელემენტს, ფანტასტიკურობა არის მათი შეერთების წესი; ფანტასტიკურობის გარეშე კომედიის ელემენტები ვერ გაერთიანდებოდა. ამიტომაცაა ეს ნიშანი ძველ ატიკურ კომედიაში სუბსტანციური ხასიათისა.

კომედიის ფანტასტიკური, ილუზიური სამყარო არ წყვეტს კავშირს რეალობასთან ამ სიტყვის უაღრესად პირდაპირი გაგებითაც კი: თეატრალური ილუზია არისტოფანესთან წამდაუწუმ ირღვევა. ამფითეატრში, ღია ცის ქვეშ მსხდომი ათასობით ადამიანი, დღისით, განათებისა და მბრუნავი სცენის გარეშე; უაღრესად შეზღუდული რიცხვი თეატრალური მანქანებისა – ყველაფერი თითქოსდა ისეა მოწყობილი, რომ თეატრმა თავისი ხიბლით მაყურებელი საოცარი ილუზიების სამყაროში გადაიყვანოს, უპირველეს ყოვლისა, თავისი ძირითადი იარაღების – სიტყვის, მუსიკისა და პლასტიკის მეოხებით. ამას ახერხებს კლასიკური ბერძნული ტრაგედია, მაგრამ კომედია? – კომედია განზრახ არღვევს თავის მიერვე შექმნილ ილუზიას. «ბაყაყების» პერსონაჟი, ღმერთი დიონისე, შუა მოქმედებისას ჩამოდის სცენიდან, გადაირბენს მთელ ორქესტრას და «საშველად» მოუხმობს ნამდვილი დიონისეს ნამდვილ ქურუმს, რომელიც აუცილებლად ესწრება ყველა წარმოდგენას (თეატრი ხომ დიონისეს კულტთან იყო დაკავშირებული) და პირველ რიგში, სპეციალურად მისთვის შერჩეულ სავარძელში ზის. პერსონაჟი დიონისე «თავისი» ქურუმის მოსყიდვასაც (!) კი ცდილობს ღვინითა და პურ-მარლით.

სცენური ილუზიის დარღვევას წარმოადგენს პარაბასისიც, რომელიც ეძღვნება კომედიის მოქმედებისაგან სრულიად განყენებულ, უმთავრესად პოლიტიკური ან ესთეტიკური პრობლემის განხილვას (ამასთან, შემჩნეულია ასეთი კანონზომიერება: «პოლიტიკურ» კომედიაში პარაბასისი ესთეტიკურ ხასიათს ატარებს და «ესთეტიკურში» – პოლიტიკურს; შდრ. «მხედრებისა» და «ბაყაყების» პარაბასისები). გუნდი თავისი «მასწავლებლის» (დრამატურგისა და რეჟისორის) სახელით უშუალოდ მიმართავდა მაყურებელს; სცენურ ილუზიას არღვევდა ე. წ. «პირდაპირი» ინვენქტივაც, მაყურებელთან მოულოდნელი უშუალო კონტაქტი, ამფითეატრში ტკბილეულის სროლა და უამრავი სიტყვიერი ალუზია.

კომედიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი იყო პაროდია, განსაკუთრებით კი ტრაგედიის პაროდია, ე. წ. პ ა რ ა ტ რ ა გ ე დ ი ა. რამდენად მნიშვნელოვანი იყო პარატრაგედია ძველი კომედიისათვის, იქიდანაც ჩანს, რომ არისტოფანეს ჩვენამდე მოღწეულ კომედიებსა და ფრაგმენტებში პაროდირებულია ევრიპიდეს 46(!)

ტრაგედია. არისტოფანეს კომედიებში ტრაგედიებიდან მთელი მონაკვეთებისა და მოტივების, ტრაგიკოსთა ცალკეული სიტყვების, ფრაზების, პერსონაჟების პაროდიაა მოცემული და რადგან ძველ ბერძენ ტრაგიკოსთა პოეტური მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი არ შემოგვრჩა, არისტოფანეს კომედიის ბევრი მინიშნების ამოცნობა თითქმის შეუძლებელია; მაგრამ ჩვენი დრამატურგისათვის პაროდია თვითმიზანი არასოდეს ყოფილა: მისი ტექსტი, სულ ცოტა, ორგანზომილებიანია: ერთია კომედიის სტრუქტურით განსაზღვრული შინაგანი პლანი და მეორე – პაროდიული (გარეგნული). როდესაც ამ უკანასკნელის აღქმა მიუღწეველია ჩვენთვის (არ არის შემორჩენილი შესაბამისი პაროდირებული ტრაგედიის სრული ტექსტი), კომედიის ინფორმაცია მაინც გასაგებია ჩვენთვის – უბრალოდ, იკარგება «სტერეოფონის» ეფექტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არისტოფანე გულისხმობს განათლებულ მაყურებელს, რომელმაც კარგად იცის ბერძნული ლიტერატურა – ეპოსი და ლირიკა, განსაკუთრებით კი დრამა. ასეთი მაყურებელი მიხვდებოდა მის საკმაოდ «ბნელ» მინიშნებებს ამა თუ იმ ნაწარმოებზე, ან რომელიმე დასახელებული ნაწარმოების ამა თუ იმ პასაჟზე და ა. შ.

ყველაფერი ეს, მთელი მხატვრული არსენალი – შარჟისა და სქემის ოპოზიცია, მეტაფორა და მისი რეალიზაცია, ფანტასტიკურობა, სცენური ილუზიის დარღვევა, პარატრაგედია და ა. შ., რომელიც ცალკეული ელემენტების სახით მანამდეც არსებობდა და რომლებსაც, როგორც შემორჩენილი ფრაგმენტების ანალიზით ვრწმუნდებით, სხვა კომედიოგრაფოსი პოეტებიც მიმართავდნენ, არისტოფანემ პირველმა გამოიყენა კომედიის ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული საწყისის, ინვექტივისა და მიმოსის შესარწყმელად, მათ შორის ოპოზიციის მოსახსნელად, აგონ/ეპისოდის დიქოტომიის ნეიტრალიზაციისათვის.

ეს პროცესი, კომედიის ორ განსხვავებულ საწყისსა და ორ ფუნქციონალურად დაპირისპირებულ ელემენტს შორის ბინარული ოპოზიციის ნეიტრალიზაცია, არისტოფანეს შემოქმედებაში ნელ-ნელა მიმდინარეობდა. შეიძლება ითქვას, რომ უკვე «პლუტოსში» (რომლის პირველი ვარიანტი, როგორც ვთქვით, 408 წელს დაიდგა) ოპოზიცია აგონი/ეპისოდის აღარ გამოიყოფა და მისი ნეიტრალიზაცია უკვე მომხდარი ფაქტია. მეცნიერებაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ არისტოფანეს უკანასკნელი კომედიები მხატვრულად მნიშვნელოვნად ჩამორჩება თავის წინამორბედებს (ეს, რა თქმა უნდა, სადავო საკითხია, საკმარისია აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეებში არისტოფანეს ყველაზე უფრო პოპულარული კომედია სწორედ «პლუტოსი» იყო); ჩვენი აზრით, აქ რაიმე ჩამორჩენასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ პრინციპულ განსხვავებასთან. სწორედ არისტოფანეს უკანასკნელ დრამებში ჩამოყალიბდა კომედია, როგორც ახალი ჟანრი, ძლიერ ნაცნობი ჩვენთვის, მსგავსი იმ პიესებისა, რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ კომედიას. კომედიებიდან «ქალები სახალხო კრებაზე» და «პლუტოსი» ერთი ნაბიჯია ე. წ. საშუალო და ახალ ატიკურ კომედიამდე, სწორედ «პლუტოსზე» გადის გზა არისტოფანეს «აქარნელებიდან»

მენანდრეს «დისკოლოსამდე»; ეს გზა გაივლის პლავტუსსა და ტერენციუსს და გაგრძელდება შექსპირისა და მოლიერის კომედიებამდე.

*

ძველი ატიკური კომედია პოლიტიკური კომედიაა, რომელშიც გამორიცხულია ეპოსისათვის დამახასიათებელი ობიექტურობა; აკი ენგელსმაც არისტოფანეს მკვეთრად გამოხატული ტენდენციური პოეტი უწოდა. ამ აზრის სისწორე იოლად შესამჩნევია არისტოფანეს რომელიმე ნაწარმოებთან პირველივე შეხვედრისთანავე; მაგრამ არისტოფანეს მსოფლმხედველობის ზუსტად განსაზღვრა ურთულესი ამოცანაა, ვინაიდან მთელი სამყარო კომედიაში, ამ ჟანრის სპეციფიკის გამო, ინვერსიულადაა ასახული და არისტოფანესთან თითქმის არაფერი არ წყდება პოზიტიურ პლანში. ამის გამო ჩვენთვის ძალიან ძნელი დასადგენია კომედიოგრაფოსის სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებები. მართალია, თავისი ნაწარმოების საერთო ტენდენციებს ავტორი ხანდახან პოზიტიურ პლანშიც გვიხსნის პარაბასისებში (თუმცა სრული დარწმუნებულობით ამის თქმაც ძნელდება), მაგრამ ბევრი საკითხი დღემდე გამოცანად რჩება და არისტოფანეზე მსჯელობისას მეცნიერებაში დღემდე დიდი უთანხმოებაა.

არისტოფანეს საერთო ტენდენციებიც კი იწვევს ეჭვს – რამდენად სერიოზულია ისინი? არისტოფანეს სხვადასხვა კომედიაში გაბნეული მსჯელობებისა და ცალკეული გამონათქვამების შეჯერებით თითქოს ვლინდება კიდეც რაღაც საერთო, რომლისგანაც თითქოს შეძლება აიგოს რაიმე პოზიტიური მოძღვრება; ამის საფუძველზე არისტოფანეს თვლიდნენ მიზანთროპ პოეტად, რომელიც «ამაღლდა» თავის საუკუნეზე და «ზემოდან» გადმოხედა თავის ეპოქასა და თანამედროვეებს. ასეა თუ არა ეს? უნდა ვეძებოთ თუ არა არისტოფანეს პოლიტიკურ პაროდიაში განმსაზღვრელი და მიმართული პოლიტიკა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მრწამსი, პრინციპული და სერიოზული, რაც მთავარია, მიზანდასახული და თანმიმდევრული კრიტიკა?

თუკი ყველაფერი ეს ასეა და ამ კითხვებზე დადებითად შეგვიძლია ვუპასუხოთ, მაშინ არისტოფანე ყოფილა ტრადიციონალისტი და თავგამოდებული კონსერვატორი, ყოველგვარი სიახლის თავდაუზოგავი და პრინციპული მტერი. გამოდის, რომ ჩვიდმეტი წლის ასაკში იგი მტკიცედ დამდგარა წარსულის მხარეს, მომავლის წინააღმდეგ; რომ იგი ყოფილა ძველი და ყავლგასული იდეალების ერთგული პოეტი, არასოდეს უღალატია მათთვის (თუმცა ისინი მის თვალწინ მახინჯდებოდა და საზარელ ფორმებს ღებულობდა); რომ თავს ესხმოდა ყველას, ვინც ამ საუკუნოვან იდეალებს შეეხებოდა და «უდიერად მოეპყრობოდა». ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ეს, თავისთავად, შესაძლებელი რამაა, მაგრამ მაშინ უნდა არსებობდეს რაიმე პოზიტიური შეხედულებებიც; მთელი სირთულე კი ისაა, რომ ამგვარ შეხედულებათა ფორმულირება არ ხერხდება. არისტოფანე მკაცრად აკრიტიკებს დე-

მოკრატისა, მაგრამ განა იგი მომხრეა არისტოკრატიული წყობილებისა? – ეს არსად ჩანს. არისტოფანე აკრიტიკებს ცნობილ პიროვნებებს: კლეონს, ლამაქეს, ჰიპერბოლეს, კლეოფონტს, პერიკლესაც კი (სიკვდილის შემდეგ!); თვით ათენელი ხალხი მას მოტყუებულ და ჭკუასუსტ ბერიკაცად გამოჰყავს სცენაზე. – ნუთუ იგი ფიქრობდა, რომ ათენის სახელმწიფო უკეთესი გახდებოდა სხვა ხელმძღვანელების ხელში? – ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. არისტოფანე გვიჩვენებს სოფისტების გადაგვარებასა და გახრწნილებას, რიტორიკით უზნეო გართობასა და უსამართლობას; – უნდოდა თუ არა მას, აეკრძალათ მჭევრმეტყველების შესწავლა და უბრალოდ დაბრუნებოდნენ ძველი აღზრდის სისტემას? იქნებ მას სურდა მხოლოდ უკიდურესობების ჩვენება, რისი გამოსწორებაც, მისი აზრით, შეიძლებოდა? – მას ეს არსად უთქვამს. ევრიპიდეს დაუძინებელი «ლიტერატურული მტერი» და მოწინააღმდეგე კომედიოგრაფოსი იყო თუ არა ამავე დროს ასეთივე «მტერი» საერთოდ ახალი პოეზიისა? როგორც ჩანს, არა. ყოველ შემთხვევაში, მას თავად აღაფრთოვანებდა იმ პოეტის სტილი, რომელსაც წამდაუწუმ დასცინოდა თავის კომედიებში. არისტოფანე ათეისტების თავდასხმებისაგან იცავდა ღმერთებს თითქოსდა მხოლოდ იმისათვის, რომ შემდეგ საქილიკო გაეხადა მათდამი მონური მორჩილება და უფლება მოეპოვებინა მკრეხელურად მოეხსენიებია ისინი.

ამგვარად «აღდგენილი» ტრადიციონალისტი და კონსერვატორი პოეტის პორტრეტი ვერანაირად ვერ ემთხვევა პოეზიის ნოვატორისა და ინოვაციური თეზისის განმახორციელებელი დრამატურგის ჭეშმარიტ პორტრეტს. ხშირ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავთ, თურასესხმის თავსკომედია, მაგრამ საკმარისია, დავინტერესდეთ, თურასიცავს იგი, რომ გამოუვალ ჩიხში მოვექცევით.

იქნებ თავადაც არ იცოდა კარგად არისტოფანემ, რას იცავდა? იქნებ არც სჭირდებოდა ამის ცოდნა? – მისთვის ხომ უცხო იყო ობიექტური განსჯა?.. მას ჰქონდა ინსტინქტური გრძნობა, თუ რას მოითხოვდა მისი ხელოვნება და როგორ უნდა გამოვლენილიყო მისი ბრწყინვალე ტალანტი.

მართალია, დღემდე გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება მისი პოლიტიკური პლატფორმის პრობლემა, მაგრამ არის ორი რამ, რაც ნამდვილად ვიცით: ჯერ ერთი ის, რომ არისტოფანე თითქმის ყველა თავის კომედიაში იცავდა მშვიდობას; არ არსებობს არც ერთი პასაჟი, არც ერთი ფრაგმენტი, სადაც იგი განადიდებდეს ძმათაშორის ომს (განსხვავებული მდგომარეობაა ბერძენ-სპარსელთა, ე. წ. «სამართლიანი» ომის შეფასებისას); მეორეც ის, რომ არისტოფანე განსაკუთრებული სიმპათიითაა განწყობილი გლეხებისა და წვრილი მიწათმოქმედებისადმი.

თითქოსდა არისტოფანეს სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებებზე უკეთ უნდა ვიცნობდეთ მის ლიტერატურულ შეხედულებებს, უპირველეს ყოვლისა კი მოსაზრებებს პოეტისა და პოეზიის დანიშნულებაზე, რაზედაც იგი ხშირად საუბრობდა თავისი კომედიების პარაბასისებში; ამ საკითხს მიეძღვნა

მთელი კომედია «ბაყაყები», რომელშიც ინსცენირებულია კამათი ესქილესა და ევრიპიდეს შორის პოეტური ხელოვნების, «ტექნეს» საუკეთესო მცოდნე დრამატურგის ტიტულის მოსაპოვებლად. კომედოგრაფოსისა და მისი პერსონაჟების აზრით, ტექნე არის, უპირველეს ყოვლისა, სცენაზე გამოსატანი მასალის, ე. ი. თემის სწორად შერჩევა («ბაყაყები», სტრ. 850, 959-961); მეორე სფერო, სადაც ვლინდება ტექნე, არის ის ეფექტი, რომელსაც მხატვრული ნაწარმოები ახდენს მოქალაქეებზე (სტრ. 1008-1009); ხოლო ტექნეს არსის მესამე ჰიპოსტასია სიტყვიერი გამომსახველობა – სიტყვისა და პერსონაჟის რანგის, სიტყვისა და აზრის სიდიადის შესაბამისობა (სტრ. 1057-1060), სინონიმის სიზუსტე (სტრ. 1152-1165), ნათელი და გასაგები მეტყველება (სტრ. 925-926) და ა. შ., მაგრამ «ბაყაყებში» კარგა ხანია აღმოაჩინეს პოეზიის სოფისტური კრიტიკის პაროდია (ო. ნავარი). ამდენად, არისტოფანეს მიერ ტრაგიკოსთა ტექნეს განხილვა იმდენად პოეზიის თვითშემეცნება არაა, რამდენადაც სცენაზე იმ მოძღვრების პაროდირებული სახით წარმოდგენა, რომელიც საკმაოდ ცნობილი იყო თავისი დროისათვის და რომელსაც ინტენსიურად ამუშავებდნენ ძვ. წ. ს. ორატორი სოფისტები.

*

არისტოფანეს კომედიები დაწერილია ძველი ბერძნული ენის ატიკურ დიალექტზე უბრწყინვალესი ენით, რომელიც გამოირჩევა დიდი სიცოცხლით, გამომსახველობით, გამომგონებლობითა და სიმდიდრით. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ხშირ შემთხვევაში ავტორი ცდილობს მოქმედი პირების მეტყველების მეტნაკლებად ინდივიდუალიზაციას. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია, მაგალითად, «მეცნიერულად» მეტყველი სოკრატესა და უბირი სტრეფსიადეს დაპირისპირებისას «დრუბლებში». აი, «მეცნიერული» ტირადა ამ კომედიიდან (სტრ. 227-232): «...სწორად ვერასოდეს გაიაზრებ ამალღებულ საგნებს, თუ არ ჩამოჰკიდებ გონებას და არ შეუზავებ მას მისსავე მსგავს, ნატიფ ჰაერს. მიწაზე რომ ვყოფილიყავი და ქვემოდან ზემოთ ამეხედა, ვერაფერს დავინახავდი, რადგან მიწის მიზიდულობის ძალა თავისგან არ უშვებს აზრის ტენიანობას» (ამას ამბობს ჰამაკში წამოწოლილი სოკრატე). ასეთ «რთულ» და «ბრძნულ» მეტყველებას ვერაფერს უგებს საბრალო სტრეფსიადე, რაც იშვიათ კომიკურ ეფექტს ქმნის.

პაროდები, რომლითაც სავსეა არისტოფანეს კომედიები, შესრულებულია იმ ჟანრის სტილის გათვალისწინებით, რომლის ნაწარმოების პაროდირებაც ხდება; ამრიგად, არისტოფანე გვევლინება, როგორც «ავტორი» ეპოსისა, ტრაგედიისა და დითირამბისა.

არისტოფანეს კომედიაში გამოყვანილი უცხოელი «ბარბაროსულად» მეტყველებს; – ასეთია კომედია «აქარნელებში» სპარსეთის ცრუ ელჩის მეტყველება (სტრ. 100-109), სკვითი ჩაფრის ენა კომედიაში «ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე» (სტრ. 1176-1225); «ბარბაროსულად» მეტყველებს «ფრინველებში» თრაკიული ღმერთი ტრიბალოსი (სტრ. 1678 შმდგ.). შესაბამისადაა ასახული ბერძნული ენის

სხვა (არაატყურ) დიალექტებიც – კერძოდ, დორიული, სპარტელი დედაკაცის მეტყველებაში («ლისისტრატე», სტრ. 93 შმდგ.), ბეოტიური («აქარნელები», სტრ. 860-954), მეგარული (იქვე, სტრ. 729-835) და ა. შ.

კომიზმის მისაღწევად პოეტი მიმართავს უცნაურ ნეოლოგიზმებს. უფრო ხშირად კი იგი განზრახ ამახინჯებს ცოცხალი მეტყველებიდან აღებულ «უცოდველ» სიტყვებს და მათ ახალ, ხშირად მეტად უხამს მნიშვნელობებს ანიჭებს. განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობა იგი კომპოზიტებს; – იოლი წარმოსადგენია კომიკური ეფექტი, რასაც იწვევს სხაპასხუპით წარმოთქმული სიტყვა-კომპოზიტი, რომელიც 24 (!) ნაწილისაგან შედგება («ქალები სახალხო კრებაზე», სტრ. 1169-1175).

*

ძველი ატიკური კომედია სრულიად უნიკალური მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში; მან თავის უზენაეს განვითარებას მიაღწია ძვ. წ. ' საუკუნეში და ერთი მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ (ს. უიტმენი), მემკვიდრის დაუტოვებლად გარდაიცვალა: საშუალო და ახალმა ატიკურმა კომედიამ მიიღო არა მხოლოდ ახალი ფორმა, არამედ სრულიად განსხვავებული სულიც; რაც შეეხება ძველ ატიკურ კომედიას, მომდევნო თაობების მეხსიერებაში იგი საბოლოოდ დაუკავშირდა ძვ. წ. ' საუკუნის ათენის დემოკრატიულ საზოგადოებას და მისი გადანერგვა სხვა ნიადაგზე ან მისი აღორძინება სხვა ეპოქაში შეუძლებელი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იგი გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ გვეჩვენება, იყო დამოკიდებული სიტყვის (განსაკუთრებით კი ინვექტივის) თავისუფლებაზე, რაც თანდათანობით შეიზღუდა შემდგომ ეპოქებში; ამას გარდა, იგი მთლიანად განსაზღვრული იყო იმდროინდელი საზოგადოების შინაგანი სტრუქტურით, რომელშიაც მთავარ როლს ასრულებდა კერძო ინიციატივის არნახული აყვავება. ძველი ატიკური კომედია, როგორც ასეთი, მოკვდა პელოპონესის ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ათენის პოლისმა დაკარგა თავისი ოდინდელი მჭიდრო კავშირი ცალკეული ინდივიდის კერძო ცხოვრებასთან. შეიძლება პარადოქსადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ ამ კომედიის აყვავების ხანაც მოდის სწორედ პელოპონესის ძმათაშორის ომის პერიოდზე, როდესაც პირველად იჩინა თავი ბზარმა პიროვნებასა და საზოგადოებას, ინდივიდსა და პოლისს შორის. როდესაც ოპოზიციამ ცალკეულ პიროვნებასა და მთელ საზოგადოებას შორის საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ინდივიდსა და პოლისს შორის, არისტოფანემ და, საერთოდ, ძველმა კომედიამ ძალიან სწრაფად დაკარგა მნიშვნელობა მთელი გვიანი ანტიკურობისათვის. უკვე არისტოტელე ძველი და ახალი კომედიის დაპირისპირებაში უპირატესობას ანიჭებს კომედიის ახალ ფორმას და ძველს აიგივებს ბუფონადასა და უხამსობასთან. ჰორაციუსისათვის არისტოფანე თავის ორ უფროს თანამედროვესთან და მეტოქესთან, კრატინესა და ევპოლისთან ერთად არის მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლო სატირული მეტყველების დიდი თავისუფლებისა, რომელიც თითქოსდა ემსახურებოდა მაყურებლის მორალურ სრულყოფას. ოდნავ მოგვიანებით არისტოფანე და

«ახალი ატიკური კომედიის ვარსკვლავი» მენანდრე ერთმანეთს შეუდარა პლუტარქემ, რომელმაც უპირატესობა ამ უკანასკნელს მიანიჭა, ხოლო ძველი ატიკური კომედია ვულგარულად და ირაციონალურად გამოაცხადა. არისტოფანეს კომედიების გამოცემასა და მისი შემოქმედების კომენტირებაზე ზრუნავდნენ როგორც ალექსანდრიელი, ისე ბიზანტიელი ფილოლოგებიც, მაგრამ, როგორც მათი ნაღვაწის გაცნობა გვარწმუნებს, «კომედიის მამისა» კარგად არც მათ ესმოდათ. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, გამონაკლისია მარკუს ფაბიუს კვინტილიანე («ორატორის დარიგებანი», 9, 3, 65): «ძველი კომედია, უპირველეს ყოვლისა, თითქმის ერთადერთია, რომელმაც შემოგვინახა ატიკური მეტყველების წმინდა გრაცია; მეორეს მხრივ, იგი ხასიათდება უდიდესი მჭევრმეტყველებითი თავისუფლებით... იგი დიადი, ელეგანტური და მომხიბლავია და მე ეჭვი მეპარება, რომ ორატორისათვის არსებობდეს რაიმე უფრო დიადი (რა თქმა უნდა, ჰომეროსის შემდეგ, რომლისთვისაც, აქილევსისა არ იყოს, ყოველთვის უნდა დაუშვა გამონაკლისი)». კვინტილიანეს ეს მაღალი შეფასება შემორჩა მეხსიერებას და ტრაქტატის «ამაღლებულისათვის» მკაცრი ავტორიც კი, რომელიც იშვიათად თუ შეაქებდა ვინმეს, აღიარებდა, რომ არისტოფანე დროდადრო მაინც აღწევდა ამაღლებას, მიუხედავად მისი საერთოდ მდაბალი მეტყველებისა. ასეთი შეფასებები გამონაკლისია ანტიკურობაში და მათ, რა თქმა უნდა, ვერც შეძლეს, ოდნავ მაინც გამოევიწყინათ არისტოფანეს რეალური პოეტური ძალა, მაგრამ ისინი აღძრავდნენ ფიქრებს და მათ, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ კომედიის შემდგომი დროის თეორეტიკოსები, რომლებიც კომედიის არსად აცხადებდნენ ე. წ. «კომიკურ კათარზისს» და ძველი ატიკური კომედიის აღსასრულს სახავდნენ კანონზომიერ მორალურ მოვლენად.

ამ შეხედულებამ სხვადასხვა ფორმა მიიღო. ერთ-ერთი პოპულარული გააზრებით, ძველი კომედია გამოცხადდა ანტიკური პოლისის მთავარ მორალურ ელექსირად; ანტიკურობიდანვე გაბატონდა და დღემდე ინარჩუნებს ძლიერ პოზიციას შეხედულება, რომლის თანახმადაც ძველი კომედია წარმოადგენდა რეალურ ძალას, რომელსაც თითქოსდა დიდი მორალური სარგებლობა მოჰქონდა როგორც მთელი პოლისისათვის, ისე ცალკეული პიროვნებებისთვისაც; ასეთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, «მორალისტური» პოეტიკა, გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, ნათელ და მწყობრ თეორიად ჩამოაყალიბა არისტოტელემ; სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, იგი ბევრად უფრო ადრინდელია და ეყრდნობა პოეტის, როგორც ხალხის მასწავლებლისა და მოძღვრის ფართოდ გავრცელებულ კონცეფციას. როგორც ჩანს, ამ კონცეფციას იზიარებდა ბიზანტიური ეპოქაც, რომელმაც არა მხოლოდ არისტოფანეს, არამედ კრატინესა და ევპოლისის თხზულებებიც შეიტანა სასკოლო ლიტერატურაში. არისტოფანეს უდიდეს პოპულარობაზე ამ ეპოქაში მიუთითებს ისიც, რომ მის კომედიებს შეიცავდა 230-ზე მეტი ხელნაწერი, მის შემოქმედებას კარგად იცნობდა ანა კომნინი.

არისტოფანეს კომედიის თავისებურებები სერიოზულად უშლიდა ხელს მის აღიარებას ახალ დროში. რენესანსის ეპოქაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე პოპულარული იყო არისტოფანეს კომედია «პლუტოსი», რომელშიც ყველაზე ნაკლებად აისახა მისი დროის პოლიტიკური ბრძოლა, ინვექტივა – ის, რაც არისტოფანეს დანარჩენ კომედიათა ყველაზე დიდ სპეციფიკურობას წარმოადგენს. იმ რამდენიმე მწერალს შორის, რომლებმაც სწორად გაიაზრეს არისტოფანეს პოეზიის ძალა, იყო გენიალური ფრანსუა რაბლე.

დაინტერესება არისტოფანეს შემოქმედებით გაძლიერდა ⁹ '33 საუკუნის საფრანგეთსა და გერმანიაში. რასინმა «კრაზანების» გავლენით დაწერა თავისი «დავაქარნი». განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო არისტოფანეს ⁹ '333 საუკუნემ. არისტოფანეს შემოქმედება ალაფროთოვანებდა ინგლისში სვიფტსა და ფილდინგს; გერმანიაში გოეთემ სცადა «ფრინველების» გადაკეთება; ვილანდმა თარგმნა «კომედიის მამის» ოთხი კომედია; ბერძენი დრამატურგის უსაზღვრო ფანტაზია ალაფროთოვანებდა ტიკს; არისტოფანეს შემოქმედებას უმაღლეს შეფასებას აძლევდა იმერმანი, ბაძავდა პლატენი; არისტოფანე მოლიერზე მაღლა დააყენა სტენდალმა. არისტოფანეს გავლენა ეტყობა ჰაინეს, ჰაუპტმანს, ფრანსს, კოქტოს, ჟარის, ბრეხტს...

1954 წელს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მთელმა მსოფლიომ აღნიშნა გენიალური კომედიოგრაფოსის დაბადების 2400 წლისთავი.

*

არისტოფანეს კომედიების თარგმნას ბევრი სირთულე ახლავს (ინვექტივის სწორი გადმოცემა, უხამსობების «შერბილება», «ბნელი» მინიშნებების შენარჩუნება და ა. შ.), მაგრამ ამ სირთულეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩვენი აზრით, არის მეტრული პრინციპების შემუშავება.

როგორც ცნობილია, ანტიკური დრამა განსხვავებული საზომებით იწერებოდა. სადიალოგო პარტიის უდიდესი ნაწილი იამბური ტრიმეტრით იყო გამართული, პარაბასისი – მთავარი (მეორე) ნაწილი კომედიაში – ანაპესტური ტეტრამეტრით, ეპირემა და ანტეპირემა – ტროქეული ტეტრამეტრით და ა. შ.

ტროქეული ტეტრამეტრი ჩვენს თარგმანში გადმოცემულია კატალექტიკური მაღალი შაირით, ტროქეული ტრიმეტრი – თორმეტმარცვლიანი 4/4/4 ლექსით, ტროქეული დიმეტრი – რვამარცვლიანი 4/4 ლექსით.

ანაპესტური ტეტრამეტრი გადმოცემულია ქართული ოცმარცვლიანი (ბისტიკაური) ლექსით, ტრიმეტრი – თხუთმეტმარცვლიანი, დიმეტრი – ათმარცვლიანი და მონომეტრი – ხუთმარცვლიანი ლექსით («საბაზო» მუხლია 5).

დაქტილური ჰექსამეტრის გადმოსაცემად გამოყენებულია თვრამეტმარცვლიანი 6/6/6 ლექსი.

იამბური ტრიმეტრი გადმოცემულია თორმეტმარცვლიანი 6/6 საზომით, იამბური ტეტრამეტრი – კატალექტიკური დაბალი შაირით, ხოლო დიმეტრი – რვამარცვლიანი 3/5 ან 5/3 ლექსით.

საგუნდო პარტიების გადმოსაცემად მივმართეთ ორ პრინციპს: 1. ანტისტროფი რიტმული სტრუქტურით მთლიანად იმეორებს სტროფს; 2. ვინაიდან ქორიკის სა-
ზომებში მაქსიმალურად შეზღუდულია გრძელი მარცვლის დაშლა, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მარცვალთა რაოდენობას სტრიქონში.

ლევან ბერძენიშვილი

აქარნელები

მოქმედი პირნი

დიკეოპოლისი, გლეხი.

მაცნე.

ამფითეოსი.

სპარსეთის მეფის კარიდან დაბრუნებული ათენელი ელჩები.

ფსევდარტაზასი.

თეორე.

აქარნელ მოხუცთა გუნდი.

დიკეოპოლისის ასული.

ევრიპიდეს მსახური.

ევრიპიდე.

ლამაქე.

მეგარელი.

მეგარელის ორი გოგონა.

მაზეზდარი.

ბეოტიელი.

ნიკარქე.

ლამაქეს მსახური.

გლეხი.

მეჯვარე.

შიკრიკი.

უსიტყვო პირნი: ელჩები, თრაკიელები, დიკეოპოლისის ცოლი,
დედოფლის დობილი, მონები, ფლეიტისტები, მოცეკვავე
ქალები.

პროლოგი

მოქმედება ხდება პნიქსზე, ათენში სახალხო კრებებისათვის განკუთვნილ მოედანზე. პნიქსი ცარიელია. გამოჩნდება დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რამდენჯერ მომიკვდა ეს გული, რამდენჯერ!

და რამ გამახარა? ოთხიოდ ამბავმა;

ტანჯვა კი, იცოცხლე, აურაცხელია!

ან სასიხარულო რა ვნახე, ნეტავი?

⁵ ჰო, ჰო, გამახსენდა: ის ხუთი ტალანტი,

კლეონს რომ სცენაზე ამოანთხევინეს,

ო, რა ვისეირე! მხედრებს ვენაცვალე,

მთელი საბერძნეთის გული გაახარეს;

თუმცა არ დამაკლდა ტანჯვაც, «ტრაგიკული»,

¹⁰ მე პირდაღებული ველოდი ესქილეს

და გამოიყვანა გუნდი... თეოგნისმა.

თქვენ როგორ გგონიათ, რა მომივიდოდა?

მერმე გავიხარე, მოსქე რომ შეცვალა

დექსითეოსმა და ტკბილად გვიგალობა.

¹⁵ ისიც წელს არ იყო, კინაღამ რომ მოვკვდი? –

ქერისი გამოძვრა და ჰიმნი გვიმღერა!

ბავშვობის დროიდან აღარც კი მახსოვდა,

რომ ასე აეწვას თვალი ნაცარტუტას,

ახლა რომ ამიწვა: დილით მოიწვიეს

²⁰ კრება და პნიქსი კი სულ ცარიელია!

ხალხი აგორაზე ლაყბობს და ირევა,

წითლად შეღებილ თოკს სუყველა გაურბის.

აღარც პრიტანები მოდიან, უდროოდ

მოვლენ და, ხომ იცით, ჭყლეტაც დაიწყება;

²⁵ შემოიჭრებიან, პირველი რიგისკენ

გაიწვევს სუყველა... მშვიდობის საქმეზე

არავინ იდარდებას... «სამშობლოვ, სამშობლოვ!»

მე მუდამ პირველი მოვდივარ კრებაზე,

ვჯდები და, რადგანაც სრულიად მარტო ვარ,

³⁰ ვკვნესი და ვამთქნარებ, «ჰაერსაც ვაფუჭებ»,
თმებს ვიგლეჯ, ვხატავ და თავს ვეკამათები;
გული სანატრელი სოფლისკენ მიმიწევს,
მშვიდობას მიველტვი... ქალაქი არ მიყვარს;
ჩვენთან ვინ გეტყოდა: «ნახშირი იყიდე»,
³⁵ ან «ზეთი», ან «ძმარი»? იქ სიტყვა «იყიდეც»
არავინ იცოდა, უბრალოდ, მოჰქონდათ...
ახლა კი მოვედი, კარგად მოვემზადე,
ვიყვირებ, ვიჩხუბებ, რიტორებს დავლანძღავ,
თუკი მშვიდობაზე არ ისაუბრებენ.
⁴⁰ მობრძანდნენ! ვედირსეთ შუადღის პრიტანებს.
წელან არ გითხარით? რა ზედახოცვაა!
პირველი რიგისკენ მიიწევს სუყველა.

მ ა ც ნ ე

წინ გადმოიწიეთ.

განწმენდილ ადგილზე გადმოდით ყველანი.

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

ვინმე გამოვიდა?

მ ა ც ნ ე

⁴⁵ ვის სურს ლაპარაკი?

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

მე.

მ ა ც ნ ე

ვის?

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

ამფითეოსს.

მ ა ც ნ ე

კაცი ხარ?

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

უკვდავი.

დემეტრეს მე იყო ჩემი წინაპარი
და ტრიპტოლემოსის; მისი ნაშიერი
იყო კელეოსი; ამას ფენარეტემ

⁵⁰ უშვა ლიკინოსი; მე მისი უკვდავი

ვაჟი ვარ. ღმერთებმა აქ გამომავნავენს
მხოლოდ მე, სპარტასთან ზავი რომ დამედო.
მაგრამ მე, უკვდავს, რომ გზის ფული არა მაქვს!
რომელი პრიტანი მოგცემს!

მ ა ც ნ ე

მოისარნო!

სკვითი მოისარნი აძევენ ა მ ფ ი თ ე ო ს ს.

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

⁵⁵ ნუთუ მიმატოვეთ, ჩემო წინაპრებო?!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(*დგება*)

ხალხო, პრიტანებო, კრებას შეურაცხყოფთ
იმ კაცის გაგდებით, რომელსაც უნდოდა,
ზავი დაგვედო და ფარი დაგვეკიდა.

მ ა ც ნ ე

(*დიკეოპოლისს*)

დაჯექი, გაჩუმდი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

არა, ო აპოლონ!

⁶⁰ მშვიდობა მოგვეცით! – მაშინ გავჩუმდები.

მ ა ც ნ ე

ელჩნი, მეფისგან დაბრუნებულნი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რომელი მეფისგან?! ო, მეზიზღებიან
ეგ «ელჩნი», «ყეყეჩნი», ეგ ფარშევანგები!

მ ა ც ნ ე

(*დიკეოპოლისს*)

ჩუ!

ელჩები შემოდიან სპარსული წესისამებრ.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ოჰ, ოჰ! ამ სპარსულ მიმოხვრას უყურეთ!

ე ლ ჩ ი

⁶⁵ არქონტ ევტიმენეს დროს მივლინებულნი
ვიყავით მეფესთან; დღიურად ორ-ორი
დრაქმა დაგვენიშნა...

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

საბრალო დრაქმებო!

ე ლ ჩ ი

მეტად დავიტანჯეთ, როცა კაისტროსის
ველზე მივდიოდით; მზეს ვემალებოდით
⁷⁰ ჩვენს ძვირფას ეტლებში წამოწოლილები,
რა გადავიტანეთ!..

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(თავისთვის)

მაშ, ავშენებულვარ,
სულ რომ გალავანთან ვიწექი ტალახში.

ე ლ ჩ ი

თანაც მასპინძლები ძალას გვატანდნენ და
ბროლის თასებითა და ოქროს ჯამებით
ღვინოებს გვასმევდნენ...

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

⁷⁵ კრანაეს ქალაქო!
ველარ გრძნობ, ელჩები როგორ დაგცინიან?!

ე ლ ჩ ი

...რადგან ბარბაროსებს კაცი ის ჰგონიათ,
ვინაც პირველია სმასა და ჭამაში.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(თავისთვის)

ჩვენთან – მრუმობაში, მამათმავლობაში.

ე ლ ჩ ი

⁸⁰ მეოთხე წელს იყო, მივედით. მეფე კი
გარეთ გასულიყო, ჯარიც წაეყვანა;
რვა თვეს ისაქმებდა ოქროს მთიანეთში.

დიკეოპოლისი

(თავისთვის)

რამდენი ხნის შემდეგ დაკეტა საჯდომი?

მთვარის ავსებისას?

ელჩი

მერმე შინ მობრუნდა

⁸⁵ და გაგვიმასპინძლდა ბუხარში შემწვარი

მთელ-მთელი ხარებით.

დიკეოპოლისი

(თავისთვის)

ვის გაუგონია

ბუხარში შემწვარი ხარები? რა ტყუის!

ელჩი

ზევსს ვფიცავ, მოგვართვეს სამი კლეონიმეს

ოდენა ფრინველი, ჰქვია მიქარვოსი.

დიკეოპოლისი

(თავისთვის)

⁹⁰ და ამ მიქარვებში წავიდა დრაქმები!

ელჩი

ახლა კი დავბრუნდით და ფსევდარტაბასიც –

თუალი მეფისა; მოგვართ.

დიკეოპოლისი

(თავისთვის)

ყორანმა

დაკორტნოს ეგეც და ამ ელჩის თვალეზიც!

მაცნე

თუალი მეფისა!

შემოდის ფსევდარტაბასი, რომელსაც შუბლზე უზარმაზარი თვალი აქვს

დამაგრებული; უკან ორი საჭურისი მოჰყვება.

დიკეოპოლისი

მეუფე ჰერაკლევ!

⁹⁵ ღმერთებო! ეს თვალი დიდი ხომალდით

ნაპირს გადმოჰყურებს, ნავსადგურს დაემებს.

ან რა ქუთუთოა, მთელ სხეულს უფარავს!

ე ლ ჩ ი

ახლა, ფესვდარტაბას, რაც კი დაგაბარა
მეფემ, ყველაფერი ამცნე ათენელებს.

ფ ს ე ვ დ ა რ ტ ა ბ ა ს ი

¹⁰⁰ ი შაჰა გითაყვე მოგი დე დიტრაპა.

ე ლ ჩ ი

(დიკეოპოლისს)

გაიგე, რა ბრძანა?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რაღაც ვერ გავიგე!

ე ლ ჩ ი

(პრიტანებს)

ეს ამბობს, ხელმწიფე ოქროს გვიგზავნითო.

(ფსევდარტაბასს)

ხმამალლა, გარკვევით გვითხარი ოქროზე.

ფ ს ე ვ დ ა რ ტ ა ბ ა ს ი

ოქრო არ მიიღოს ზოდო იონელო.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ვაჰ, როგორ გარკვევით გამოთქვა?!

ე ლ ჩ ი

¹⁰⁵ რას ამბობს?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

იონიელები სულელნი ყოფილან,
თუ ბარბაროსთაგან ელიან ოქროსო.

ე ლ ჩ ი

არა, ლაპარაკი ოქროს ზოდებზეა.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

როგორ თუ ზოდებზე?! მიჰქარავ რაღაცას.

¹¹⁰ აბა, ჩამომშორდი, მარტო გამოგვკითხავ.

(ფსევდარტაბასს)

რომ არ გაგაწითლო სარდეს საღებავით,
ის დიდი ხელმწიფე ოქროს თუ გვიგზავნის?

ფსევდარტაზასი უარის ნიშნად აქნევს თავს.

მაშ, ჩვენ გვატყუებენ ჩვენივე ელჩები?

ფსევდარტაზასი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად. საჭურისებიც მას ბაძავენ.

¹¹⁵ ბერძნულად დაგვიკრეს თავი ამ კაცებმა, სულ აქაურები არიან, მე მგონი.

საჭურისებიდან ეს ერთი ვიცანი:

კლისთენე არ არის სიბირტიოსის ძე?!

საჯდომგაპარსულო, გარყვნილო არსებავ!

¹²⁰ ო, შე მაიმუნო, ასეთი წვერებით

გინდოდა, საჭურისს რომ დამსგავსებოდი?!

ეს კიდევ ვინ არის? ნუთუ სტრატონია?!

მაცნე

გაჩუმდი, დაჯექი!

თუალი მეფისა; პრიტანიონში ჰყავს

საბჭოს მიწვეული.

დიკეოპოლისი

¹²⁵ რად არ ჩამომახრჩობთ?!

და ამის შემდეგ მე კიდევ აქ ვტრიალებ?

იმათ კი იწვევენ, კარს არ უკეტავენ...

საქმე ჩავიფიქრე დიდი, საშინელი...

ის ამფითეოსი სად არის?

ამფითეოსი

აქა ვარ.

დიკეოპოლისი

¹³⁰ აიღე რვა დრაქმა და ლაკონელებთან

ზავი დაამყარე მარტო ჩემთვისა და

ჩემიანებისთვის, ჩემი ცოლშვილისთვის.

(პრიტანებს)

თქვენ – პირი დააღეთ, ელჩები დაგზავნეთ.

ამფითეოსი გადის.

მაცნე

თეორე, სიტაკლეს კარიდან!

თ ე ო რ ე

აქა ვარ.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

¹³⁵ აჰ, უკვე მეორე თაღლითს მოუხმობენ.

თ ე ო რ ე

არ დავყოვნდებოდით დიდხანს თრაკიაში...

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(თავისთვის)

არა, გასამრჯელო ხელს თუ არ გაძლევდა.

თ ე ო რ ე

...რომ არ დაეფარა თოვლს მთელი თრაკია.

ყინულმა დაფარა მდინარე...

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(თავისთვის)

ეს მაშინ,

¹⁴⁰ აქ რომ თეოგნისი ყინავდა ყველაფერს.

თ ე ო რ ე

ეს დრო სიტაკლესთან სმაში გავატარეთ;

მეტად მეგობრულად არის განწყობილი,

ძალიან უყვარხართ, კედლებზეც აწერდა:

«კარგები არიან ათენელები».

¹⁴⁵ ხოლო უფლისწული, ჩვენი მოქალაქე,

აპატურიულ ძეხვს დანატრებული,

მამას ავედრებდა საყვარელ სამშობლოს;

და თასზე შეჰფიცა მეფემ, იმოდენა

ჯარებს მოგახმართო, რომ ათენელები

¹⁵⁰ იტყვიან, მოდიან კალიებივითო...

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(თავისთვის)

სული ამომხადეს, რამე თუ მჯეროდეს,

გარდა მაგ ერთისა, მაგ კალიებისა.

თ ე ო რ ე

...და უმამაცესი ტომი თრაკიული

თქვენ გამოგიგზავნათ.

დიკეოპოლისი

(თავისთვის)

ჰო, გასაგებია.

მაცნე

¹⁵⁵ გამოდით, თეორემ ვინც ჩამოგიყვანათ.

შემოდინ თრაკიელეზი.

დიკეოპოლისი

ეს რაა?

თეორე

ჯარია ოდომანტებისა.

დიკეოპოლისი

ვინ ოდომანტების? ეს რაა, მითხარი!

ასოზე ფოთოლი ვინ შემოაცალათ?

თეორე

¹⁶⁰ ამათ თუ ორ დრაქმას მისცემთ, ბეოტიას

სულ გადათელავენ და ააოხრებენ.

დიკეოპოლისი

რა?! ორი დრაქმაო – წინადაცვეთილებს?!

თრანიტი ხალხი კი უნდა დაიჩაგროს,

«ქალაქის იმედი»?

ოდომანტები ნიორს მოჰპარავენ.

ვაიმე, მიშველეთ!

ამ ოდომანტებმა ნიორი მომპარეს!

დაყარეთ ნიორი!

თეორე

¹⁶⁵ მოშორდი, ბედშავო,

არ მიუახლოვდე მაგ ნიორნაჭამებს!

დიკეოპოლისი

ხედავთ, პრიტანებო, ჩემსავე ქალაქში

რაებს მიბედავენ ეს ბარბაროსები?!

¹⁷⁰ არა, არ დავუშვებ, რომ ამ თრაკიელებს

მისცეთ გასამრჯელო. აჰა, ზეციური
ნიშანიც მომეცა: წყლის წვეთი დამეცა.

მ ა ც ნ ე

წადით, თრაკიელნო, და ზეგ გამოცხადდით,
პრიტანთა ბრძანებით კრება დაიხურა.

დიკეოპოლისი მარტო რჩება.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ვაიმე უბედურს, რა წყალში ჩავვარდე?

შემორბის ა მ ფ ი თ ე ო ს ი.

¹⁷⁵ ვაჰ! ამფითეოსიც მოსულა სპარტიდან,
რაო, ამფითეოს?

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

მოიცა, გავჩერდე;
მლივს გამოვექეცი ბებერ აქარნელებს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რა მოხდა?

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

მოვრბოდი ზავის მოსატანად;
¹⁸⁰ რაღაცა იყნოსეს იმ ბერიკაცებმა,
იმ აქარნელებმა, მართონელებმა;
ერთად დამიყვირა ყველამ: «უწმინდურო,
ვაზი აგვიჩეხეს, რაღა დროს ზავია»?
ქვებით დაიტენეს სულ მოსასხამები,
¹⁸⁵ ყვირილით მომდევედნენ, მაინც დავუძვერი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მიუშვი, იყვირონ, ზავი მომიტანე?

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

ზავი? რა თქმა უნდა! სამი ჭაშნიკია;
ეს ხუთწლიანია, აიღე, გასინჯე.

დიკეოპოლისი მოსვამს პირველი ბოთლიდან.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

თფუ!

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

რაო?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

არ მომწონს, აყროლებულია

¹⁹⁰ ფისით და საზღვაო ბრძოლების მზადებით.

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

მაშ, ეს ათწლიანი აიღე, გასინჯე.

დიკეოპოლისი მოსვამს მეორე ბოთლიდან.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ელჩების სუნი აქვს, გემოც წაუმწკლარტებს,
თან მოკავშირეთა ჩვეულ ზოზინსა ჰგავს.

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

მაშ, ესეც გასინჯე – ზღვასა და ხმელეთზე
ოცდაათწლიანი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

¹⁹⁵ დიონისიებო!

ამბროსიისა და ნექტარის სუნი აქვს!

სამი დღის საგზალს კი არ გატანს, თითქოსდა

ამბობდეს: «იქ წადი, სადაც მოგესურვოს».

ამას კი ავიღებ, შევწირავ, გამოვცლი!

²⁰⁰ აქარნელები კი ჯანდაბას წასულან!

ჩემთვის არ იქნება ომი, უბედობა,

წავალ და გავმართავ დიონისიებსაც.

(გადის.)

ა მ ფ ი თ ე ო ს ი

მე კი გავიქცევი, თავს უნდა ვუშველო.

(გარბის.)

პაროდოსი

შემოდის მოხუც აქარნელთა გუნდი.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

სტრ. აბა, აქეთ, დავედევნოთ, ყველა გამვლელ-გამომვლელს

²⁰⁵ კვითხოთ, იქნებ გვითხრან რამე, რადგან მისი შეპყრობა

სახელმწიფო საქმე გახლავთ.

(მაყურებელს)

მიმანიშნეთ, თუ იცით
სად წავიდა ან სად არის ზავის ჩამომთრეველი.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

გაგვექცა, აღარსად არ არის!

²¹⁰ ვაიმე, ვაი ჩემს სიბერეს!

ჩემს სიჭაბუკეში, როდესაც

ნახშირს დავათრევედი ტომრობით,

²¹⁵ სირბილშიც ფავლოსსაც ტოლს არ დავუდებდი; მაშინ რომ

ამ ზავის ჩამომტანს გამოვკიდებოდი,

ასე იოლად ხომ ვერ დამიძვრებოდა!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

^{ანტ.} მაგრამ როცა დავბერდი და გამიხევდა მუხლები,

²²⁰ როცა ფეხიც დამიმძიმდა ლაკრატიდე – ბერიკაცს,

გამეპარა; მაგრამ მაინც სულ ბოლომდე მივსდიოთ,

თორემ ბოლოს ეს ბებრები სიცილად არ ვეყოფით.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

მამაო ზევსო და ღმერთებო,

²²⁵ ამ კაცმა მტერს ზავი დაუდო,

მან კი აგვიოხრა ქვეყანა!

ჩვენი სიძულვილი იზრდება.

²³⁰ მე ვერ მოვისვენებ, სანამ მომხდურებს ისარივით

არ ჩავერჭობი და განვგმირავ ბოლომდე,

რომ არ აგვიჩეხონ ჩვენი ვენახები.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

აბა, ქვები მოვამზადოთ და ის კაცი მოვძებნოთ,

²³⁵ არაფერი არ დავტოვოთ, სადმე მაინც ვიპოვით,

მაგ კაცისთვის ქვების სროლით გული უნდა ვიჯერო.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(სცენის მიღმა)

სიწყნარე, სიწყნარე!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

ჩუმად, ჩუმად! გაიგონეთ, სიწყნარეზე რომ ბრძანა?

აგერ არის, ვისაც ვეძებთ, აბა, ახლა სუყველამ

²⁴⁰ დაიხიოს, მე მგონია, შესაწირავს ამზადებს.

სახლიდან გამოდიან: დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი, მისი ც ო ლ ი, ა ს უ ლ ი და მ ო ნ ე ბ ი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

სიწყნარე, სიწყნარე!

ცოტა წინ გამოდი ახლა, კანეფორა,
ქსანთიამ ფალოსი დადგას ამართული.
ჩამოდე, ასულო, კალათი; დავიწყოთ.

ა ს უ ლ ი

²⁴⁵ აბა, დედაჩემო, ჩამჩა მომაწოდე,
წვენი ამოვიღო, ნამცხვარს გადავასხა.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ო, ეს კი კარგია, ღმერთო, დიონისე,
მინდა გაგახარო ჩემი შესაწირით,
რაც მე მოგიმზადე და ჩემმა ოჯახმა.

²⁵⁰ შენ კი ბედნიერად ჩამატარებინე

დიონისიები, ჯარი ამაცილე,
ოცდაათწლიანი ზავით გამახარე.

აბა, წამოიღე კალათი, ასულო,
თვალეები დახარე, რა ბედნიერია,

²⁵⁵ ვინც შენ შეგირთავს და კნუტებს გამობინებს,

რომ განთიადისას ჰაერი მოწამლონ!
ახლა წინ იარე და ფრთხილად იყავი,
ვინმემ არ აგწაპნოს ეგ ოქროულობა.

ქსანთია, თქვენ ორმა აღმართეთ ფალოსი

²⁶⁰ და ასე მიჰყევით უკან კანეფორას.

მეც თქვენ გამოგყვებით, ფალიკურს ვიმღერებ,
შენ, ცოლო, ბანიდან მიყურე. წავედით.

ფალეს, ბაკქოსის ძმობილო,
სუფრის მოყვარევ, გარყვნილო,

²⁶⁵ შენ ხომ ბიჭებიც გიყვარს,

ხუთი წლის შემდეგ მოგმართავ
სოფელში დაბრუნებული –

ზავი დავდე და დღეიდან
თავისუფალი გახლავარ

²⁷⁰ ბრძოლისგან, ლამაქესაგან.

ო, ბევრად უფრო საამურია, ფალეს,
სადმე იპოვო ტურფა ტყისმჭრელი თრატა,
ფელესიდან რომ შეშას იპარავს, ჰოდა

ხელი ჩაავლო, ასწიო,

²⁷⁵ დააგდო «გამოსაკურკად».

ფალეს, ფალეს,

თუ ჩვენთან ერთად დათვრები, «გამოსასვლელად»

განთიადისას შთანთქავ მშვიდობის თასსაც,

ფარს კი კერაზე დაჰკიდებ.

გ უ ნ დ ი თავს ესხმის დიკეოპოლისს, შინაურები გარბიან.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

²⁸⁰ აგერ ისიც, ჰო, ის არის!

დაუშინეთ, დაუშინეთ!

ურტყით, ურტყით მაგ უწმინდურს!

რად არ ესვრით, რად არ ესვრით?!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

^{სტრ.} ო, ჰერაკლე! ეს რაღაა, ქოთანს გამიტეხავენ!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

²⁸⁵ შენ, მხოლოდ შენ ამოგქოლავთ, უწმინდურო გოგრავე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რის გულისთვის, მე რას მერჩით, აქარნელო ბებრებო?

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

გვეკითხები?! ურცხვი ხარ და ავაზაკი!

²⁹⁰ მოღალატევ, მოსისხლე მტერს დაუზავდი,

ამის შემდეგ თვალს მისწორებ, უტიფარო?!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რად დავზავდი, არ იკითხავთ? არ ინებებთ მოსმენას?

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

²⁹⁵ შენ გისმინოთ? არა, მოკვდი!

ქვების სეტყვას მოგივლენთ და ჩაგქოლავთ.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მოითმინეთ, მომისმინეთ, ძვირფასებო, დამშვიდდით.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ვერა, მე ვერ დამამშვიდებ, ნურც ეცდები.

³⁰⁰ როგორ მძულხარ! როგორ მძულხარ! – კლეონივით!

რომლისგანაც მხედრებს ლანჩებს დავუჭრიდი!

კორიფეოსი

არა, მე შენ არ მოგისმენ, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს რომ
ამბობ,
ლაკონელებს დაუზავდი? – დაისჯები მაგისტვის.

დიკეოპოლისი

³⁰⁵ მვირფასებო, მოდით, თავი დავანებოთ სპარტელებს,
ზავს ვუსმინოთ, გავარჩიოთ, კარგია თუ ცუდია.

კორიფეოსი

კიდევ კარგზე ლაპარაკობ, როცა ზავი დაუღე
ხალხს, რომელსაც ღმერთი, ნდობა, ფიცი ფეხზე ჰკიდია?

დიკეოპოლისი

მაგრამ ვგრძნობ, რომ ლაკონელი, რომელთაც ჩვენ ვერ
ვიტანთ,
³¹⁰ არ არიან ყველა ჩვენი უბედობის მიზეზი.

კორიფეოსი

მაშ, ყველასი არ არიან? ამის თქმასაც მიზედავ
ცხადად, პირში? ამის შემდეგ დანდობასაც მოელი?!

დიკეოპოლისი

არ არიან ყველას-მეთქი! შემიძლია, გიჩვენოთ,
რომ მრავალგზის უსამართლოდ თავად იჩაგრებიან.

კორიფეოსი

³¹⁵ საშინელი რამ წამოგცდა, გული გადამიქანდა,
როგორ ბედავ ჩვენთან მტრების სასარგებლოდ ლაპარაკს?

დიკეოპოლისი

თუკი მართალს არ ვამბობ და ხალხი არ მეთანხმება,
კუნძს მოვიტან, თავს დავდებ და ისე ვილაპარაკებ.

კორიფეოსი

ვის ვუნახავთ ამ ქვებს, ნეტავ, ხალხო, ჩვენებურებო?!
³²⁰ ვერ დავცხებთ და ვერ ჩავქოლავთ, სულ სისხლით ვერ
შევღებავთ?!

დიკეოპოლისი

რა მოგსვლიათ, ეს რა შავი მუგუზალი შეგენტოთ!
მაშ, არ გინდათ, მომისმინოთ, ღირსეულნი მოხუცნი?

კორიფეოსი

არ მოვისმენთ, ჭეშმარიტად.

დიკეოპოლისი

მაშ, მოსპობას მიპირებთ!

კორიფეოსი

მე მოვისპო, თუ გისმინო!

დიკეოპოლისი

აქარნელნო, მადროვეთ!

კორიფეოსი

³²⁵ არა, აქვე ჩაძაღღდები!

დიკეოპოლისი

მეც დაგესლავთ, იცოდეთ.

ამ ცხელ გულზე დაგიხოცავთ უსაყვარლეს მეგობრებს,
მძევლად ვინც მყავს წაყვანილი, ყელს გამოვჭრი სუყველას.

(სახლში შერბის.)

კორიფეოსი

თქვით, რას ნიშნავს ეს მუქარა, ხალხო, ჩვენებურებო!

რით გვაშინებს აქარნელებს? ბავშვი ხომ არ მოგვტაცა

³³⁰ რომელიმეს? ამოდენა სითამამე საიდან?!

დიკეოპოლისს სახლიდან გამოაქვს დანა და ნახშირით სავსე კალათი.

დიკეოპოლისი

ჰა, მესროლეთ, თუკი გინდათ! მე კი ამათ გავჟლიტავ.

ახლა ვნახავ, თქვენგან ვინმეს თუ ადარდებს ნახშირი.

კორიფეოსი

დავილუპეთ, აულია ჩვენი დემის კალათი!

ო, ნუ იზამ, ნუ გაგვწირავ, გვედრები, ნუ იზამ!

დიკეოპოლისი

³³⁵ ანტ. არ დავინდობ! თქვენ იბლავლეთ, მე კი აღარ მოვისმენთ.

მეორე ნახევარ უნდო

მაშ, დალუპავ ჩვენს მეგობარს, ჩვენს საყვარელ კალათს?

დიკეოპოლისი

წელან მეც ხომ გეძახოდით? თქვენ მაინც არ მისმენდით.

მეორე ნახევარგუნდი

ბრძანე, გისმენთ; მოგვახსენე, ლაკონელი
როგორ გახდა შენი ძმა და მეგობარი. –

³⁴⁰ მე ამ კალათს ვერასოდეს ვუღალატებ.

დიკეოპოლისი

არა, არა, ჯერ ეგ ქვები გადმოყარეთ მიწაზე.

მეორე ნახევარგუნდი

აი, უკვე გადავყარეთ. შენც დააგდე ეგ დანა.

დიკეოპოლისი

აბა, როგორ დაგიჯეროთ? მოსასხამში რომ დაგრჩეთ?

მეორე ნახევარგუნდი

ხომ დავფერთხეთ! ჰა, შეხედე, კიდევ ვფერთხავ.

³⁴⁵ ნუ მიზეზობ, შენც დააგდე იარაღი!

მაშ, უყურე, არაფერი აღარ დარჩა.

დიკეოპოლისი

წელან რომ ყვიროდით და არ ჩუმდებოდით,

თქვენივე უგნურებით კინაღამ დალუპეთ

თქვენივე სიმდიდრე – პარნესის ნახშირი.

³⁵⁰ შიშისგან კალათმა, როგორც მეღანთევსმა,

მაგრად ჩაისვარა, თავი გამემურა.

თქვენთან ლაპარაკი საშინელებაა,

მხოლოდ ეს გახარებთ: სროლა და ყვირილი!

მოსმენა, განსჯა და მსჯელობა არ მოგწონთ.

³⁵⁵ მე რომ თავს ვდებდი და სიტყვას მოვითხოვდი,

ლაკედემონი რომ მინდოდა დამეცვა,

სულელი კი არ ვარ, სიცოცხლე მეც მიყვარს!

პირველი ნახევარგუნდი

გამოიტანე კუნძი გარეთ და ილაპარაკე.

³⁶⁰ სტრ. ბოლოს და ბოლოს, რა გაქვს სათქმელი?

გამაგებინე ერთი, რას ფიქრობ.

პირველი ნახევარგუნდის წინამძღოლი

ხოლო პირობები თვითონ დააწესე:

კუნძი აქ დადე და თქვი, ილაპარაკე!

დიკეოპოლისს სახლიდან გამოაქვს კუნძი.

დიკეოპოლისი

კუნძი მოვიტანე, შეხედეთ სუყველამ.

მე ვილაპარაკებ – პატარა კაცუნა.

ნუ დარდობთ, ყველაფერს მე არ მოვედები:

სპარტაზე რას ვფიქრობ, წვრილად მოგახსენებთ.

370 მაინც მეშინია, თქვენი ხასიათი

სულ შესწავლილი მაქვს, თვითონაც გლეხი ვარ;

ვინმე თუ გადიდებთ, ან ქალაქს შეგიქებთ,

სწორია თუ არა, მაინც გიხარიათ, –

პირფერულ ქებაში ღალატს ვერც შენიშნავთ;

375 თქვენს ბებრულ სულელებსაც ვიცნობ: არაფერი

არა გასურთ, ვინმესთვის ოღონდ გაკბენინათ.

კარგად გაგიცანით! განა თვით კლეონმა

შარშან არ მაწამა კომედიისათვის?!

კაცი წამათრია საბჭოს სხდომაზე და

380 ჯერ ცილი დამწამა, მერმე გადმოუშვა

ლანძღვის და გინების მთელი ნიაღვარი,

კინაღამ დამახრჩო ლაფმა და ტალახმა.

ახლა კი, სანამდე სიტყვას ავიღებდე,

ცოტა ხანს მადროვეთ, საწყლად გამოვეწყო.

მეორე ნახევარგუნდი

385 ანტ. ისევ გვაყოვნებ?

თუ ეშმაკობით

გინდა გადარჩე?

გირჩევ, აილო

ჰიერონიმეს

390 მუქ-ხშირ-უხემ-თმა

ზუჩი ჰადესის;

მეორე ნახევარგუნდის წინამძღოლი

ან თავი მოხსენი სიზიფეს ტომარას,

დაწყებულ კამათს კი ნულარ შეაფერხებ.

დიკეოპოლისი

მაშ, დროა გავმხნევდე, სული გავიმაგრო.

ახლა ევრიპიდეს უნდა მივაკითხო.

(ევრიპიდეს სახლის კარზე აკაკუნებს.)

პირველი ეპისოდინი

დიკეოპოლისი

ეი, ბიჭო!

მსახური

ვინა ხარ?

დიკეოპოლისი

395

არის ევრიპიდე?

მსახური

არ არის, კი არის. მოდი და გაიგე.

დიკეოპოლისი

არის და არც არის?

მსახური

ნამდვილად, მოხუცო.

პოეტის გონება სხვაგან ქრის, ლექსებს თხზავს,

თავად კი მაღლაა და ტრაგედიაზე

მუშაობს.

დიკეოპოლისი

400

ბედი აქვს, ნაღდად, ევრიპიდეს,

რომ მონა ჰყოლია ბრძენი და ჭკვიანი!

მიდი, დაუძახე.

მსახური

შეუძლებელია.

(შინ შედის.)

დიკეოპოლისი

მე მაინც არ წავალ, კარზე ვაკაკუნებ.

კაცო, ევრიპიდე, ევრიპიდიკუნა!

405

მისმინე, ვინმესთვის თუ მოგისმენია.

მე ვარ, ქოლედელი დიკეოპოლისი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

(სახლიდან)

მე რომ არ მცალია?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ბრძანე, მოგაბრუნონ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

(ისევ არ ჩანს)

შეუძლებელია.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მაინც!

ე ვ რ ი პ ი დ ე

მოვბრუნდები, მაგრამ ვერ ჩამოვალ.

თეატრალური მანქანის საშუალებით ე ვ რ ი პ ი დ ე ს სახლის გამომხატველი დეკორაცია მოვბრუნდება; მაყურებელი ხედავს სახლის ინტერიერს. საწოლზე წამოწოლილი ე ვ რ ი პ ი დ ე წერს; იქვე დგას მისი მ ს ა ხ უ რ ი. კედელზე ჰკიდია თეატრალური კოსტუმები, იატაკზე ჰყრია სხვადასხვაგვარი ბუტაფორია.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

კაცო, ევრიპიდე!

ე ვ რ ი პ ი დ ე

რა გინდა?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

410

მაგ ფეხებს

მიწაზე ვერ დადგამ? შენ, ალბათ, კოჭლები

ამიტომ გამოგყავს... ძონძები გექნება.

ტყუილად ხომ არ ქმნი სულ ღარიბ-ღატაკებს;

ო, გემუდარები, ჩემო ევრიპიდე,

415

რამე შემირჩიე ძველი დრამებიდან;

რამეთუ სიტყვა მაქვს სათქმელი გუნდისთვის.

სიკვდილი მომელის, კარგად თუ ვერ ვიტყვი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

რომელი ძონძები? გინდა ენევისისა?

– ის იყო მოხუცი სვეგამწარებული.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

უფრო უბედური არა გყავს არავინ?

ე ვ რ ი პ ი დ ე

იქნებ ბრმა ფენიქსის?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ფენიქსის არ მინდა,
სხვა იყოს, ფენიქსზე უფრო ბედდამწვარი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ნეტავი რა უნდა ამ კაცს, რა კონკეები?
იქნებ ფილოქტეტეს ძველმანებს დაემებ?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

425 მაგაზე ღარიბი არა გყავს არავინ?

ე ვ რ ი პ ი დ ე

მაშ, ამ უბინძურეს ფლასებზე რას იტყვი?
ეს არის სამოსი კოჭლ ბელეროფონტის.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ბელეროფონტით? არა, მე მჭირდება
კაცი მათხოვარი, კოჭლი და მოლაყბე.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მიგიხვდი, ტელეფე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

430 ნამდვილად, ტელეფე.
ამას გთხოვ, მომეცი მაგისი ძონძები.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ეი, ბიჭო მიეცი ტელეფეს ძონძები.
მანდ ნახე, თიესტეს კონკებზე აწყვია,
ინოს ძველმანებში. ეგაა, აილე.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(დაფლეთილ ძონძებს ათვალიერებს, ნახვრეტებიდან იყურება)

ო, ზევს მაღლითმხედო, ყოველთამხილავო!

შემმოსე, იერი რომ მქონდეს გლახისა.

შენ კი, ევრიპიდე, რაკი გამახარე,

ბარემ მოაყოლე, რაც ძონძებს მოჰყვება, –

ერთი მისიური ქუდი დამჭირდება,
440 დღეს აუცილებლად სუყველას ღატაკად
უნდა მოვეჩვენო, არ უნდა გამოჩნდეს
ნამდვილად ვინა ვარ, თუმც მაცურებელი
მიხვდება, ვინცა ვარ, – გუნდი მოტყუვდება,
«პატარა სიტყვებით» სულ გავასულელებ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

445 კი, მოგცემ, ფაქიზად უდგები საქმეებს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

შენ კი გაიხარე, ტელეფე... ბოდიში,
ო, უკვე ავივსე «პატარა სიტყვებით»;
მაგრამ მე მათხოვრის ჯოხიც რომ მჭირდება?!

ე ვ რ ი პ ი დ ე

აიღე. ახლა კი ქვის ზღურბლი დატოვე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

450 ო, გულო, ხომ ხედავ, როგორ მაძევებენ!
მაგრამ ყველაფერი რომ არ მაქვს? გავხდები
ახირებული და კერპი! ევრიპიდე,
მე ძირგამომწვარი კალათიც მჭირდება.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მითხარი, საბრალოვ, რად გინდა კალათი?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

455 არაფრად არ მინდა. შენ მაინც მომეცი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

თავი მომაბეზრე! აბა, გაეთრიე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ვაჰ!
მაშ, დედაშენივით სულ იბედნიერე.

ე ვ რ ი პ ი დ ე

(ძირგახვრეტელ კალათს აძლევს)

მომშორდი ახლავე!

დიკეოპოლისი

ერთიც ამისრულე
და ტუჩმოტეხილი ფინჯანიც მომეცი.

ევრიპიდე

⁴⁶⁰ ო, ჭირმა წაიღოს ასეთი სტუმარი!

დიკეოპოლისი

(თავისთვის)

ო, ჭირმა წაიღოს შენი თხზულებანი!
(ხმამაღლა)
ტკბილო ევრიპიდე, არაფერს არ მოგთხოვ,
საცობით დაცული ხელადა მომეცი.

ევრიპიდე

კაცო, ნუ წამართვი მთელი ტრაგედია!
აჰა, აიღე და მომშორდი!

დიკეოპოლისი

⁴⁶⁵ მივდივარ.
(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და ბრუნდება)

ვაიმე, რაღა ვქნა? ერთი რამ მაკლია.
ჩემო ევრიპიდე, მისმინე, უტკბესო,
ეს ერთიც მომეცი – წავალ საბოლოოდ.
აი, ამ კალათში მწვანელი ჩამიდე.

ევრიპიდე

⁴⁷⁰ დამლუპა! ამ დრამის საქმე წასულია!
(მწვანელს აძლევს.)

დიკეოპოლისი

ო, არა, მივდივარ. თავი მოგაბეზრე
და დავიმსახურე რისხვა მეუფეთა.
ვაი, დავილუპე! მთავარი გამომრჩა,
ყველაზე საჭირო, რაც გადამარჩენდა!
⁴⁷⁵ ო, ევრიპიდეუნა, ტკბილო, საყვარელო,
ეს სული ამომხდეს, ახლავე წავალ და
აღარ დავბრუნდები, ოღონდ ეს, ეს ერთი –
ცერეცო მომეცი დედის მარაგიდან.

ე ვ რ ი პ ი დ ე

(მსახურს)

კაცი გათავხედდა! ჩარაზეთ კარები!

დეკორაცია მობრუნდება.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

⁴⁸⁰ გულო, უცერეცოდ გვიწევს გაბრუნება!

თუ იცი, როგორი ბრძოლა გადაგვხდება,
სპარტის დასაცავად რომ გსურს ლაპარაკი?

ო, გულო, წამოდი, მიჯნას მივადექით.

დგახარ? არ მოდიხარ ევრიპიდნასვამი?

⁴⁸⁵ ჰო, კარგი, წამოდი! გულო, უბედურო,

წამოდი კუნძთან და იქ თავდადებულმა
თქვი, რაც მიგაჩნია უტყუარ სიმართლედ.

აბა, გაბედულად! გულო, გამაოცებ!

გ უ ნ დ ი

⁴⁹⁰ რას გააკეთებ, რას იტყვი ახლა,

უსირცხვილო და უგრძნობო კაცო?

ქალაქს განუდექი, ყველას წინააღმდეგ

შენ ერთი აპირებ, თავხედო, ლაპარაკს.

არც კი აშინებს ასეთი საქმე!

⁴⁹⁵ შენ თავად ირჩიე – თქვი, ილაპარაკე.

მეორე ეპისოდიონი

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ნუ განრისხდებით, თქვენ, მაყურებლებო,

ასეთი ღატაკი რომ სახელმწიფოზე

ვაპირებ ლაპარაკს, თან – კომედიაში.

⁵⁰⁰ თუმც კომედიაშაც ხომ იცის სიმართლე!

სიმართლე მწარეა, მაინც სიმართლეა!

ახლა ხომ კლეონი ცილს ვედარ დამწამებს,

ჩვენს ქალაქს სტუმრებთან სახელს უტეხავსო.

ახლა მარტონი ვართ ლენეურ შეჯიბრზე;

⁵⁰⁵ ჯერაც არ მოსულან სტუმრები, არ ჩანან

გადასახადები, მოკავშირეები;

ჯერ მარტო ჩვენა ვართ, ჩენჩოშემოცლილნი

(მეტეკოსები ხომ ქალაქის ჩენჩოა)...

გულზე სპარტელები არც მე მეხატება,

⁵¹⁰ დე პოსეიდონმა, ღმერთმა ტენარონის,
თავზე დააღწოს სუყველას სახლები! –
არც ჩემი ვენახი დაინდო მაგ ხალხმა.

და მაინც, მეგობრებს მოგმართავთ ამ კითხვით:
⁵¹⁵ ამაში სპარტელებს რა ბრალი მიუძღვით?

ჩვენ შორის არიან, – ქალაქზე არ ვამბობ,
ეს დაიმახსოვრეთ, ქალაქზე არ ვამბობ,
ჩვენ შორის არიან ავი კაცუნები,
უგვანო, ურცხვი და უცხოსმაგვარები,
ისინი ყვირიან: «ეს მეგარულია!»

⁵²⁰ თუ დაინახვენ გოგრას ან ბაჭიას,
გოჭს, ნიორს, კვნიტ მარილს, მეგარულიაო, –
ამოიჩემებენ და დააბეზლებენ.

თუმც ეს წვრილმანია, ჩვენთან სულ ასეა.
ერთხელ მეგარაში წავიდნენ ჩვენები,

⁵²⁵ დათვრნენ და სიმეთა, კახპა მოიტაცეს,
ძალიან იწყინეს ეს მეგარელებმა,
მერმე ასპასიას მოსტაცეს კახპები;
უმაღვე იფეთქა ომმა საბერძნეთში
ამ სამი მეძავის გულისთვის, რამეთუ

⁵³⁰ განრისხდა პერიკლე და ოლიმპიელმა
იელვა, იქუხა, შეძრა საბერძნეთი,
გამოსცა სუფრულის მსგავსი კანონები:
არ უნდა დარჩესო ერთი მეგარელიც
მიწაზე, ბაზარში, ზღვასა და ხმელეთზე.

⁵³⁵ მალე შეაწუხა შიმშილმა მეგარა,
მან სპარტას მიმართა, შეაცვლევინეთო
ეს დადგენილება გულქვა ათენელებს.
ძლიერ გვემუდარნენ, მაგრამ არ ვისმინეთ.
მაშინ კი დაიწყეს აბჯრების ჩხარუნი.

⁵⁴⁰ თქვენ იტყვით: «არ უნდა დაეწყოთ.» რა ექნათ?
ლაკედემონიდან ვინმე მოსულიყო,
სერიფოსელთათვის ლეკვი მოეტაცა,
თქვენ შინ ისხდებოდით? ასე აჯობებდა.

არა, რა თქმა უნდა, უმალ სამასამდე
⁵⁴⁵ ხომალდს ჩაუშვებდით წყალში, აავსებდით
ქალაქს ხმაურით და ტრიერარქოსებით.
აქ ხელფასს გასცემენ, იქ გემს ამზადებენ,

სტოაში ჩხუბია მარცვლეულისათვის,
თულუხებს, ღვედებს და დოქებს ყიდულობენ,
⁵⁵⁰ ან იმარაგებენ ნიორს და ზეთისხილს.

გვირგვინი, ქაშაყი, თვალის ჩალურჯება,
ნიჩბების გამოთლა, ლურსმნების ტკაცუნა,
ხოფის დამაგრება ღვედებით პალოზე,
ფლეიტა, დუდუკი, ბრძანება, სასტვენნი!
⁵⁵⁵ თქვენ ასე იზამდით, ვიცი! და ტელეფე
ვერ მოიფიქრებდა? სულელი ხალხი ხართ!

პირველი ნახევარგუნდის წინამძღოლი
ო, შე უნამუსო, ო, შე სამაგელო!
შენ, ვილაც ღატაკი, ამის თქმას გვიბედავ
და ჩვენს მბეზღრებსაც აღარ ეპუები?

მეორე ნახევარგუნდის წინამძღოლი
⁵⁶⁰ ვფიცავ პოსეიდონს, სიმართლეს ღაღადებს
და ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს ტყუილი.

პირველი ნახევარგუნდის წინამძღოლი
რა, ყველა სიმართლის თქმა არის საჭირო?
აღარ გავახარებთ, თქმა რომ გაგვიბედა.

მეორე ნახევარგუნდის წინამძღოლი
(პირველ ნახევარგუნდს)

ეი, საით მიიწევ? მანდ წყნარად იდექი!
⁵⁶⁵ ხელს თუ დააკარებ, თვითონაც მოგხვდება!

პირველი ნახევარგუნდი
ლამაქე, მზერით ელვის მტყორცნელო,
მოდო, მუზარადგორგონიანო,
გვიხსენ, ლამაქე, ო, მეგობარო!
ან მეთაური, ან სტრატეგოსი
⁵⁷⁰ თუკი ხართ სადმე, დაუყოვნებლივ
მოგვეშველენით, ბრძოლა დაიწყო!

მესამე ეპისოდიონი

თავისი სახლიდან გამოდის ლამაქე.

ლ ა მ ა ქ ე

საიდან მომესმის ყიჟინა ბრძოლისა?
სად, ვის დავეხმარო? ომი სად გავმართო?
ვინ გამოიყვანა გორგონა ბუდიდან?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

575 ლამაქე, ფარის და მახვილის რაინდო!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ლამაქე, ესაა ის კაცი, რომელიც
უკვე რახანია, ჩვენს ქალაქს აგინებს.

ლ ა მ ა ქ ე

როგორ, ეს ლატაკი გვიბედავს გინებას?!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რაინდო ლამაქე, იქნებ შემიწყალო –
ლატაკი კაცი ვარ, ვროშავდი რაღაცას.

ლ ა მ ა ქ ე

რას ლაპარაკობდი, არ იტყვი?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

580 არ მახსოვს.
იარაღს რომ ვხედავ, გული მიღონდება.
გთხოვ, ეს საფრთხობელა მაინც მომაშორე.
(ლამაქეს ფარზე მიუთითებს.)

ლ ა მ ა ქ ე

(ფარს დებს)

აჰა.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

აქეთ მოსწი და გადმოაბრუნე.

ლ ა მ ა ქ ე

(ფარს ამოზნექილი მხრით დებს)

აქ დავდე.

ლ ა მ ა ქ ე

მე ხომ ამირჩია...

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

სამიოდ გუგულმა.

მე ზავს მივაღწიე, – მშვიდად ვერ შევხედავ,

⁶⁰⁰ ბერიკაცები რომ ჯარში გარეკონ და
თქვენ, ახალგაზრდები, ბრძოლებს გაურბოდეთ.

ერთნი თრაკიაში მიდიხართ სამ დრაქმად,

ფენიპეს ვაჟები, თალლითიპარქიდნი,

სხვანი ქარესთან აქ ქაონიელებთან,

⁶⁰⁵ გერეტოტუტუცნი, დიომეცებიერნი,

ან კამარინაში, ან საქირქილეთში.

ლ ა მ ა ქ ე

ჩვენ ხომ აგვირჩიეს!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მამ, რატომ ხდება, რომ

თქვენ რაღაცნაირად სულ ხელფასს ღებულობთ,

(გუნდზე მიუთითებს)

ესენი – ვერასდროს? მართლაც, მარილადე,

⁶¹⁰ ჭალარა კაცი ხარ, ელჩად თუ ყოფილხარ?

ხომ ხედავ, არაო; თუმც კი ეკუთვნოდა.

თქვენ, მენახშირიოს, მტვირთავოს, მუხიოს,

ნახეთ ეკბატანა, ანდა ქაონია?

არაო, ამბობენ. შენ და კესირას ძემ

⁶¹⁵ ხომ ნახეთ? არადა, ვალებს არ იხდიდით.

ძველი მეგობრები რომ დაგინახავდნენ,

მაგათ ერიდეთო, ახლებს აფრთხილებდნენ.

ლ ა მ ა ქ ე

ო, დემოკრატია! ეს მოსათმენია?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

არა, რა თქმა უნდა, ფულს თუ არ მოგცემენ.

ლ ა მ ა ქ ე

⁶²⁰ იცოდე, სუყველა პელოპონესელთან

დაუსრულებელი ომები მექნება,

გმირულად შევუტევ ზღვასა და ხმელეთზე.

(სახლში შედის.)

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ჩემთან კი სუყველა პელოპონესელი,

ყველა, მეგარელი თუ ბეოტიელი

⁶²⁵ ივაჭრებს; შენთან კი არავინ, ლამაქე.

(გადის.)

პარაზასისი

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

კამათს ეს კაცი მოიგებს ნაღდად, ხალხსაც სხვა აზრი ექნება ზავზე.

მაშ, მოვიცილოთ მოსასხამები და შევუტიოთ ჩვენს ანაპესტებს.

დღემდე არასდროს, რაც კომედიის გუნდს ხელმძღვანელობს

ჩვენი პოეტი,

მაყურებელთან არ გამოსულა, თავისი ნიჭი არ შეუმკია;

⁶³⁰ მაგრამ მტრებმა რომ ცილი დასწამეს «გადაწყვეტასწრაფ»

ათენელებთან,

კომედიაში ქალაქს დასცინის და ხალხს ზემოდან გადმოჰყურებსო,

ახლა ისურვა, თავი დაიცვას «გადაწყვეტაცვლად» ათენელებთან.

ჩვენი პოეტი ამბობს, რომ ბევრი კარგი აქვს თქვენთვის

გაკეთებული,

მან დაგიშალათ უცხოელების სიტყვით ზედმეტად აღფრთოვანება

⁶³⁵ და ლიქნით ტკობა; დოყლაპიებიც რომ აღარა ხართ, მას

უმაღლოდეთ.

მოკავშირეთა ელჩები უწინ მოტყუებას თუ დაგიპირებდნენ,

«ის გვირგვინით შემკულთ» გიხმობდნენ; როგორც კი ამას

გეტყოდათ ვინმე,

«გვირგვინის» გამო აღტაცებულნი თქვენ ერთ ადგილზე ვედარ

იცდიდით...

და თუკი ვინმე ფარისეველი აქ ახსენებდა «ბრწყინვალე» ათენს,

⁶⁴⁰ «ბრწყინვალეს» გამო სახლს აჩუქებდით, თუმცა «ბრწყინვალე»

ქაშაყიც იცის.

ეს კიდევ რაა, ათასგზის მეტი კარგი გასწავლათ ჩვენმა პოეტმა;

მან არ გაჩვენათ, თუ როგორია მოკავშირეთა დემოკრატია?

და ახლა, როცა გადასახადით მოდიან თქვენთან მოკავშირენი,

ერთი სული აქვთ იმათ, როგორმე საუკეთესო პოეტი ნახონ,

⁶⁴⁵ ვინაც ათენში დაუფარავად მხოლოდ სიმართლე ილაპარაკა.

ამ ვაჟკაცობამ და სიმამაცემ შორს გაუტანა ისე სახელი,

რომ, როცა სპარსთა დიდი ხელმწიფე სპარტის ელჩობას

გამოჰკითხავდა,

თავდაპირველად ის მოიკითხა, ზღვაზე რომელი ხართო ძლიერი;

მერმე იკითხა, დიდი პოეტი რომელს ჰკიცხავსო ყველაზე ხშირად;

⁶⁵⁰ რადგანო, ბრძანა, ვისაც ჰკიცხავენ, ის უკეთესი ხდება შემდგომში

და ომშიც ბოლოს გაიმარჯვებსო პოეტი-მრჩევლის პატრონი ხალხი.

ამის გამოა, ლაკონელები ახლა მშვიდობას რომ გთავაზობენ;

და ეგინასაც რომ მოითხოვენ: ამ კუნძულისთვის როდი ზრუნავენ,

მათ იმედი აქვთ, რომ ამ ხრიკებით გამოგაცლიან ხელიდან პოეტს.

⁶⁵⁵ თქვენ კი არაფრით არ დაანებოთ, – კომედიაში სიმართლეს გეტყვით.

გპირდებათ, კიდევ ბევრ კარგს გასწავლით, რომ ბედნიერნი იყოთ

მარადის;

არ გელიქნებათ და ჯამაგირსაც არ დაგპირდებათ, არ მოგატყუებთ,

არ ითაღლითებს, ქებით არ «მოგრწყავთ», კარგი რაცაა, იმას

გასწავლით.

ამის შემდეგ კი კლეონმა თუნდაც

⁶⁶⁰ მთები აღმართოს ჩემს წინააღმდეგ,

ვერ დამამარცხებს, რადგან სიკეთე,

ჭემმარიტება ჩემს მხარეზეა.

ვერავინ მეტყვის, შენც იმასავით

უსირცხვილო და ლაჩარი ხარო.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

⁶⁶⁵ სტრ. აქ მოდი, მუზავ აქარნელო,

უშრეტო სიმძლავრეც ცეცხლისა!

მუხის ნაკვერჩხლიდან ცვივა ნაპერწკლები,

ხოლო საბერვლიდან ზურგქარი უბერავს

⁶⁷⁰ და ამ ნაკვერჩხლებზე თევზი იბრაწება,

გადაბრუნებისთვის ჩალიჩობს ვიღაცა,

ცომს ზელენ... მოდი, დიდებულო

სოფლურო სიმღერავ, უტკბესო,

⁶⁷⁵ გვეწვიე, მოდი მეზობლებთან.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

ჩვენ, ბებრები, ჩვენ, ძველები, ნაწყენნი ვართ ქალაქზე:

ჩვენ ხომ ზღვაზე ვიბრძოდით და იმის ღირსიც ვერ გავხდით,

პატივი რომ გეცათ ჩვენთვის, – უსამინლეს დღეში ვართ;

ბერიკაცებს გვამცირებენ, სამართალში გვამღევენ

⁶⁸⁰ და ყმაწვილი რიტორები დაგვცინიან სასტიკად.

ჩვენ კი სმენა გაგვიფუჭდა, გვიღალატა ენამაც.

მხოლოდ კეტის იმედი გვაქვს, – ჩვენი პოსეიდონის;
სიბერისგან ძლივს ვჩიფჩიფებთ ტრიბუნასთან დგომისას,
ველარაფერს ველარ ვხედავთ, გვეფარება ბურუსი.

⁶⁸⁵ ემაწვილი კი მიესწრაფვის სინეგოროსობას და
ბრძოლას გვიწყებს, სულ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვით
გვიმასპინძლდება;

გაგვათრევს და კითხვებს გვისვამს, ყველა სიტყვა – მახეა,
ტითონოსებს გვკუწავენ და გვანჯღრევენ და გვამღვრევენ.
საცოდავი ბერიკაცი მიდის ვალდადებული,

⁶⁹⁰ თრთის და ტოკავს, ცრემლებსაც ღვრის, ეუბნება
მეგობრებს:

«კუბოს ფულიც აღარ დამრჩა, ყველაფერი წამართვეს».

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{სტრ.} ეს როგორ იქნება, მოხუცი

დაჩაგრონ სამართლის კარებთან,

ის, ვისაც ამდენი წამება უნახავს,

⁶⁹⁵ მამაცურ შუბლიდან ოფლი უწმენდია,

ვისაც მართონში ომი მოუგია!

ჩვენ იქ, მართონში მტერს ვაწიოკებდით,

ახლა საძაგლები ათენში

⁷⁰⁰ ჩვენ გვაწიოკებენ, გვტანჯავენ!

ამაზე რას იტყვის მარფსია?

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

მაშ, ეს არის სამართალი, დაღრეკილი ბებერი,

თუკიდიდე დააქციოს შვილმა კეფისოდემეს –

⁷⁰⁵ ვიღაც სკვითმა, უზადრუკმა, ყბედმა სინეგოროსმა?

შემებრალა, ცრემლი წამსკდა, როცა ეს დავინახე:

ბერიკაცი დაუნდობლად შეანჯღრია მსროლელმა.

ო, დემეტრეს გეფიცები, თუკიდიდე სიყრმეში

დედოფალს არ მოუთმენდა, ქალღმერთს არ დაინდობდა,

⁷¹⁰ შეარჩევდა ათ ევათლეს, დაჯაბნიდა ათივეს,

სამი ათას მაგარ მსროლელს დააფრთხოვდა ყიჟინით

და ამ კაცის ნათესავებს აჯობებდა სროლაში.

მაგრამ თქვენ ხომ ბერიკაცებს მშვიდად არ დაადინებთ!

დაადგინეთ მაინც, ცალკე იყოს საქმის გარჩევა:

⁷¹⁵ ბებრებისთვის სულ უკბილო ნახეთ სინეგოროსი,

ჭაბუკთათვის კი კლინიას გარყვნილი და ყბედი ძე.
რა მოხდება, დავადგინოთ, მიუსაჯონ დღეიდან
ბერიკაცებს – ბერიკაცმა, ჭაბუკებს კი ჭაბუკმა?

მეოთხე ეპისოდონი

სახლიდან გამოდის დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი, ხელში სამი ქამარი უჭირავს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

აი, ეს იქნება საზღვარი ბაზრისა.

⁷²⁰ პელოპონესელებს და ბეოტიელებს,
თუნდაც მეგარელებს აქ ნება ეძლევათ
ივაჭრონ ჩემთან და არა ლამაქესთან.

ზედამხედველებად დავნიშნავ ბაზარში
სამ ქამარს ლეპრედან – «გატყავებულიდან».

⁷²⁵ აქ ვეღარ შემოვა ერთი სიკოფანტიც,
ერთი მახეზღარიც... მე სტელას მოვიტან,
ამოკვეთილია ზედ ზავის პირობა;
აქ დავდგამ, კარგად რომ გამოჩნდეს ბაზარში.

შინ შედის, მარცხენა პაროდოსიდან შემოდის მ ე გ ა რ ე ლ ი და მისი ორი
პ ა ტ ა რ ა გ ო გ ო ნ ა. ბეოტიელს დიდი ტ ო მ ა რ ა მოაქვს.

მ ე გ ა რ ე ლ ი

ათენის ბაზარო, ძმაო მეგარელთა,
⁷³⁰ როგორ მომენატრე, მშობელ დედასავით!
უმწეო შვილებო უბედურ მამისა,
წამოდით, ეძიეთ პური, თუ იპოვით.
ახლა კი მისმინეთ, დამიგდეთ... მუცლები.
თქვით, რა გირჩევენიათ: გაყიდვა? შიმშილი?

გ ო გ ო ნ ე ბ ი

⁷³⁵ გაყიდვა! გაყიდვა!

მ ე გ ა რ ე ლ ი

მეც ამას არ ვამბობ? მაგრამ ვინ უგნური
გიყიდით და თქვენთვის ფულებს ვინ გადაყრის?
უნდა მოვიფიქრო რამე მეგარული...
აჰა, გაგასაღებთ ორივეს გოჭებად;
⁷⁴⁰ მოირგეთ პატარა ჩლიქები გოჭისა,
კარგი დედაღორის შვილებს დაემსგავსეთ;

ჰერმესს გეფიცებით, შინ თუ დაბრუნდებით,
შიმშილის სასტიკი ხელი არ აგცდებათ.

მაშ, ახლა დრუნჩებიც კარგად მიიმაგრეთ

⁷⁴⁵ და ამ ტომარაში ჩაძვერით ორივე.

დაიწყეთ ჭყვიტინი, ღრუტუნი, ხრუტუნი,
თითქოს გოჭები ხართ, შესაწირავები.

მე დიკეოპოლისს მოვძებნი, სადაა.

ეი, დიკეოპოლის, გოჭები არ გინდა?

სახლიდან გამოდის დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რაო, მეგარელო?

მ ე გ ა რ ე ლ ი

⁷⁵⁰

სავაჭროდ მოვსულვართ.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

როგორ ხართ?

მ ე გ ა რ ე ლ ი

შიმშილით ვკვდებით კერიასთან.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

კერია კარგია, ფლეიტაც თუ არის.

ახალი რა არის მეგარას?

მ ე გ ა რ ე ლ ი

ახალი?

რა გინდა, არ იყოს! მე რომ მოვდიოდი,

⁷⁵⁵

ქალაქის საბჭოში იმაზე ფიქრობდნენ,

როგორ მოხერხდება, – სწრაფად დავიღუპოთ.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

თავსაც დაიხსნიდით ტანჯვიდან.

მ ე გ ა რ ე ლ ი

მაშ როგორ!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

სხვა რაა ახალი, პური რა ფასია?

მეგარელი

პური ძვირფასია მაღალი ღმერთივით.

დიკეოპოლისი

მარილი ხომ მოგაქვს?

მეგარელი

760

მარილი გაკლიათ?

დიკეოპოლისი

ნიორი?

მეგარელი

სადღაა, ბატონო, ნიორი?

მინდვრის თავგებივით რომ შემოგვესევით,

დარბეულ მიწაზე ნიორს რა დაარჩენს?

დიკეოპოლისი

რა მოგაქვს?

მეგარელი

გოჭები მომაქვს შესაწირი.

დიკეოპოლისი

კარგია! მაჩვენე.

მეგარელს კალათიდან პირველი გოგონა ამოჰყავს.

მეგარელი

765

მართლაც კარგებია.

ო, რა მსუქანია! აწონე, თუ გინდა.

დიკეოპოლისი

კაცო, ეს რა არის?

მეგარელი

გოჭია, ზევსს ვფიცავ.

დიკეოპოლისი

დასადაურია გოჭი?

მეგარელი

მეგარული.

რა, გოჭი არ არის?

დიკეოპოლისი

რაც არ მგონია.

მეგარელი

⁷⁷⁰ მაგარი რამაა! დახეთ უნდობლობას!

გოჭი არ არისო! გინდა, სანამლეო
დავდოთ ლობიოზე, რომ ბერძნულ ენაზე
ამ ცხოველს ნამდვილად გოჭი ეწოდება.

დიკეოპოლისი

ბავშვია.

მეგარელი

დიოკლეს ვფიცავ, რომ, შვილივით
⁷⁷⁵ გავზარდე ეს გოჭი, სხვისი კი არ არის.
გაფიცებ, უსმინე. ჭყვიტინებს.

დიკეოპოლისი

ღმერთმანი,

არ მესმის.

მეგარელი

ეი, ხმა ამოიდე, გოჭუნა!
არ გინდა, საწყალო? არ დაიჭყვიტინებ?
ჰერმესს გეფიცები, სახლში დაგაბრუნებ.

გოგონა

⁷⁸⁰ ჭყვიტ-ჭყვიტ.

მეგარელი

ეს გოჭი არ არის?

დიკეოპოლისი

ო, ახლა გოჭია,
გამოზრდი, – ბურვაკი იქნება.

მეგარელი

ხუთ წელში,
ეს კარგად გახსოვდეს, დედასაც აჯობებს.

დიკეოპოლისი

მაგრამ შესაწირად არ ვარგა.

მეგარელი

ეგ რატომ?

რად არ გამოდგება?

დიკეოპოლისი

⁷⁸⁵ კუდი ხომ არ აბია!

მეგარელი

ჯერ ხომ სულ ჩვილია! როცა დაღორდება,
მსხვილი და წითელი კუდი გაეზრდება.

(ტომრიდან მეორე «გოჭი» ამოჰყავს)

თუ გასასუქებლად გინდა, ეს აიღე.

დიკეოპოლისი

რა ერთნაირი აქვთ აი, ეს ადგილი!

მეგარელი

⁷⁹⁰ დედმამიშვილები არიან, რა გიკვირს?

ეს რომ გასუქდება, ჯაგარს ამოიყრის,
ზვარაკად ივარგებს აფროდიტესათვის.

დიკეოპოლისი

აბა, აფროდიტეს გოჭებს სად სწირავენ?

მეგარელი

სწორედ აფროდიტეს, იმის მეტს არავის!

⁷⁹⁵ თანაც რა ხორცი აქვს! რა უნდა ინატრო
შამფურზე წამოცმულ გოჭზე გემრიელი?!

დიკეოპოლისი

და დედის გარეშე ჭამა შეუძლიათ?

მეგარელი

ვფიცავ პოესიდონს, მამაც არ სჭირდებათ.

დიკეოპოლისი

რას ჭამენ გოჭები?

მეგარელი

რაც გინდა, მიეცი.
ჰკითხე და გეტყვიან.

დიკეოპოლისი

ღრუტ-ღრუტ-ღრუტ?

გოგონები

800

ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ.

დიკეოპოლისი

მუხუდოს თუ შეჭამთ?

გოგონები

ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ.

დიკეოპოლისი

აბა, ფიბალისის ლელვის ჩირს?

გოგონები

ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ.

დიკეოპოლისი

ლელვზე კი რას იტყვიო?

გოგონები

ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ-ჭყვიტ!

დიკეოპოლისი

მაგრად აჭყვიტინდნენ ლელვის თაობაზე!

805

მაშ, ვინმემ შინიდან ლელვი მომიტანოს

ამ გოჭუნებისთვის; ვნახოთ, თუ შეჭამენ.

მონას ლელვი მოაქვს.

რას ახრამუნებენ! ძვირფასო ჰერაკლე!

ნეტავ მღრღნელეთიდან ხომ არ ჩამოსულან?

მეგარელი

მაინც ვერ მოასწრეს ყველაფრის შესანსვლა:

810

ძლივს მოვახერხე და ეს ერთი ავწაპნე.

დიკეოპოლისი

ღმერთმანი, სეირი თუ გინდა, ეს არის.

რამდენად მომყიდი ამ გოჭებს, მითხარი.

მეგარელი

ამ ერთში მომეცი ნივრის ერთი გალა,

მეორე თუ გინდა, – ქენიკი მარილიც.

დიკეოპოლისი

შენ აქ მომიცადე, ვყიდულობ.

(შინ შედის.)

მეგარელი

815

კარგია!

ო, ჰერმეს, ვაჭრობის მფარველო, ნეტავი

ასევე გავყიდდე ცოლსაც და დედასაც!

შემოდის მახეზღარი.

მახეზღარი

ვინ ხარ?

მეგარელი

მეგარელი გოჭის გამყიდველი.

მახეზღარი

აი, ამ გოჭუნებს ახლავე დავასმენ,

შენაც მიგაყოლებ.

მეგარელი

820

ო, ესეც მოსულა, –

ჩვენში ყოველგვარი სიავის სათავე.

მახეზღარი

მოგხვდება მაგისტვის! მომეცი ტომარა!

მეგარელი

ეი, დიკეოპოლის, ეს კაცი მახეზღებს!

სახლიდან გამოდის დიკეოპოლისი.

დიკეოპოლისი

ვინ კაცი გახეზღებს? ეი, ზედამხედველნო,

825

აბა, მახეზღარი გააგდეთ აქედან!

(მახეზღარს)

შენ რა, უფითილოდ აპირებ «ნათებას»?

მახეზღარი

მაშ, არ დავახეზღო მტრები?

დიკეოპოლისი

აგატირებ,

თუ არ გაიქცევი! სხვაგან იმუშავე!

(სცემს და აძევებს მბეზღარს.)

მეგარელი

უბედურებაა ათენში ეს ჭირი.

დიკეოპოლისი

⁸³⁰ მშვიდად, მეგარელო. შენი გოჭებისთვის

მიიღე მარილი და გალა ნიორი.

აბა, გაიხარე!

მეგარელი

მე რა გამახარებს?

დიკეოპოლისი

ო, შენ თუ არ გინდა, დე, მე გავიხარო!

მეგარელი

ჩემო გოჭუნებო, აღარ გყავთ მამიკო.

⁸³⁵ ჭამეთ და დალიეთ, რასაც დაგიგდებენ.

მეგარელი მიდის. დიკეოპოლისს შინ შეაქვს ტომარა.

პირველი ნახევარგუნდი

ბედნიერია ეს კაცი!

თუ დაინახე, როგორ

წარუძღვა თავის საქმეებს?

კაცი ბაზარში დამჯდარიც

მოიწევს თავის მოსავალს;

თუკი მოუვა კტესია,

⁸⁴⁰ ან ვინმე ენატანია,

კიდევ ინანებს მწარედ.

მეორე ნახევარგუნდი

აწი ვერავინ ვერ გავნებს,

თუნდ გითვალთვალოს ჩუმად.

თავისი უწმინდურობით

პრეპისიც ვეღარ გაგვზრის;

ნურც კლეონიმე გადარდებს.

⁸⁴⁵ ძვირფას მოსასხამს მოისხამ;

თუ ჰიპერბოლე შეგხვდება,
ველარ გაგირჩევს საქმეს.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ბაზარში აღარ შეგხვდება,
ველარ მობედავს შენთან
თმაშეკრეჭილი კრატინე –
უგარყვნილესი ვინმე,
⁸⁵⁰ არტემონივით გახრწნილი,
უპატოსნო პოეტი,
ილღიებში რომ სუნი აქვს
თხატრაგასელი მამის.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ველარ დაგცინებს დღეიდან
პავსონი, ლირწი კაცი
და ქოლარგევსის სირცხვილი, –
⁸⁵⁵ ვერც ლისისტრატე მოვა;
ის, ბოროტებით აღსავსე,
რომ იყინება ნიადაგ
და მშიერია ყოველთვე
ოცდაათ დღეზე მეტ დღეს.

მეხუთე ეპისოდინი

შემოდინ ბ ე ო ტ ი ე ლ ი და მისი მ ო ნ ა; უკან ფ ლ ე ი ტ ი ს ტ ე ბ ი მოჰყვებიან.

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

(ზურგიდან იხსნის ვეება ტომარას)

⁸⁶⁰ ჰერაკლეს ვფიცავარ, ბებერა გამიჩნდა!
აბა, ისმენია, ფრთხილად ჩამოიღე.
თქვენ კი, თებელებო, თქვენ, ფლეიტისტებო,
ნაგაზს შეუბერეთ ახლა უკანალში.

სახლიდან გამოდის დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(ფლეიტისტებს)

ჯანდაბას წასულხართ! მოშორდით ამ კარებს!

⁸⁶⁵ საიდან მოფრინდით, დასაღუპავებო?

აცხა, ქერისელო ბზუილფლეიტებო!

ფლეიტისტები გადიან.

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

ვფიცავ იოლაეს, სიკეთე მიყავი!
თებედან მთელი გზა ზურგში მიბერავდნენ,
მიწაზე დაცვივდა ომბალოს ფოთლები.

⁸⁷⁰ საყიდლად თუ გინდა, ჩამოტანილი მაქვს
უბრალო ფრინველიც და ოთხფრთიანებიც.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

სალამი, თებელო, ქერისპურმჭამელო.
რა მოგაქვს?

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

რაც ჩვენში არის, ყველაფერი:
თავშავა, ომბალო, წნულები, ფითილი,
⁸⁷⁵ იხვი და მადრანი, გნოლი, წყლის ქათამი,
ნარჩიტა, ყვინთია.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ზამთარი ხომ არ ხარ,
რამდენი ფრინველი გადმოგიფრენია!

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

ეს რაა! ბატი და კურდღელი, მელია,
კატა და თხუნელა, თახვი და ზღარბები,
⁸⁸⁰ წავი... კოპაისის ნამდვილი გველთევზაც.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ჩამობრძანებულა თევზთა დედოფალი!
აბა, მოიყვანე, სიტყვა მაქვს სათქმელი.

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

(გველთევზა ამოაქვს ტომრიდან)
შენ, კოპაისელთა ელჩო და ქალწულო,
აქ მოდი, მადლობა უთხარი უცხოელს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

⁸⁸⁵ ო, უსაყვარლესო, დიდი ხნის ნანატრო,
მოდი, ტრიგოდის გუნდის ოცნებაო,
მორიქეს დობილო! მონებო, ტაფა და
დიდი საბერველი აქ გამომიტანეთ.

შემოდინ მონები.

ბიჭებო, ბიჭებო, უყურეთ გველთევზას, –
⁸⁹⁰ ექვსი წლის ნანატრი სტუმარი გვეწვია.
აბა, მიესალმეთ, შვილებო! მე ნახშირს
გიშოვით ახლავე, ამ სტუმარს ვუხატოთ.
აბა, შეიყვანეთ... სიკვდილიც ვერსადროს
ვერ გამყრის მოხარშულ დღევანდელ სტუმართან.

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

⁸⁹⁵ და მე კი რას მომცემ ამაში, ძვირფასო?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ამას დავიტოვებ ბაჟის საზღაურად.
აქ კიდევ ბევრი გყავს. მითხარი, რას ჰყიდი?

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

ამას სუყველაფერს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

და რამდენს მოითხოვ?
თუ – ფული არ გინდა და სურათს წაიღებ?

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

⁹⁰⁰ ჰო, რაც აქ არის და იქ არ იშოვება.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მაშ, ფალერონული ცქიმურა წაიღე,
ქოთნებიც...

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

ცქიმურა? ქოთნები? არის იქ.
მე ვეძებ, რაც არ გვაქვს, აქ კი ბლომადაა.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მივხვდი! მაბეზღარი ვინმე შეახვიე
და ისე წაიღე.

ბ ე ო ტ ი ე ლ ი

⁹⁰⁵ ორ ღმერთს გეფიცები,
დიდად მოვიგებდი, რომ მოვახერხებდე
ვინმე მაიმუნის წაყვანას აქედან.

დიკეოპოლისი

შეხედე, ნიკარქე მოდის დასასმენად.

შემოდის ნიკარქე.

ბეოტიელი

ვაჰ, რა პატარაა!

დიკეოპოლისი

სულ ბოროტებაა.

ნიკარქე

ოჰ! ეს საქონელი ვისია?

ბეოტიელი

⁹¹⁰ ჩემია,

ღმერთმანი; თებედან მოვსულვარ.

ნიკარქე

ახლავე

წავიღებ ამ ამბავს.

ბეოტიელი

თქვი, ომს რომ უცხადებ,

რამე დაგიშავეს შენ ამ ფრინველებმა?

ნიკარქე

შენაც დაგაბეზღებ!

ბეოტიელი

მე რა დაგიშავე?

ნიკარქე

⁹¹⁵ ხალხი რომ არ იყოს, არც გიპასუხებდი;

ჩვენი მტრებისათვის მოგაქვს ეს ფითილი.

დიკეოპოლისი

მერე, რას ენთები ფითილის გულისთვის?

ნიკარქე

მთელი ნავსადგურის დაწვა შეუძლია!

დიკეოპოლისი

რას, ფითილს?

ნ ი კ ა რ ქ ე

ჰო-მეთქი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მერე, რანაირად?

ნ ი კ ა რ ქ ე

⁹²⁰ მას ბეოტიელი რწყილზე დაამაგრებს,
ქარს დაელოდება და ცეცხლმოკიდებულს
არხით გააცურებს ნავსადგურისაკენ.
ერთ გემს თუ მოედო ცეცხლი, იმავე წუთს
მთელი ნავსადგური გადაიზუგება.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

⁹²⁵ მთელი ნავსადგური – რწყილით და ფითილით?

ნ ი კ ა რ ქ ე

(მაყურებლებს)

თქვენ ხართ მოწმეები.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ხმა ჩააწყვეტინე,
მომეცი წკნელები, შევკრა რიგიანად,
თიხის ქოთანით გზაში არ გაგიტყდეს.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{სტრ.} მამ, შეუფუთე, ძვირფასო,
⁹³⁰ სტუმარს თავისი ნავაჭრი,
რომ არ გაუტყდეს
ეს საქონელი გზაში.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ეს მე მომანდეთ, მაგან კი
იყვიროს ცეცხლზე დამსკდარმა,
ღმერთებისთვისაც
აუტანელმა კაცმა.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

⁹³⁵ რაში ივარგებს აწი?

დიკეოპოლისი

ო, ეს ჭურჭელი გახლავთ
ბოროტებათა ჭური და
სასამართლოთა სადღვები.

ამ ქვაბში ბევრი
მოიხარშება საქმე.

მეორე ნახევარგუნდი

⁹⁴⁰ ანტ. მაგას ძნელად თუ მოიხმარ,
ვინ დააყენებს ამ ჭურჭელს
თავის ოჯახში,
სულ რომ ხმაურობს ასე?

დიკეოპოლისი

სამაგიეროდ – მყარია,
არც არასოდეს გატყდება,
თუკი ფეხებით
⁹⁴⁵ ჩამოჰკიდებენ თავქვე.

მეორე ნახევარგუნდი

(ბეოტიელს)

გაკეთდა შენი საქმე.

ბეოტიელი

გამომადგება, მგონი.

მეორე ნახევარგუნდი

გამოიყენე, სტუმარო,
წაიყვანე და, როგორც გსურს,
⁹⁵⁰ ისე იხმარე –

მაზეზღარს ასე ხვდება.

დიკეოპოლისი

ვაჰ, ძლივს არ შევკარი ეს დასალუპავი!
წაიღე ეგ შენი ქოთანნი, თებელო!

ბეოტიელი

აბა, ისმენია, ზურგი მოამზადე!

დიკეოპოლისი

⁹⁵⁵ ეცადეთ, ძალიან ფრთხილად კი წაიღოთ,
წმინდა არაფერი არ მიგაქვთ... და მაინც.

თუნდაც იმადაა კარგი ეს ნავაჭრი,
რომ სიკოფანტების შიში არ გექნებათ.
ბეოტიელი გადის.

მექესე ეპისოდონი

შემორბის ლ ა მ ა ქ ე ს მ ს ა ხ უ რ ი.

ლ ა მ ა ქ ე ს მ ს ა ხ უ რ ი

ეი, დიკეოპოლის!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რა გინდა?

ლ ა მ ა ქ ე ს მ ს ა ხ უ რ ი

რა მინდა?

⁹⁶⁰ ეს დრაქმა ლამაქემ მომცა და მიბრძანა,
შაშვი მიყიდეო ზედაშეებისთვის;
ხოლო გველთევზაში სამ დრაქმას გვთავაზობს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რომელმა ლამაქემ ბრძანა, გველთევზაო?

ლ ა მ ა ქ ე ს მ ს ა ხ უ რ ი

სასტიკმა, საშიშმა, ტყავისფარიანმა,

⁹⁶⁵ გორგონას რომ არხევს, ჯილას აფრიალებს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ვერა, ზევსს ვფიცავარ, ფარიც რომ დამითმოს!

თავისი ჯილები თევზებს უფრიალოს.

ხმას თუ ამოიღებს, ვუხმოზ ზედამხედველთ.

ლ ა მ ა ქ ე ს მ ს ა ხ უ რ ი გადის.

ეს ჩემი ნავაჭრი მე გამომადგება.

⁹⁷⁰ შინ შევალ ჩიტების ფრთების ნაზ ხმაურში.

(შედის)

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{სტრ.} ო, მთელი ქალაქო, შეხედე; უყურე ამ ზებრძენ მამაკაცს!
მან ზავი დადო და ძალუძს ყველაფერი იყიდოს,

რაც გამოადგება სახლისთვის და ერთი კარგი ქეიფისთვის.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ მ ღ ო ლ ი

თავისთავად მოდის მასთან ყველაფერი.

ომს დღეიდან სახლში აღარ შემოვუშვებ,

⁹⁸⁰ არც არავის არ ვამღერებ «ჰარმოდოსს»,

რადგან ომი ერთ მემთვრალე კაცს მაგონებს, –

ვინმეს სახლი სავსე თუ აქვს, შეეჭრება,

აუნგრევს და დაუნგრევს და ჩამოუნგრევს;

სულ ამაოდ მოვუხმობდი, ვაწყნარებდი:

⁹⁸⁵ «წამოწექი, მეგობრობის თასი შესვი»,

კიდევ უფრო აინთო და შეიშალა;

არც კი გკითხავს, შენი ყურძნის ღვინოს ისე დაწურავს.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{ანტ.} ფრთები გამოუსხამს და მიდის სადილადად; რა მედიდურია!

კარებთან ბუმბული უყრია ბედნიერ ბერიკაცს.

ზავო! ქარიტთა და მშვენიერ კიპრისის დაო ჭეშმარიტო!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ მ ღ ო ლ ი

⁹⁹⁰ პირმშვენიერო, უწინ, რად ვერ გამჩნევდი!

მხატვრებო რომ გვირგვინოსნად გვიხატავენ,

იმ ეროსმა ნეტა შეგვრთოს ჩვენ ერთარსად!

იქნებ ფიქრობ, ბებერი ვარ მეტისმეტად.

არა! სამგზის გავამართლებ, თუ ამირჩევ.

⁹⁹⁵ ჯერ ვაზს ჩავრგავ და რიგებად დავამშვენიებ,

იმის გვერდით ლედვის ტოტებს ავაცვავებ;

ყურძენი კი ნატიფ ღვინოს მომანიჭებს,

ვენახს ირგვლივ სულ ზეთისხილს შემოვურგავ,

ახალმთვარეს იმის ზეთით დავიზილოთ სხეული.

მეშვიდე ეპისოდინი

მ ა ც ნ ე

¹⁰⁰⁰ ხალხო, მომისმინე; ძველი წესისამებრ,

ამ ზედაშეებზე უნდა სვათ სუყველამ.

პირველი ვინც შესვამს, ტიკი მას ერგება.

სახლიდან გამოდის დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი.

დიკეოპოლისი

ბავშვებო, ქალებო, არ გესმით? რას შვრებით?
მაცნეს არ უსმინეთ? მოხარშეთ, შებრაწეთ,
¹⁰⁰⁵ გადააბრუნეთ და მერმე გამოიღეთ
შემწვარი კურდღელი! შეკონეთ გვირგვინი!
მომეცით შამფური, შაშვი წამოვაგო.

პირველი ნახევარგუნდი

^{სტრ.} მე მომცა შენი გონება,
გონება კიდევ რა არის,
¹⁰¹⁰ მე მომცა შენი სუფრა!

დიკეოპოლისი

ეს რაა, მაშინ რას იტყვით,
შაშვს რომ გაჩვენებთ შემწვარს?

პირველი ნახევარგუნდი

ეჰ, მართალი ხარ, მართალი.

დიკეოპოლისი

ეი, გააჩაღე ცეცხლი!

პირველი ნახევარგუნდი

¹⁰¹⁵ ხომ ხედავთ, მზარეულივით,
ნამდვილი ხელოვანივით
როგორ გააწყო სუფრა!

შემოდის გლეხი.

გლეხი

ვაი, მე უბედურს!

დიკეოპოლისი

ჰერაკლე! ვინა ხარ?

გლეხი

კაცი უბედური.

დიკეოპოლისი

გაბრუნდი ახლავე.

გლეხი

¹⁰²⁰ ძვირფასო, შენ ერთს გაქვს ზავი და მშვიდობა;

ცოტა მიწილადე, ასე, ხუთწლიანი.

დიკეოპოლისი
რად გინდა?

გლექი
მოვისპე, ხარები დავკარგე!

დიკეოპოლისი
ეს როგორ?

გლექი
გადენეს ბეოტიელებმა.

დიკეოპოლისი
სამგზის უბედურო! თეთრები გაცვია?!

გლექი
¹⁰²⁵ მე ხომ მინახავდნენ ისინი, ღმერთმანი,
თავისი ნაკელით.

დიკეოპოლისი
ახლა რა გჭირდება?

გლექი
მათ გამო ტირილით თვალები დამევესო;
თუკი გებრალეები დერკეტე ფილელი,
მშვიდობა წამისვი თვალებზე სასწრაფოდ.

დიკეოპოლისი
¹⁰³⁰ საერთო ექიმი ხომ არ ვარ, სულელი!

გლექი
გთხოვ! იქნებ როგორმე დავიხსნა ხარები.

დიკეოპოლისი
წადი, პიტალეს შესტირე; არ მოგცემ.

გლექი
ო, მე გევედრები, წვეთი მშვიდობისა
მაინც ჩამიწვეთე ამ ლერწმის ღეროში.

დიკეოპოლისი
¹⁰³⁵ ერთ წვეთსაც არ მოგცემ. წადი და იტირე.

გ ლ ე ხ ი

ვაიმე უბედურს... რა მუშა ხარები!

(გადის.)

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{ანტ.} ამ კაცმა ზავში იპოვა
რაღაც ტკბილი და, მგონია,
წვეთსაც არ მისცემს ვინმეს.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

თაფლი დამისხი ძეხვზე და
¹⁰⁴⁰ თევზი შემიწვი კარგად!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

თუ გესმის, როგორ ღრიალებს?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ახლა გველთევზაც შემიწვით!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ნაღდად შიმშილით დაგვხოცავს
¹⁰⁴⁵ ჩვენც, მეზობლებსაც! ოჰ, სუნი!
რამოდენაზე ყვირის!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ეს შეწვით! უყურეთ, კარგად რომ შეწითლდეს!

მერვე ეპისოდონი

შემოდინან ნეფის მ ე ჯ ვ ა რ ე და დედოფლის დ ო ბ ი ლ ი.

მ ე ჯ ვ ა რ ე

ეი, დიკეოპოლის!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ეს კიდევ ვინაა?

მ ე ჯ ვ ა რ ე

ნახე, რა ხორცია! ეს ნეფემ მოგიძღვნა
ქორწილის სუფრიდან.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

1050

ჰო, კარგი უქნია.

მ ე ჯ ვ ა რ ე

და გთხოვა, ამ ჯამში ზავი ჩამოუსხა,
რათა შინ დარჩეს და სიყვარულს მიეცეს;
ჯარი არ იზიდავს, ხომ ხვდები, რატომაც.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

წაიღე, წაიღე ეს ხორცი, ნუ მამღევ.

1055

ათასიც რომ მომცეს დრაქმა, არ ჩავუსხამ.

ეს ქალი ვინაა?

მ ე ჯ ვ ა რ ე

დედოფლის დობილი.

მაგას დააბარა რაღაც დედოფალმა.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რას მეტყვი?

დედოფლის დობილი ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს.

ღმერთებო, რა სასაცილოა

დედოფლის სურვილი! თურმე რა სჭირდება –

1060

შინ მსურს დავიტოვო მეუღლის ასო!

(მონას)

ზავი მომიტანე. ამას კი გავატან,

ომი თუ ჩაღდება, ქალის რა ბრალია.

(ქალს)

მოიწი, ეგ ბოთლი მაღლა დაიჭირე.

იცით მოხმარება? დედოფალს უთხარი,

1065

როცა მის მეუღლეს ჯარში გაიწვევენ,

ამით დაუზილოს ასო იმ საღამოს.

მ ე ჯ ვ ა რ ე და დედოფლის დობილი გადიან.

(მონას)

აჰა, შეიტანე. ლიტრა მომიტანე,

მინდა რომ შევავსო ღვინით ეს ჯამები.

მეცხრე ეპისოდონი

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ვიღაცა მოიწევს წარბეზაწეული,

1070 რაღაც საშინელი ამბავი თუ მოაქვს.

შემოდის მ ა ც ნ ე.

მ ა ც ნ ე

ტანჯვები, ბრძოლები და ლამაქეები!

შინიდან გამოდის ლ ა მ ა ქ ე.

ლ ა მ ა ქ ე

ვინ, ვინ მიკაკუნებს რვალიან კარებზე?

მ ა ც ნ ე

წამოსვლა გიბრძანეს შენ სტრატეგოსებმა

სასწრაფოდ, ახლავე. ჯარიც წაიყვანე;

1075 ზვავში ხეობები უნდა გადაკეტოთ.

ამბავი მოვიდა, რომ ზედაშეებზე

თავს დაგვესხმებიან ბეოტიელები.

ლ ა მ ა ქ ე

ასი სტრატეგოსი უნდა გამარჯვებას?

საშინელებაა, ზეიმს არ გაცლიან!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

1080 ვაიმე არმიას, ომშილამაქეანს!

ლ ა მ ა ქ ე

ვაიმე უბედურს, ახლა შენც დამცინი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

გინდა შეებრძოლო ოთხფრთა გერიონეს?

ლ ა მ ა ქ ე

აჰა,

როგორი ამბავი მაუწყა ამ მაცნემ!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

აჰაჰა, ამ შიკრიკს რა მოაქვს სიახლე?

შემოდის შ ი კ რ ი კ ი.

შ ი კ რ ი კ ი

ეი, დიკეოპოლის!

დიკეოპოლისი

რა მოხდა?

შიკრიკი

1085

სადილზე

წამოდი სასწრაფოდ, დოქიც წამოილე,
შენ ხომ დიონისეს ქურუმმა მოგიხმო.
იჩქარე, სადილი უკვე გვიანდება,
სხვა ყველაფერი კი გამზადებულია:

1090

საწოლი, მაგიდა, ბალიში, საგები,
გვირგვინ-მუშკ-ამბარი, ტკბილი, მეძავეები,
კვერები, ნამცხვრები, ღვეზელი, ქერქები,
მოცეკვავეები და «ჰარმოდოსი».
აჩქარდი, წამოდი.

ლამაქე

ვაი, მე უბედურს!

დიკეოპოლისი

1095

ჰო? ფარზე გორგონა ხომ გაქვს დახატული!

(მონას)

კარები დაკეტე, საჭმელი ჩამიწყონ.

ლამაქე

ეი, ბიჭო, საველე ჩანთა მომიტანე!

დიკეოპოლისი

ეი, ბიჭო, კალათი აქ გამომიტანე!

მონები ასრულებენ თავიანთი ბატონების ამ და შემდგომ ბრძანებებს.

ლამაქე

ბიჭო, მომიტანე ხახვი და მარილი!

დიკეოპოლისი

1100

თევზი შებოლილი! ხახვი მეზიზღება.

ლამაქე

ეი, ბიჭო, ფოთოლში თევზი შემიხვიე!

დიკეოპოლისი

მეც, ბიჭო, ფოთოლში – ხორცი, ერბოკვერცხი!

ლ ა მ ა ქ ე

ე, მუზარადისთვის ფრთები მომიტანე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ფრთებზე გამახსენდა: შაშვი და ქედანი!

ლ ა მ ა ქ ე

¹¹⁰⁵ თეთრი და ლამაზი ფრთა აქვს სირაქლემას.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ქედანს კი ხორცი აქვს ნაზი, მოწითალო.

ლ ა მ ა ქ ე

თავი დაანებე, კაცო, ჩემს საჭურველს!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

თავი დაანებე შაშვს, ნულარ უყურებ!

ლ ა მ ა ქ ე

ჯილა და შალითა! სწრაფად მოიტანე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

¹¹¹⁰ თეფშზე დამიჭერი კურდღელი! საჩქაროდ!

ლ ა მ ა ქ ე

ეს რაა, რწყილებმა შეჭამეს ჯილები?

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(თეფშს დაჰყურებს)

ეს რაა, სადილსაც აღარ დავუცადო?

ლ ა მ ა ქ ე

(დიკეოპოლისს)

იქნებ შეგეწყვიტა ჩემთან ლაპარაკი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

შენ ვინ გეუბნება? მონასთან ვკამათობ.

(მონას)

¹¹¹⁵ გინდა, სანაძლეო დავდოთ და ლამაქეს

ვკითხოთ: რა სჯობია, შაშვი თუ კალია?

ლ ა მ ა ქ ე

ვაჰ! როგორ დამცინი?!

დიკეოპოლისი

(მონას)

ამბოზს, კალიაო.

ლამაქე

შუბი ჩამოხსენი, ბიჭო, მოიტანე!

დიკეოპოლისი

ძეხვი ჩამოხსენი, ბიჭო, მოიტანე!

ლამაქე

¹¹²⁰ აბა, შალითიდან უნდა ამოვიღოთ.

მიდი, დაექაჩე!

დიკეოპოლისი

(მონას ძეხვს აწვდის)

შენაც დაექაჩე!

ლამაქე

ბიჭო, მომიტანე ფარის დასადგამი!

დიკეოპოლისი

შენ, ბიჭო, ღუმელი! მუცლის დასადგამი!

ლამაქე

მრგვალ ფარს ვერ მოიტან, ბიჭო, გორგონიანს?!

დიკეოპოლისი

¹¹²⁵ ექ, ბიჭო, სად არის მრგვალი ხაჭაპური?!

ლამაქე

ეს ახლა დაცინვა არ არის? რას იტყვით?

დიკეოპოლისი

ეს რა, ხაჭაპური არ არის? რას იტყვით?

ლამაქე

(მონას)

შენ ზეთი დაასხი!

(მონა ფარს ზეთს ასხამს)

სპილენძზე გამოჩნდა

მშიშარა მოხუცი, დასჯის ეშინია.

დიკეოპოლისი

(მონას)

შენ თაფლი დამისხი!

(თაფლიან ჯამს ჩაჰყურებს)

1130 აქაც ჩანს მოხუცი,
გორგონა-ლამაქე ფეხებზე ჰკიდია.

ლ ა მ ა ქ ე

ბიჭო, მომიტანე ჩემი საჭურველი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ჩემი იარაღი – ჯამი ამოიღე!

ლ ა მ ა ქ ე

ამას ჩავიცვამ და მომხდურთ დავერევი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

1135 ამას შევხრუპავ და სულ გადავირევი!

ლ ა მ ა ქ ე

შენ, ბიჭო, საგები ფარზე მიამაგრე!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ბიჭო, შენ სადილი კალათში ჩამიწყვე!

ლ ა მ ა ქ ე

ამ ჩანთას ავიღებ და მივალ ლაშქართან.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

მოვისხამ მოსასხამს და მივალ... სადილთან.

ლ ა მ ა ქ ე

1140 შენ, ბიჭო, აიღე ფარი და იარე.
როგორ თოვს! ოჰ, ამის... ზამთრის ამინდია.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

აიღე საჭმელი. ღვინის ამინდია.

სხვადასხვა მხარეს გადიან ლ ა მ ა ქ ე და დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

მაშ, გაიხარეთ თქვენს ლაშქრობებში;

რა განსხვავებულ გზებს დაადექით!

1145 ეს რომ ნადიმზე მიდის გვირგვინით,

ის – გაყინული დაიცავს საზღვარს.

ეს მიუწვება

გაზაფხულივით გაფურჩქნილ გოგოს,

ერთი ადგილიც დაესრისება.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

1150 სტრ. ანტიმაქეს, «წვეთის» ძეს, ვითომ პოეტს
და უნიჭო «ხელმძღვანელს», –

ბევრი რომ არ ვიტიტინო, – დალუპავდნენ ღმერთები!

1155 ქორეგოსი იყო, ჰოდა ლენეებზე სულ მშიერი დამტოვა!

ო, მანახა, მოეთხოვოს

შებრაწული ქაშაყი და

წამოწოლილს პირზე ნერწყვი მოსდგომოდეს;

ხომალდით შემოსული თევზი

1160 მისთვის უცებ მოეტაცოს ქოფაკს!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

56. ეს ცოტაა მაგისტვის. სხვა სიავეც მოუვიდეს საღამოს.

ეჯირითოს მთელი დღე და ბრუნდებოდეს დაღლილი.

შეხვედროდეს გაღეშილი ორესტე და ქვა ჩაერთყას გოგრაში!

ქვის აღება დააპიროს,

სიბნელეში ქვის მაგივრად

1170 კარგი ფუნა მოენახოს, სულ ახალი;

მოისროლოს ეს ძვირფასი ლოდი,

იმას აცდეს და კრატინეს მოხვდეს!

მეათე ეპისოდონი

შემორბის შ ი კ რ ი კ ი.

შ ი კ რ ი კ ი

მონებო, რომლებიც ლამაქეს სახლში ხართ,

1175 წყალი გააცხელეთ ახლავე ქოთანში,

ტილო მოიტანეთ, საცხი გაამზადეთ,

სადმე გამოძებნეთ ბანდი კოჭისათვის.

კაცი დაჭრილია, – თხრილზე რომ გადახტა,

მარგილი შეერჭო, კოჭიც ამოიგდო;

1180 მერმე წაიქცა და თავიც გაიტეხა,

მრისხანე გორგონა წამოხტა ფარიდან.

როცა მუზარადიც დაეცა ლოდებზე,

ველარ მოითმინა და ხმა ამოიღო:

«ო! უკანასკნელად გიყურებ, სინათლევ,
¹¹⁸⁵ გტოვებ და მივდივარ. უკვე აღარა ვარ!»

ეს თქვა და უმაღვე არხში გადაეშვა.

კვლავ წამოიძარტა, მომხდურთ გზა მოუჭრა,

შუბით დაედევნა და ააწიოკა.

გამოჩნდა თვითონაც. გააღეთ კარები!

კოჭლობით შემოდის ლ ა მ ა ქ ე; ორ ჯარისკაცს ეყრდნობა.

ექსოდოსი

ლ ა მ ა ქ ე

¹¹⁹⁰ ატატაქ, ატატაქ!

ვაი, რა საშინლად მტკივა მე უბედურს!

კვდები მეტოქეთა შუბით განგმირული.

¹⁰⁹⁵ ამაზე უფრო სატირალი საქმეც მომივა,

დიკეოპოლისს თუ დავენახე ასე დაჭრილი, –

დამცინებს უთუოდ.

შემოდიან დიკეოპოლისი და ორი მეძავი.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ატატაქ, ატატაქ!

კომშივით მკვრივი და მრგვალია ეს მკერდი!

¹²⁰⁰ ნაზად მემამბორე, ოქროვ, საყვარელო!

ვნებიანად ჩამეკონე ტუჩებში, –

თასის დაცლა დაგასწარი, მეკუთვნის!

ლ ა მ ა ქ ე

რა დაწყევლილი ვარ, რა უბედური ვარ!

¹²⁰⁵ ვაი, ჩემო ტკივილო და ჭრილობავ!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

გამარჯობა, ცხენოსანო ლამაქე!

ლ ა მ ა ქ ე

ვიტანჯები!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(პირველ მეძავს)

რატომ მკოცნი?

ლ ა მ ა ქ ე

ვეწამები!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(მეორე მეძავს)

რატომ მკბენ?

ლ ა მ ა ქ ე

¹²¹⁰ მე უბედურს ბრძოლა ძვირად დამიჯდა!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

რა, გადასახადი დაწესდა ზეიმზე?

ლ ა მ ა ქ ე

ვაივაი, პეან, პეან!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

დღეს რომ აპოლონის ზეიმი არ არის?

ლ ა მ ა ქ ე

(ჯარისკაცებს)

მომკიდეთ, ფეხებზე მომკიდეთ ხელები!

¹²¹⁵ ასე წამიყვანეთ!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

(მეძავებს)

მომკიდეთ, ამაზე მომკიდეთ ხელები!

ასე წამიყვანეთ!

ლ ა მ ა ქ ე

თავი რომ მივარტყი, ვერაფერს ვერ ვხედავ,

თავბრუ მეხვევა.

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

¹²²⁰ მე ქალის სურვილით გადარეული ვარ,

თავბრუ მეხვევა.

ლ ა მ ა ქ ე

სწრაფად წამიყვანეთ ახლა პიტალესთან,

მის ხელებს მიმანდეთ!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

ლოთებთან მივდივართ! ვინ არის თამადა?

ლ ა მ ა ქ ე

ო, შუბის წვერმა სასტიკად გადამილენა ძვლები!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

წვეთიც არ დარჩა ამ ჯამში. მე გამიმარჯოს ახლა!

გ უ ნ დ ი

შენ გაგიმარჯოს, ბებერო! შენ გაგიმარჯოს, ყოჩად!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

სუფთა ღვინოა, იცოდეთ. დავცალე ერთი მოსმით!

გ უ ნ დ ი

¹²³⁰ მართლაც ვაჟკაცი ყოფილხარ! ნაღდად გეკუთვნის ტიკი!

დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი

უკან მომყევით სიმღერით: «ვაშა, ბებერო, ვაშა!»

გ უ ნ დ ი

მაშ, გამოგყვებით სიმღერით:

«ვაშა, ბებერო, ვაშა!»

გიმღერით შენ და შენს ტიკს.

მხედრები

მოქმედი პირნი

პირველი მსახური.

დემოსის მონები.

მეორე მსახური.

მეძეხვე აგორაკრიტოსი.

პაფლაგონელი, დემოსის მსახური.

მხედართაგუნდი.

დემოსი, ათენელი ხალხი.

მოქმედება მიმდინარეობს დემოსის სახლის წინ;

სახლი მოთავსებულია ორქესტრას სიღრმეში.

პროლოგი

პირველი მსახური (ათენელი მხედართმთავრის, დემოსთენეს ნიღბით)
გამორბის სახლიდან.

პირველი მსახური

ვაიმე უბედურს, ვაიმე, ვაიმე!
დალუპეთ, ღმერთებო, ახალშემენილი
პაფლაგონელი და მისი განზრახვები!

სახლიდან გამორბის მეორე მსახური (მხედართმთავარ ნიკიას ნიღბით).

რაც ეს უკეთური სახლში შემოგვეჭრა,
⁵ დაოსებულნი ვართ ცემით მსახურები.

მეორე მსახური

პაფლაგონელთაგან პირველი მოისპოს
თავისი ხრიკებით!

პირველი მსახური

როგორ ხარ, საბრალოვ?

მეორე მსახური

ცუდად ვარ, შენსავით.

პირველი მსახური

აქ მოდი, ორივემ

ერთად ვიქვითინოთ ოლიმპესებურად.

მეორე მსახური

(ერთად სლუკუნებენ)

¹⁰ მუმუმუ, მუმუმუ, მუმუმუ, მუმუმუ.

პირველი მსახური

ნეტავ რას ვკრუსუნებთ ორივე ამაოდ?
ტირილს არ აჯობებს, რამე ხსნა ვეძებოთ?

მეორე მსახური

და რა გზას დავადგეთ?

პირველი მსახური

შენ თქვი.

მეორე მსახური

შენ მითხარი,

რომ არ გეკამათო.

პირველი მსახური

მე არ შემიძლია,

¹⁵ ჯერ შენ გაზედე და მეც ვიტყვი შენს შემდეგ.

მეორე მსახური

¹⁷ მხნეობა არ მყოფნის. როგორ შეიძლება

¹⁸ ამის გამოხატვა ევრიპ-იდეურად? –

¹⁹ «რად არ მეუბნები, რაც მე მაქვს სათქმელი?»

პირველი მსახური

¹⁶ არ გინდა, არ გინდა! ნუ გაამჟაუნებ!

²⁰ რამე მოიფიქრე, ბატონს რომ დავუძვრეთ.

მეორე მსახური

აბა, თქვი: «და-ვი-დეთ», ასე, მიყოლებით.

პირველი მსახური

ჰო, ვიტყვი: «და-ვი-დეთ».

მეორე მსახური

ახლა მიუმატე:

«მტერ-თან-გა».

პირველი მსახური

«მტერ-თან-გა».

მეორე მსახური

ძალიან კარგია.

თითქოს ხელს იქნევდე, ისე მიაყოლე:

«და-ვი-დეთ», «მტერ-თან-გა»...

პირველი მსახური

²⁵ «და-ვი-დეთ-მტერ-თან-გა-
და-ვი-დეთ-მტერ-თან-გა»... «მტერთან გადავიდეთ».

მეორე მსახური

კარგია?

პირველი მსახური

ზევს ვფიცავ! მაგრამ მეშინია,
ტყავი არ გადაგვძვრეს.

მეორე მსახური

თქვი, რატომ გგონია!

პირველი მსახური

როცა ხელს იქნევენ, ტყავი ხომ გა-და-დის?!

მეორე მსახური

³⁰ ასეთ გასაჭირში ყველაფერს აჯობებს,
მუხლი მოვიყაროთ ღმერთების კერპებთან.

პირველი მსახური

რაო? კერპებთანო? შენ რა, გწამს ღმერთები?

მეორე მსახური

ნამდვილად.

პირველი მსახური

და ამას როგორ ასაბუთებ?

მეორე მსახური

«ღმერთი მემტერება» – საბუთი არ არის?

პირველი მსახური

³⁵ კარგად დამარწმუნე. სხვა რამე მოვძებნოთ.
გინდა, ყველაფერი ვუთხრათ მაყურებლებს?

მეორე მსახური

ცუდი არ იქნება. ერთი კი მოვთხოვოთ:
სახეზე დაეტყოს სუყველას აშკარად,
თუ მოეწონება სიტყვა და თამაში.

პირველი მსახური

⁴⁰ მაშ, ვიწყებ მოყოლას: ბატონად გვყავს ერთი
ტეტია მოხუცი, ლობიოს მოყვარე,
ანჩხლი, ფხუკიანი, გამოყრუებული
დემოსი, პნიქსის ძე... ახალმთვარეობას

იყიდა ბებერმა ეს პაფლაგონელი –

⁴⁵ ცბიერი მეტყავე, ცილისმწამებელი.

მოხუცის ხასიათს ალლო რომ აულო,
ჩვენს ბატონს შეუძვრა ტყავპაფლაგონელი,
დაუწყო ფერება, ლიქნა და ლაქუცი,
თავბრუ დაახვია, ისე ელაქლაქა:

⁵⁰ «დემოს, გაარჩიე საქმე ერთადერთი,
მერე დაიბანე, მიირთვი, მიიღე
შენი ტრიობოლი. ვახშამი მოგართვა?»
თუ ჩვენ გავამზადეთ რაიმე, მოგვტაცებს
და ბატონს მიართმევს ის, პაფლაგონელი.

⁵⁵ პილოსში მოვზილეთ ცომი ლაკონური,
ის კი მომეპარა, მზაკვრულად მომტაცა,
მისად გაასაღა ჩემი მოზელილი!

ჩვენ გვაგდებს, სულ გვიშლის, ბატონს ვემსახუროთ;
როცა ის სადილობს, გვერდით დაუდგება

⁶⁰ და ტყავის... გვირგვინით უფრთხობს... ორატორებს.

ორაკულს უმღერის, აოგნებს ბერიკაცს.
სულ რომ გააშტერა, მიმართა ხვანჯების
მისეულ ხელობას: მსახურებს აშკარად
ცილს გვწამებს, ჩვენც გვიწევს ხშირ-ხშირად მიტყეპვა.

⁶⁵ ყველანი დაგვტანჯა, ბრალს გვდებს და გვაწამებს,
საჩუქრებს თხოულობს, ასე გვეუბნება:

«ვერ ხედავთ, ჰილასი რომ გავამათრახე?
თუ არ დამიჯერებთ, ხვალვე სულს ამოგხდით».

ჩვენც ვაძლევთ. არ მისცემ და განრისხებული
მოხუცი გაგთელავს, რვაგზის გაზღვევინებს.

(მეორე მსახურს)

ახლა კი ავჩქარდეთ, უნდა მოვიფიქროთ,
თუ რა გზას დავადგეთ, ვის უნდა მივმართოთ.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი

ყველაფერს აჯობებს, «და-ვი-დეთ», ძვირფასო.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

მაგრამ პაფლაგონელს რას გამოაპარებ!

⁷⁵ ყველაფერს არ ხედავს? ცალ ფეხს რომ პილოსში
დაადგამს, მეორე აქ უდგას, კრებაზე.
ისე აქვს გადგმული ნაბიჯი, რომ ხელებს

ეტოლიელები ხედავენ, უკანალს –
ქაონიელები, ტვინს – კლოპიდელები.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი

⁸⁰ ყველაფერს აჯობებს, მოვკვდეთ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ეს არ კმარა,

ყველაზე გმირულად უნდა აღვესრულოთ.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი

ყველაზე გმირული სიკვდილი იქნება,
ხარის სისხლს თუ დავლევთ და იმით მოვკვდებით.
ისე აღვესრულოთ, როგორც თემისტოკლე.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

⁸⁵ სჯობს, სუფთა ღვინოთი დავლოცოთ ღვთაება,
იქნება, რაიმე ბრძნული გვაპოვნინოს.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი

სუფთა ღვინოთიო?! შენ ხომ სულ სმა გახსოვს!
რომ გაიღეშები, ჭკუას სულ დაკარგავ!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

შენ წყალს სცემ პატივს და წყალს ნაყავ ამიტომ.

⁹⁰ როგორ გამიბედე, ღვინო გამილანძღე?!

სხვა რაა ღვინოზე უფრო პრაქტიკული?

ვინც სვამს, ის მდიდრდება, წარმატებას აღწევს,
სასამართლოშიაც მუდამ ის იმარჯვებს,
სხვებსაც ეხმარება, ცხოვრობს ბედნიერად.

⁹⁵ აბა, გაიქეცი, ღვინო მომიტანე,
გონებას დავიწმენდ, რამეს მოვიფიქრებ.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი

ვაიმე, სადამდე მიგიყვანს შენი სმა?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

რაიმე კარგამდე. მიდი, მოიტანე!

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი სახლში შედის.

მე კი წამოვწვები, გავიტრიტები და

¹⁰⁰ დავაფრქვევ რჩევუკებს, აზრუკებს, განსჯუკებს.

მეორე მსახური

(ბრუნდება ღვინის ჩაფითა და თასით)

გადავრჩი! ვერავინ ვერ მნახა, იმგვარად
ავწაპნე.

პირველი მსახური

რას შვრება იქ პაფლაგონელი?

მეორე მსახური

ოჰ! ჩამორთმეული საჭმლით გამომსკდარა,
ტყავში გახვეულა და ხვრინავს თავისთვის.

პირველი მსახური

¹⁰⁵ ახლა კი მოდი და ამივსე ეს თასი!

მეორე მსახური

აბა, წაუქციე ზედაშე ღვთაებას!

პირველი მსახური

შესვი პრამნიოსის ღვთაების სასმელი.

(თასს გამოცლის)

ეს შენ მოიფიქრე, კეთილო ღვთაებავ.

მეორე მსახური

მითხარი, რა არის?

პირველი მსახური

ჩქარა, ორაკული,

¹¹⁰ მოპარე იმას და აქ მოარბენინე,

სანამ გაიღვიძებს.

მეორე მსახური

მაინც მეშინია,

ეგ შენი ღვთაება ავი არ აღმოჩნდეს.

(მიდის.)

პირველი მსახური

ამ ჩაფს აქ დავიდგამ, ერთს კიდევ მოვსვამ და
გონებას დავიწმენდ, რამეს მოვიფიქრებ.

მეორე მსახური

(ბრუნდება)

¹¹⁵ იქ პაფლაგონელი ხვრინავს და ბუყბუყებს...

წმინდა ორაკული მოვპარე, რომელსაც

სულ დაჰკანკალებდა.

პირველი მსახური

ჭკუის კოლოფი ხარ!

მომე, წავიკითხო...

(თვალეებით კითხულობს)

დამისხი, დავლიო,

აბა დააჩქარე. რაო, რა წერია?!

¹²⁰ რა ორაკულია! მომეცი სასმისი!

მეორე მსახური

შესვი. რა წერია?

პირველი მსახური

დამისხი მეორეც.

მეორე მსახური

იქ ასე წერია, «დამისხი მეორეც»?

პირველი მსახური

ო, ბაკის!

მეორე მსახური

რა მოხდა?

პირველი მსახური

მომეცი სასმისი.

მეორე მსახური

ბაკისი, ეტყობა, წრუპავს გვარიანად.

პირველი მსახური

¹²⁵ ო, პაფლაგონელო, ამიტომ მალავდი!

ამის გეშინოდა, შენზეა...

მეორე მსახური

რა არის?

პირველი მსახური

აი, აქ წერია, რომ დაიღუპება.

მეორე მსახური

ეს როგორ?

პირველი მსახური

როგორ და – აქ ნათლად წერია,
რომ ჯერ გაიმარჯვებს ძენძით მოვაჭრე და
¹³⁰ იგი ჩაუდგება ქალაქს სათავეში.

მეორე მსახური

ეს ერთი ვაჭარი. ამას ვინ მოჰყვება!

პირველი მსახური

მეორე იქნება ცხვრებით მოვაჭრეო.

მეორე მსახური

ეს ორი ვაჭარი. მერე რა მოხდება?

პირველი მსახური

ამის მმართველობას ბოლოს მოუღებსო
¹³⁵ უფრო საზიზღარი ვინმე, გაიმარჯვებს
პაფლაგონელიო, ტყავებით მოვაჭრე
დიდი მტაცებელი, საშინელხმიანი.

მეორე მსახური

მაშ, ცხვრებით მოვაჭრე ტყავებით მოვაჭრის
ხელით იღუპება?

პირველი მსახური

ზევსს ვფიცავ!

მეორე მსახური

ვაიმე!
¹⁴⁰ და მეტი არ არის არავინ, ვაჭარი?

პირველი მსახური

არის. უცნაური ხელობის კაცია.

მეორე მსახური

ვინ არის, მითხარი!

პირველი მსახური

უნდა ვთქვა?

მეორე მსახური

ზევსს ვფიცავ...

პირველი მსახური

მას ვინც დაამარცხებს, მემეხვე იქნება.

მეორე მსახური

ვფიცავ პოსეიდონს, კარგი ხელობაა!

¹⁴⁵ მერედა, სად უნდა ვიპოვოთ ეს კაცი?

პირველი მსახური

ვეძებოთ.

(ირგვლივ მიმოიხედავს.)

შეხედუ! აქეთ მობრძანდება,
თითქოსდა განგებით! უბედნიერესო
მემეხვევ, აქეთკენ წამოდი, ძვირფასო,
შენ უნდა დაგვიხსნა ჩვენცა და ქალაქიც.

მემეხვე

რა მოხდა? ვინ მიხმობს?

პირველი მსახური

¹⁵⁰ აქ მოდი, გაიგე,
როგორ გაგიმართლა და გაბედნიერდი.

მეორე მსახური

(პირველ მსახურს)

ემაგ ხონჩისაგან გაათავისუფლე,
კარგად აუხსენი ღმერთის ორაკული;
მე წავალ, დავხედავ იქ ჩვენს პაფლაგონელს.
(გადის.)

პირველი მსახური

¹⁵⁵ ჯერ მაგ ტვირთისაგან განთავისუფლდი და
მერმე ეთაყვანე ღმერთებს, დედამიწას.

მემეხვე

რა იყო? რა მოხდა?

პირველი მსახური

ნეტარო, მდიდარო,
ახლა – არაფერო, ხვალ კი – ყველაფერო!
ო, შენ, ბედნიერი ათენის მეუფევ!

მექეხვე

¹⁶⁰ მაცალე, ძვირფასო, შიგნეულს გავრეცხავ,
მეხვსაც გავასაღებ... ნეტავ, რას დამცინი?!

პირველი მსახური

შიგნეულს, სულელო?! აქეთ გაიხედე!
(მაყურებელზე მიუთითებს)
თუ ხედავ ამ რიგებს ხალხისა?

მექეხვე

კი ვხედავ.

პირველი მსახური

ამათი ყველასი მეუფე იქნები:
¹⁶⁵ პნიქსის, აგორასი და ნავსადგურისაც.
საბჭოს გადათელავ, ყველას დაიმონებ;
პრიტანიონში კი... გოგოებს მიიყვან.

მექეხვე

მე?

პირველი მსახური

შენ, რა თქმა უნდა! ეს კიდევ რა არის!
ხონჩაზე აძვერი და მიმოიხედე,
¹⁷⁰ ირგვლივ მიმოფანტულ კუნძულებს თუ ხედავ?

მექეხვე

ვხედავ.

პირველი მსახური

მეტს არაფერს? სავაჭრო ხომალდებს?

მექეხვე

მაგათაც.

პირველი მსახური

მერედა, სულ არ გიხარია?

მხოლოდ – უმეცარი და უსაზიზღრესი.

მაშ, გამოიყენე ღმერთის ორაკული.

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹⁹⁵ რაო, რა წერია?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ღმერთებს გეფიცები,

რთული და ბრძნულია მისი გამოცანა:

«როცა კი დაითრევს ბრჭყალებდაგრეხილი არწივი ტყავისა

თავისი ნისკარტით გამოყეყეჩებულ, სისხლისმსმელ

გველეშაპს,

უმაღ დაიქცევა პაფლაგონიური ნახარში ნივრისა,

²⁰⁰ კუპატის გამყიდველთ მიაგებს უფალი უდიდეს დიდებას,

თუ დათანხმდებიან და შეელევინან ძეხვებით ვაჭრობას.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე რა შუაში ვარ? ესეც ამიხსენი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ტყავის არწივი ხომ პაფლაგონელია!

მ ე ძ ე ხ ვ ე

«ბრჭყალებდაგრეხილი»?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

იმას მიუთითებს,

²⁰⁵ რომ მისატაცებლად მზადა აქვს ხელები.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ხოლო «გველეშაპი?»

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ეს სულ ნათელია.

ჯერ ხომ გველეშაპი ძეხვივით გრძელია,

და მერეც – ორივე ხომ «სისხლისმსმელია».

არწივს გველეშაპი ნაღდად დაამარცხებს,

²¹⁰ თუკი მის სიტყვებზე არ წამოეგება.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მომწონს ორაკული, ოღონდ ვერ გავიგე,

ხალხს როგორ წავუძღვე, მე რა შემიძლია?!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ძალზე იოლია. რასაც აკეთებდი,
ისევ ის აკეთე: კარგად გამოშიგნე
²¹⁵ საქმე, აამღვრიე და მზარეულივით
დაშაქრულ სიტყვებით დაატკბე დემოსი.
დემაგოგობისთვის რაც არის საჭირო,
შენ ყველაფერი გაქვს: ეს ხმა საშინელი,
ბაზრული აღზრდა და ცუდი წარმოშობა,
²²⁰ პითიაც მხარს გიჭერს, ყველა ორაკულიც,
გვირგვინი აილე, დალოცე... სიბრიყვე,
ემზადე ბრძოლისთვის.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჩემი მოკავშირე
ვინლა შეიქნება? მდიდრები ძრწიან და
ღარიბებს მაგათი შიშით ეპარებათ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

²²⁵ ხომ არის ათასი მხედარი, ისინი
მაგ კაცს ვერ იტანენ; მოქალაქეებშიც,
ვინც ღირსეულია, ან მაყურებლებში,
ვინც წესიერია – ყველა მოგემხრობა.
მეც შენთან ვიქნები, ღმერთიც შეგვეწვევა.
²³⁰ ნუ შიშობ, არ არის აქ მიმსგავსებულებიც,
შიშისგან ვერავინ გაბედა მაგისთვის
ნიღბის დამგვანება... და მაინც სუყველა
მიხვდება, ვინც არის, – ხალხი ჭკვიანია.

მ ე ო რ ე მ ს ა ხ უ რ ი

(სახლიდან ყვირის)
ვაიმე, გამოდის ის, პაფლაგონელი!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(შემოდის ორქესტრაზე)
²³⁵ თორმეტ ღმერთს ვფიცავარ, თქვენ ვერ გაიხარებთ,
დემოსის ზურგსუკან პირი რომ შეჰკარით.
(შეამჩნევს თასს, რომლითაც პირველი მსახური სვამდა)
აქ ვინ მოიტანა თასი ქალკისური?
მაშ, გინდათ, ქალკისიც მტერთან გადავიდეს?
დაგლუპავთ, დაგხოცავთ, უსაზიზღრესებო!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

(მეძებვეს)

²⁴⁰ შენ საით გარბიხარ? ო, კეთილშობილო

მეძებვევ! ქალაქის საქმეს უღალატე?!

ეი, მხედრებო, მოდით მალე, დროა უკვე, გამოჩნდით!

აბა, სიმონ, პანეტიოს, შეუტიეთ მარჯვნიდან!

(მეძებვეს)

ხალხი მოდის, დაგვიბრუნდი, მოემზადე ბრძოლისთვის!

²⁴⁵ მტკრის ღრუბელი მოახლოვდა, სადღაც აქვე არიან.

მტკიცედ დადექ, შეებრძოლე, დაედევენე, აოტე!

შემორბის მ ხ ე დ რ ე ბ ი ს გ უ ნ დ ი.

პ ა რ ო დ ო ს ი

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

სცემე, სცემე ამ თაღლით კაცს, ამ მწვალებელს მხედრების!

მჩაგვრელია, მტაცებლობის უფსკრული და მორვეი!

თაღლითია, ჰო, თაღლითი, კიდევ ვიტყვი, ათასჯერ!

²⁵⁰ საკუთარი თაღლითობა დაგვანახა მრავალგზის!

ურტყი, ურტყი, დაედევენე, შეანჯღრიე, მიბეგვე,

არ დაინდო, ჩვენ მოგვეყვი, შეუტიე ყვირილით

და უყურე, არ გაგექცეს, კარგად იცის ყველა გზა,

ქატოსაკენ გაიქცევა, როგორც ერთ დროს ევკრატე.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

²⁵⁵ ო, მოხუცნო, ო, მსაჯულნო, ტრიობოლის ძმობილნო,

თქვენ, ვის გამოც არც სიმართლეს, არც ტყუილს

გავურბოდი,

მომეშველეთ, დამეხმარეთ, პირი შეკრეს, მირტყამენ!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

სწორიც არის, საზოგადო ქონება რომ შეჭამე,

სუყველას რომ ხელს ჰკიდებდი, ამოწმებდი ლელვივით,

²⁶⁰ თუ ვინ იყო მათგან ნედლი, მკვახე ან მოწეული...

²⁶⁴ ამოწმებდი – როგორია, ბატკანივით ალალი,

²⁶⁵ უანგარო, უბოროტო, ღარიბი თუ მდიდარი;

²⁶¹ უწყინარი, დოყლაპია თუ გამოერეოდა,

²⁶² ქერსონესშიც ყოფილიყო, აქ მოაყვანინებდი,

²⁶³ ზურგით შეაბრუნებდი და ზედ შემოაჯდებოდი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

²⁶⁶ თქვენც მაქციეთ ზურგი? განა თქვენ გამო არ მირტყამენ?
იმისათვის მცემენ ახლა, რომ ვისურვე, ქალაქში
თქვენი სიმამაცისათვის რამე ძეგლი დაგვედგა.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ეს თაღლითი, ყალთაბანდი! ნახე, როგორ პირფერობს!
²⁷⁰ ჰგონია, რომ ბერიკაცებს გაგვაცურებს იოლად!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

²⁷³ ო, ქალაქო! ვაი, დემოს! ჩამინგრიე მუცელი!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

²⁷⁴ კიდევ ყვირი?! – თავდაყირა დააყენე ქალაქი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

(მუშტს იქნევს)

²⁷¹ მაგაში თუ გაიმარჯვა, ამით გაილახება!
²⁷² გამოძრომას თუ ეცდება, ფეხსაც ავამუშავებ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

²⁷⁵ ახლა ისე დავიყვირებ, გამეცლები უმაღვე.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

(პაფლაგონელს)

ყვირილით თუ გაიმარჯვებ, ვაშას შემოგიძახებთ,
თავხედობით თუ გაჯობეს, თაფლისკვერი ჩვენია!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(მეძეხვეზე მიუთითებს)

დაიჭირეთ მოღალატე! მოგახსენებთ, ეს კაცი
პელოპონესს ამარაგებს ჩვენებური... წვნიანით.

მ ე ძ ე ხ ვ ე

²⁸⁰ ზევსს ვფიცავ, მეც ბრალს ვდებ ამ კაცს, ცარიელი კუჭით რომ
მირბის პრიტანიონში და სავსეთი კი ბრუნდება.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ყველაფერი: პური, ხორცი, თევზი მოაქვს იქიდან,
ამის ნება პერიკლესაც არ ჰქონია არასდროს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(ყვირის)

ამწუთასვე ჩაგაძაღლებთ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

სამმაგი ხმით დავიყვირებ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

გადავფარავ შენს ხმას მაინც!

მ ე ძ ე ხ ვ ე

უარესად დავიბღავლებ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

სტრატეგოსობ? – ცილს დაგწამებ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ზურგს ძალივით აგიჭრელებ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

²⁹⁰ ვერ მაჯობებ თავხედობით!

მ ე ძ ე ხ ვ ე

გადაგიჭრი გზებს, იცოდუ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

აბა, თვალი გამისწორე!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ბაზარში ვარ მეც გაზრდილი!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

გაგლეჯ, ხმას თუ ამოიღებ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

²⁹⁵ გაგსვრი, კიდევ თუ ილაყებ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე ვიპარავ, შენ კი – არა!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მეც ვიპარავ, ვფიცავ ჰერმესს!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

წამასწრეს და ცრუდ ვიფიცებ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

გებერხება მითვისება.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

³⁰⁰ პრიტანებთან დაგაბეზღებ,
წმინდა ფაშვით რომ ვაჭრობდი
და მეთედს არ იხდიდი.

პირველი აგონი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{სტრ.³} კადნიერებით, სამულველო, აავსე უკვე
³⁰⁵ ეს დედამიწაც, მთელი სახალხო კრებაც,
ჩანაწერებიც, სასამართლოც და ბაჟიც.

შენ ამოსვარე ლაფში მთელი ჩვენი ქალაქი

³¹⁰ და აგვაჯანყე ჩვენაც.

შენ ხომ ჩვენი ათენიც კი დააყრუე ყვირილით,
გადასახადს უდარაჯებ, როგორც ძველი მეთევზე.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვიცი, ვიცი, რახანია, ამგვარ საქმეს მიკერავთ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

³¹⁵ კერვა შენი ხელობაა, ჩემი – ძეხვის შებოღვა.
გამოსჭრიდი უხარისხო ხარის ტყავს და მზაკვრულად
ვინმე უბირს დაიჭერდი, ერთ წყრთად მისალეზბდი,
ისიც ერთ დღეს იხმარდა და წყრთანახევარს გახდიდა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ზევსს ვფიცავ, მეც მაგან ასე გამიკეთა, რომ მნახეს
³²⁰ მეგობრებმა, ახლობლებმა, დაიხოცნენ სიცილით,
პერგასამდე ძლივს მივედი, გამეფლაშა წაღები.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

თავიდანვე თავხედობით არ დაიწყე?

³²⁵ ეგ არ არის რიტორისთვის უმთავრესი?

შენც მაგაზე დაყრდნობილი მდიდარ სტუმრებს წველი და
შემოგყურებს ჰიპოდამეს ძე, ცრემლებით იხრჩობა.

მაგრამ ახლა სხვა გამოჩნდა, შენზე ბევრად

საზიზღარი, ის მომიტანს სიხარულს;

³³⁰ ცხადი არის, დაგამხობს და დაგამარცხებს ყველაფრით:

თაღლითობით, თავხედობით,

ემშაკობით, სიცრუით.

კო რ ი ფ ე ო ს ი

შენ იმგვარად ხარ აღზრდილი, რომ ეკადრება ჩვენს დროს,

გვიჩვენე, სისულელე რომ არის სხვაგვარი აღზრდა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

³³⁵ ახლავე გეტყვით, ეს კაცი რა მოქალაქეც გახლავთ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

დამაცლი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

არა! ნაკლები თაღლითი არ ვარ არც მე!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

თუ არ გაჩუმდეს, უთხარი: «თაღლითი მყავდა მამაც!»

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვიტყვი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

არ იტყვი!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ზევს ვფიცავ...

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე პოსეიდონს ვფიცავ,

პირველ სიტყვასაც ვიტყვი და ჩხუბსაც დავიწყებ, ვატყობ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

³⁴⁰ გავიფხრიწები ბოლმისგან.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მაინც არ მოგცემ ნებას.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

მიეცი ნება, მიეცი, გაიფხრიწოს და იყოს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

თავხედო, როგორ მიბედავ, როგორ მიბრუნებ ენას?!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ენა? – კარგია ქონდარში... კარგად თუ მიჭრის, რა ვქნა?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ენა კი გიჭრის, საქმეს კი თავს ვერ მოაბამ ისე,

³⁴⁵ თუ ცოცხლად გამოშიგნული არ ჩაგაბარეს ხელში.

შენნაირებიც გვინახავს, თავი დიდ ვინმედ მოგაქვთ,

მეტეკოსთან თუ მოიგებთ რამე პატარა პროცესს...

მანამდე ღამეს ათენებთ, იზუთხავთ, წყლის სმით კვდებით,

ახლობლებსა და მეგობრებს ხშირ-ხშირად ჰკითხავთ რჩევას,

³⁵⁰ გაიმარჯვებთ და ტრაბახობთ, ჩვენც რიტორები ვართო!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

შენ რისი სმითღა კვდებოდი, მთელი ქალაქი ჩვენი

რომ დააყრუე ლაქლაქით, ჩააწყვეტინე ენა?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვის შემადარებთ, ვინა გყავთ? ცოტა მაცალეთ, ახლა

ცხელ თევზს დავურტყამ და მერე ზედ დავაყოლებ ღვინოს,

³⁵⁵ პილოსელ მხედართმთავრებს კი შემოვაჯდები კარგად.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე ხარის კუჭმაჰს მივირთმევ, ღორის შიგნეულს შევჭამ,

ზედ დავაყოლებ მის ნახარშს, არც კი დავიბან ხელებს,

რიტორებს ისე მივდგები, ნიკიას შფოთში გავრევ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ერთი რამ არ მომეწონა, სხვა მხრივ კარგია სიტყვა,

³⁶⁰ საქმეთა მთელი ნახარში მარტომ რად უნდა შესვა?!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

თუ მიაძლები ქორჭილას, ვერც მილეტელებს დაძლევ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ნეკნებს შევჭამ და მალაროს ვიყიდი მერე ჩემთვის.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

საბჭოში რომ შევვარდები, ყველაფერს ავრევ ძალით.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ემაგ უკანალს ძეხვივით გამოგიტენი ახლა!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

³⁶⁵ ხელს ჩაგავლებ და მაგ თავით გაგატანინებ კარებს!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

(*პაფლაგონელს*)

მეც, პოსეიდონს ვფიცავარ, მეც მიმაცოლე მაგას.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

რას დაგადებდი ბორკილებს!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ბრალს დაგდებ ლაჩრობისათვის.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ტყავს გადაგაძრობ მთლიანად!

მ ე ძ ე ხ ვ ე

³⁷⁰ შენს ტყავს ტომრებად შევკერავ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

სულ მიგალურსმავ მიწაზე!

მ ე ძ ე ხ ვ ე

სულ ერთიანად დაგკეპავ!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ამოგიჯიჯგნი წამწამებს!

მ ე ძ ე ხ ვ ე

გამოგილადრავ მაგ ჩიჩახვს!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

³⁷⁵ ზევსს ვფიცავ, მზარეულივით

ხახაში ჩხირი ჩავუყოთ,

გადავუწოთ ენა და

კარგად ჩავხედოთ სუყველამ,

სწორი ნაწლავი მოვძებნოთ

³⁸⁰ და შევისწავლოთ,

დაავადება არ ჰქონდეს.

მეორე ნახევარგუნდი

ანტ.³ არსებობს ქვეყნად ცეცხლზე უფრო მცხუნვარე რამეც
385 და უტიფარზე უტიფრესი სიტყვაც.

არც უბრალოა და არც იოლი საქმე,
მაგრამ მიდი და შეუტე, ხელს ნუ დააკლებ!
შეპყრობილი გყავს უკვე.

თუ ახლავე დაეცემი და პირველი შეუტევ,
390 რა ლაჩარიც არს, ნახავ... ვიცნობ მაგის ხასიათს.

პირველი მსახური

ეგ ყოველთვის აქ იყო, მთელი მისი მოსწრება,
შეხედავ და კაცს ჰგავს, ოღონდ ყველაფერი სხვისი აქვს,
ახლაც სხვისი მოსავალი მოიწია, ნაყოფი
წამოიღო, შებორკა და ახმობს, სანამ გაყიდდეს.

პაფლაგონელი

395 თქვენი სულ არ მეშინია, სანამ საბჭო არსებობს,
სანამ ბჭობს და საქმეს არჩევს ჭკუათხელი დემოსი.

მეორე ნახევარგუნდი

ანტ.³³ რა ურცხვია ყველაფერში, რა თავხედი!
ერთხელაც არ შეერხევა წარბი ტუტუცს!
400 თუ არ მძულდე, მე კრატინეს ქვეშაგები შევიქნე!

ან მორსიმეს ტრაგედიის სიმღერები მესწავლოს!
ყველაფერში ყველასაგან ქრთამს მოელი,
ფუტკარივით დაზუზუნებ «ყვავილებს»...
ლუკმა ისე დაგეკარგოს, როგორც გქონდა ნაშოვნი!

405 მხოლოდ ამას ვიმღერებდი:
«შესვი, შესვი ამ ამბისთვის!»
ულიოსის ძე, მოხუცი ზედამხედველი ხორბლის,
შემოსმახებდა პეანს და სიმღერას «ბაკქოს, ბაკქოს!»

პაფლაგონელი

თქვენ ვერ მაჯობებთ ურცხვობით, ო, პოსეიდონს ვფიცავ,
410 მაჯობებთ? – წილი არ მქონდეს ზევსისთვის მიძღვნილ
მსხვერპლში!

მექეხვე

ვფიცავ იმ მუშტებს, რომლებიც ბავშვობიდანვე ბლომად
მე მომხვედრია; ძველ დარტყმებს და განაკაწრებს ვფიცავ.

გადაგაჭარბებ ურცხვობით, თვითონაც მხედავ, ალბათ,
ნაბიჭევით ვარ გაზრდილი და რამხელა ვარ მაინც!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁴¹⁵ ნაბიჭევითო, ძალღივიტო?! რაებს მიბედავ მერე
ძალღის საკვებით გაზრდილი მე, ამოდენა ქოფაკს?!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ბავშვობიდანვე ასეთი ეშმაკის ფეხი ვიყავ,
მზარეულებთან მისვლისას ასე ვეტყოდი უმაღლ:
«გაზაფხულია, ბიჭებო, ერთი შეხედეთ მერცხალს!»
⁴²⁰ გაიხედავდნენ, ხორცისას მოვიპარავდი ნაჭერს.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

მოხერხებულო... «ნაჭერო», კარგად გიქნია, ბრძნულად:
ჭინჭარს რომ შეექცეოდი, სულ არ უცდიდი მერცხალს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ამას ფარულად ვშვრებოდი, თუ დამიჭერდა ვინმე,
ხორცს ვიმაღავდი ლაჯებში, ცრუდ ვიფიცებდი ღმერთებს;
⁴²⁵ ორატორთაგან ვილაცამ დამინახა და ბრძანა:
«არ შეიძლება, ეს ბავშვი დემაგოგი არ გახდეს.»

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

მეც ვხვდები, რაზე შეგატყო – ორი ნიშანი მიეც:
ცრუდ იფიცებდი ღმერთებს და საჯდომშიც ხორცი გქონდა.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(ორივეს ემუქრება)

მაგ სითამამეს განანებთ, შენაც განანებ, შენაც!
⁴³⁰ ამოვვარდები გრიგალი, ამოვვარდები ქარი,
ზღვას, დედამიწას, ყველაფერს გადაგიბრუნებთ ზათქით!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ქართო მაშინებ, გრიგალით? უცებ ჩამოვხსნი... ძეხვებს,
ზურგქარს მივყვები. შენ დაგრჩეს შენი «ზათქი» და ზარი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

მე კი შენს ფსკერსაც მივხედავ, არ გაგეპაროს წყალი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(მეძებვეს)

⁴³⁵ ათენელებს რაც მოჰპარე, ხომ არ გგონია, შეგრჩეს,
ვფიცავ დემეტრეს...

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

(მეძებვეს)

არიქა, ჩქარა მოუშვი თოკი,
ჩრდილოეთიდან დაჰბერა ცილისწამების ქარმა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

(პაფლაგონელს)

შენ თვითონ პოტიდეადან ათი ტალანტი არ გაქვს?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მერე რა? ერთი აილე და დაშოშმინდი, გინდა?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

(თავისთვის)

ასეთი კაცი აიღებს.

(მეძებვეს)

⁴⁴⁰ აბა, მოვჭიმოთ აფრა,
ქარი დამცხრალა ცოტათი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ოთხჯერ გიჩივლებ... ას-ას ტალანტად!

მ ე ძ ე ხ ვ ე

როგორც დეზერტირს ოცსა და
როგორც ქურდს – ათასს მოგთხოვენ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁴⁴⁵ მეც ვიტყვი, შენიანებმა
რომ შეურაცხვეს ქალღმერთი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

შენ შუბოსანი რომ გყავდა
ბაბუა?!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვისი? – მითხარი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჰიპიას ცოლის, ტყავ...რინეს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁴⁵⁰ შენ ცრუობ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

შენ კი თაღლითობ!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

კარგად მიბეგვე!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვაიმე!

პირი შეკრეს და მირტყამენ!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

შეუბრალებლად უთაქე,

მუცელში ურტყი ეგ შენი

⁴⁵⁵ კუპატი, ძეხვი,

დასაჯე თავხედი!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

(მეძებვეს)

კეთილშობილო... «ნაჭერო», შენ მირჩვენიახარ ყველას,

გამოჩნდი ქალაქისა და მოქალაქეთა მხსნელი,

რა ბრძნულად, მოხერხებულად დაამარცხე ეგ სიტყვით.

⁴⁶⁰ სიხარულისგან არც ვიცით, როგორ შეგასხათ ხოტბა.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

დემეტრეს ვფიცავარ, აქამდეც ვუწყობდი,

საქმეს რომ მიწყობდით და ისიც ვიცოდი,

⁴⁶³ რასაც აწებებდით და აკოწიწებდით.

მ ე ძ ე ხ ვ ე

⁴⁶⁵ მეც არ მემალეხა, არგოსს რას აკეთებ.

თითქოს არგოსელებს დაუმეგობრდა და

⁴⁶⁷ ლაკონელებთან კი აქვს პირი შეკრული.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

⁴⁶⁴ რატომ მჭედელივით არ ეპასუხები?

მ ე ძ ე ხ ვ ე

⁴⁶⁸ ვიცი, საითკენაც უქმენს ეს საბერველს,

უნდა, რომ ტყვეები ჩასვას ბორკილებში.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

⁴⁷⁰ კარგია, «უქმინე», მაგან «აკოწიწოს!»

მ ე ძ ე ხ ვ ე

(დარბაზზე მიუთითებს)

ვიცი, რომ ამათგან ბევრი მას ტაშს უკრავს.

(პაფლაგონელს)

ჩემთვის სულ ერთია, გინდ ოქრო მომეცი,
გინდ ვერცხლი, ძმაკაცი ვინმე მომიგზავნე,
– მე მაინც ყველაფერს ვეტყვი ათენელებს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁴⁷⁵ ახლავე საბჭოში მივალ, მოვახსენებ,
თქვენ რასაც აპირებთ, პირი რომ შეჰკარით,
ღამით რომ ქალაქში ყრილობებს აწყობდით,
მეფეს და მიდიას რომ უთანხმდებოდით,
ბეოტიელებს რომ ანდობდით ყველაფერს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

⁴⁸⁰ რამდენად ჰყიდიან ყველს ბეოტიაში?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ჰერაკლეს ვფიცავარ, გაგჭიმავე ტყავივით!

(საბჭოში მიდის.)

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ახლა კი, შენ იცი, გვაჩვენე სუყველას,
თუ რა შეგიძლია, თვითონ ხომ მოჰყევი,
ოდესღაც ხორცი რომ ლაჯებში შეიდე.

⁴⁸⁵ წადი, გაიქეცი ახლავე საბჭოში,
თორემ ის დაგასწრებს, მივა და უმაღვე
ყველას ცილს დაგვწამებს, ყვირილსაც დაიწყებს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მივდივარ, მაგრამ ჯერ, რაც თან მაქვს, ყველაფერს,
დანებს და შიგნეულს, აი, აქ დავაწყობ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

⁴⁹⁰ მოიცა, აი ეს წაისვი კისერზე,
რომ მაგის მზაკვრობებს იოლად დაუძვრე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეს კარგად მითხარი, ძველი გიმნასტივით.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

(ნიორს აძლევს)

აი, ეს აიღე, შეჭამე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეს? რატომ?

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

ძალას მოგიმატებს, ძმობილო, ნიორი.

მაშ, სწრაფად... იჩქარე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მივდივარ.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

⁴⁹⁵

გახსოვდეს:

უკბინე, გაჭორე, ბიბილო მოსჭამე,

წვერი შეუსანსლე და ისე დაბრუნდი!

გადიან.

პარაზასისი

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

მაშ, ახლა წადი და გაიხარე.

ისე დასრულდეს სუყველაფერი,

⁵⁰⁰

როგორც მე მინდა, ზევსი გფარავდეს!

გაიმარჯვე და კვლავ დაგვიბრუნდი

ძღვევამოსილი, გვირგვინოსანი.

(მაყურებელს)

ახლა კი ყური უნდა დაუგდოთ

ჩვენს ანაპესტებს,

⁵⁰⁵

მე თქვენ მოგმართავთ, ვინც ყოველნაირ

პოეზიაში ხართ გარკვეულნი.

თუ რომელიმე ძველი პოეტი კომედიისა დაგვაავალებდა,

რომ სიტყვა გვეთქვა მაყურებლისთვის, ამას იოლად ვერ

მიაღწევდა.

მაგრამ ახლა კი ჩვენმა პოეტმა ამის უფლება დაიმსახურა –

ვინც ჩვენ არ გვიყვარს, მასაც იგი სძულს, სიმართლის თქმასაც
არ ერიდება,

არ უშინდება ტიფონს და გრიგალს, კეთილშობილი გმირობით
ებრძვის.

მას ბევრჯერ უთქვამს, გაკვირვებულნი რომ მიდიხართ და
რომ ეკითხებით,
თუ როგორ მოხდა, რომ მან ამდენხანს თავისთვის გუნდი არ
მოითხოვა;

ჩვენ დაგვავალა, აგვეხსნა თქვენთვის. ასე ბრძანა, რომ
უცოდინრობით

⁵¹⁵ კი არ მოსვლია, რომ აყოვნებდა და არ ჩქარობდა. არა, უბრალოდ,
ყოველთვის თვლიდა, რომ კომედიის დადგმა ყველაზე მძიმე
საქმეა, –

მრავალს უცდია, სიხარული კი მხოლოდ ზოგიერთს თუ მიენიჭა.
თქვენ კი, სუყველა, კარგად გაგიცნოთ, – ყოველწლიურად
იცვლით ხასიათს,
ვინც კი პოეტი ყოფილა ადრე, როცა დაბერდნენ, თქვენც
ულალატეთ.

⁵²⁰ მან ხომ იცოდა, რაც მოუვიდა მაგნესს, ჭაღარა რომ მოერია;
ადრე რამდენი მეტოქე გუნდი დაუჯაბნია, რას არ შვრებოდა!
თქვენი გულისთვის თავს არ ზოგავდა: ქნარზე უკრავდა,
ფრთას შემოჰკრავდა,
ტილებზეც წერდა, ლიდიელებზეც, ბაყაყისფერად იღებებოდა,
აღარაფერი აღარ ყოფნიდა... მაგრამ დაბერდა და გამოსცადა,

⁵²⁵ რაც მანამდე არ გამოუცდია – გააგდეთ, ნიჭმა რომ ულალატა.
პოეტს ახსოვდა დიდი კრატინეც, აღზევებული ქება-დიდებით,
ნიაღვარივით რომ მოსკდებოდა, ყველაფერს სპობდა, რაც
შეხვდებოდა,
ძირფესვიანად გლეჯდა და თხრიდა მუხებს, ჭადრებს და
მეტოქეებსაც.

ნადიმზეც მხოლოდ ამას მღეროდნენ: «დოროო, ქრთამი
ტერფლეღვიანი»,

⁵³⁰ ანდა «ბრწყინვალე ჰიმნთა შემთხზველნი»... ასე ჰყვავდა მისი
სახელი.

ახლა უაზროდ რომავს რაღაცას, ხედავთ და მაინც არ
გებრალებათ.

ჩამოუცვივდა ქნარიდან ოქრო, ჯადოსნურ ჩანგს კი ხმა აეშალა,
სიმებმა უშნოდ დაიწყეს ჟღერა, თვითონ მოხუცი – დახეტიალობს,

როგორც კონასი; გვირგვინი გახმა, ბერიკაცი კი წყურვილით კვდება;

⁵³⁵ ის, ვისაც ძველი დიდებისათვის პრიტანიონში «სმა» ეკუთვნოდა,
ხოლო სცენაზე ბლუკუნის ნაცვლად – აქ, დიონისეს გვერდით
დაჯდომა...

ახლა კრატესი! რამდენ ლანძღვას და შეურაცხყოფას ითმენდა
თქვენგან!

თუმცა კი მუდამ თქვენთვის ზრუნავდა და გიმზადებდათ იაფ
სადილებს:

თქვენთვის აცხოვდა ბრწყინვალე აზრებს, ბაგე არასდროს
არ ღალატობდა,

⁵⁴⁰ თუმც ეცემოდა, მაინც დგებოდა და ამნაირად შემორჩა სცენას.

ეს ყველაფერი ჩვენმა პოეტმა კარგად უწყოდა და არ ჩქარობდა;
ამბობდა, ნიჩბით თუ არ დაიწყე, საჭეს ვერაფერს ვერ გაუგებო;
ჯერ საჭიროა, გემზე ახვიდე, საფუძვლიანად გაეცნო ქარებს
და ამის შემდეგ გახდე მესაჭე. – ასე ფიქრობდა; ბრძნულად
განსჯიდა,

⁵⁴⁵ არ ამომხტარა სცენაზე და აქ მიეთ-მოეთი არ დაუწყია...
დააჯილდოვებთ ამისთვის ტაშით! დაე, თერთმეტჯერ დაჰკრან
ნიჩაბს და

თან ლენეურიც დასცხონ ყიჟინა,
რათა პოეტი, გახარებული
და ბედნიერი,

⁵⁵⁰ გაბრწყინებული შუბლით წავიდეს.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ო, პოსეიდონ, მეუფე
სპილენძით ნაჭედ ცხენების,
რომელთა გიყვარს ჭიხვინი;
და ლურჯქიმიან გემების
შემოტანილი განძი,
შეჯიბრი ყმაწვილკაცების,
რომლებიც მარცხდებიან და
მაინც ბრწყინავენ ეტლზე.

აქ მოდი, ჩვენთან მაგ ოქროს სამკაპით,

⁵⁶⁰ დელფინთა მეფე, შენ, პატივდებულო
სუნიონსა და გერესტოსს,
კრონიდო, ფორმიონისთვის
უსაყვარლესო, ჩვენთვისაც
სხვებზე ძვირფასი შენ ხარ.

პირველი ნახევარგუნდის წინამძღოლი

⁵⁶⁵ გვსურს, მამები განვადიდოთ, ვაჟკაცები რომ იყვნენ,

ამ მიწისა და პეპლოსის ღირსეულნი პატრონნი,
ხმელეთსა და ზღვაზე, ყველგან, ყველანაირ ბრძოლაში
იმარჯვებდნენ და ქალაქის შესამკობად ზრუნავდნენ.

ისინი ხომ არასოდეს, მტერს რომ დაინახავდნენ,

⁵⁷⁰ არ ითვლიდნენ, დასახვედრად ისე ემზადებოდნენ.

თუკი ომი მძიმე იყო, ვინმე დაეცემოდა,
იმწუთს ისევ ფეხზე იდგა, ეშვებოდა ბრძოლაში,
თითქოს სულ არ წაქცეულა. სტრატეგოსი არც ერთი
კლენენტეს არ სწვევია, რამე არ უთხოვია.

⁵⁷⁵ ასე იყო მაშინ, ახლა – პროედრას არ მისცემ, –

არ ვიბრძვიო, გიპასუხებს. ჩვენ კი ასე როდი ვართ,
ქალაქსა და ღმერთებს ყველა მამაცურად დავიცავთ.
არაფერი არ გვჭირდება, მხოლოდ ერთს გთხოვთ, მშვიდობას
თუ ველირსეთ, შრომისაგან თუკი გავთავისუფლდით,

⁵⁸⁰ ჩვენს თმებსა და ტანსაცმელზე ნუღარაფერს ნუ გვეტყვით.

მეორე ნახევარგუნდის

პალას, მფარველო ქალაქის,
მეუფევი წმინდა ქვეყნისა,
რომელიც პოეტებით და
ომებით, ძალით, ყველაფრით
⁵⁸⁵ აღემატება სუყველას;

აქ მოდი, წამოიყვანე
ლაშქრობებსა და ბრძოლებში
ჩვენი დამხმარე, ნიკე.

იგი ხომ გუნდის მეგობარია,
⁵⁹⁰ მტრებს ჩვენთან ერთად ხომ ებრძვის.

გამოჩნდი ახლა, ქალღმერთო,
დააჯილდოვე ეს ხალხი
და გამარჯვება მიეცი
დღეს, თუ საერთოდ აძლევ.

მეორე ნახევარგუნდის წინამძღოლი

⁵⁹⁵ ახლა გვინდა, ჩვენს ცხენებსაც საკადრისი მივუზღოთ,

ქების ღირსნი კი არიან, რადგან ტანჯვა მრავალი
ბრძოლებსა და ლაშქრობებში მათაც გადაიტანეს.
ხმელეთზე ხომ იყოჩადეს, ეს ისე არ გვაკვირვებს,

როგორც ის, რომ ვაჟკაცურად გადავიდნენ გემებზე,
600 მათარები, ნიორი და ხახვი მოიმარაგეს.

მერმე ნიჩბებს შეეჭიდნენ ადამიანებივით,
დაიყვირეს: «აბა, ნიჩბებს ვინ მოუსვამს, ჰიპაპაჰ,
უფრო მაგრად, უფრო ცოცხლად, რას გაშეშდი, ამფორა!»
გადავიდნენ კორინთოში... მაშინ ახალგაზრდებმა
605 თავ-თავისი საწოლები ამოთხარეს ფლოქვებით.

სანადიროდ გაემართნენ, დაიწუნეს იონჯა;
კიბორჩხალებს დაერივნენ, ერთიანად გაწყვიტეს.
თეორეს თუ დავუჯერებთ, ერთი კორინთოელი
კიბორჩხალა ღმერთს უხმობდა: «პოსეიდონ, მიშველე,
610 ვერც მიწაზე და ვერც ზღვაზე მხედრებს ვერ დავემალე!»

პირველი ეპისოდისონი

ბრუნდება მ ე ძ ე ხ ვ ე.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ყველაზე ძვირფასო, ყველაზე გულადო,
აქ შენს არყოფნაში გულს დარდი გვიწვავდა!
ახლა, უვნებელი როცა დაგვიბრუნდი,
გვაუწყე, იქ ბრძოლა რაგვარად წარმართე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

615 რა უნდა გაუწყოთ? – გავხდი «ნიკობულე».

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ. აჰა, ყველა გეგებებით მხიარული ყიჟინით!

ლაპარაკობ კარგად, მაგრამ სიტყვებს ბევრად
აღმატა საქმე;

დაწვრილებით მოგვიყვი,
620 მეჩვენება, თითქოს

შორიდანაც, თითქოს

შორიდანაც მოვიდოდი,

ოღონდ შენთვის მომესმინა:

თქვი, ძვირფასო, გამბედავად:

გვიხარია სუყველას.

მ ე ძ ე ხ ვ ე

და მართლაც, მოსმენის ღირსია ამბავი.

625 აქედან პირდაპირ იმას დავედევნე.

იქ იყო; გრგვინავდა, ყვიროდა, ტყუოდა.

მხედრებს თავს ესხმოდა, ყველას არწმუნებდა,
 პირი შეიკრესო... ო, ლაპარაკობდა
 ის დამაჯერებლად! საბჭო კი უსმენდა;
⁶³⁰ კარგად რომ გამოძინენ ტყუილმხალეულით,
 უცებ მოილუშნენ, წარბები ასწიეს.
 მე კი, რომ დავრწმუნდი, – ასე, თაღლითობით
 ყველა გააცურა, ჩემთვის გავიფიქრე:
 «პაწია ღმერთებო მატრაბაზობისა,
⁶³⁵ სიცრუის, მზაკვრობის და გარყვნილებისა,
 აგორავ, რომელმაც ბავშვი გამომზარდე,
 ახლა მომანიჭეთ ენა თავხედური
 და ხმა უსირცხვილო», – ეს რომ გავიფიქრე,
 მარჯვნიდან მომესმა ხმა უკანალისა.
⁶⁴⁰ კარგ ნიშნად ჩავთვალე; საჯდომით კარები
 უცებ გავიტანე, პირი დავაღე და
 ასე დავიყვირე: «ო, საბჭოვ, მისმინე,
 მინდა, რომ გახაროთ ახალი ამბავი:
 მას შემდეგ, რაც ჩვენთან ომმა დაიგრგვინა,
⁶⁴⁵ მე ასე იაფად თევზი არ მინახავს».

უცებ გაუნათდათ იმათ სახეები.
 გვირგვინით მმოსავდნენ ახალი ამბისთვის.
 მე კი ეს ვურჩიე იმათ, საიდუმლოდ,
 თუ სურდათ, ობოლად მეტი მოსწეოდათ,
⁶⁵⁰ ხელოსნებისაგან ეყიდათ ჯამები.
 მათ ტაში დამიკრეს, პირები დააღეს.
 აქ კი პაფლაგონელს ექვი შეეპარა,
 მაგრამ ვინაიდან საბჭოს ხასიათი
 იცოდა, – ურჩია: «ხალხო, მე მგონია,
⁶⁵⁵ ახალი ამბისთვის, რაიც მოგვიტანეს,
 კარგს ვიზამთ, ქალღმერთს თუ ჩვენ ას ხარს შევწირავთ».

ისევ მიუბრუნდა საბჭო მოწონებით.
 რომ მივხვდი, იმ ნეხვმა ისევ დამამარცხა,
 მეც გავაორასე რიცხვი ხარებისა.
⁶⁶⁰ საბჭოს კი ვურჩიე, მონადირისათვის
 ათას თხის შეწირვის აღთქმა რომ მიგვეცა,
 თუ თევზი – ობოლად – ასი მოვიდოდა.
 ისევ მე მომხედეს გახარებულებმა.
 პაფლაგონელმა კი ბლუკუნი დაიწყო.
⁶⁶⁵ გარეთ გაათრიეს იგი პრიტანებმა,

საბჭო კი წამოდგა, ყველა აყაყანდა.
პაფლაგონელი კი ითხოვდა: «მოიცათ,
ლაკედემონიდან ელჩი ჩამოვიდა,
ერთი მოუსმინეთ, ზავისთვის მოსულა».

⁶⁷⁰ მათ ერთი კაცივით ერთხმად დაიბლავლეს:

«ზავისთვის მოსულა? რაღა დროს ზავია,
ძვირფასო, თევზი ხომ ისეც გაიაფდა!
ზავი არ გვჭირდება, კვლავ ომი გაგრძელდეს!»
პრიტანებს უყვირეს, კრება დაეხურათ,

⁶⁷⁵ ყველა გადაახტა მოაჯირს, გაიქცა,
მეც გამოვიქეცი, რაც იყო ბაზარში
ქინძი, პრასი, სულ ვიყიდე, მთლიანად.
მათ რომ თევზისათვის დააკლდათ მწვანილი,
უფასოდ მივეცი, რომ მემამბინა.

⁶⁸⁰ დიდად გაიხარეს, ყიჟინა ატეხეს
და ქება შემასხეს... სულ ერთი ობოლი
დამიჯდა ის ქინძი – საბჭო ჩემსკენაა!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{აწბ.} ყველაფერი გააკეთე, როგორც ბედის რჩეულმა;
ის თაღლითი ახალ არამზადას შეხვდა,

⁶⁸⁵ ბევრად უფრო ძლიერს,
უფრო ცბიერს, ხელოვანს
შემპარავი სიტყვის.

მოიფიქრე, ბრძოლა ახლა
როგორ უნდა გააგრძელო.
მოკავშირედ გეყოლებით.

⁶⁹⁰ შენსკენა ვართ, ხომ იცი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

თვით პაფლაგონელი მოდის ტალღასავით,
ამღვრევს და აღელვებს ყველაფერს, მე მგონი,
ჩაყლაპვას მიპირებს. ვაჰ! რა თავხედია!

მეორე ეპისოდისიონი

შემორბის განრისხებული პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

შენი დამარცხების სამყოფი სიცრუე

კიდევ მაქვს! ვერ მოგსპობ? – დავინგრე მთლიანად!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მომწონს ეგ მუქარა, მაცინებს სიფიცხე,
ბაქიაობაზე «ყიყლიყოს» გეძახი!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ო, ვფიცავ დემეტრეს, თუკი ამ მიწიდან
ვერაფრით აღგ...ჭამე, თავსაც არ ვიცოცხლებ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

700 შეჭმით მემუქრები? მე შეგსვამ, იცოდე,
თუნდ, როცა ჩაგყლაპავ, გავსკდე ერთიანად!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვფიცავ პილოსიდან მოძღვნილ პროედრიას...

მ ე ძ ე ხ ვ ე

დახეთ, პროედრია! რას გავიხარებდი,
უკანა რიგში რომ მენახე დამჯდარი!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

705 ბორკილებს დაგადებ, ზეცას გეფიცები!

მ ე ძ ე ხ ვ ე

დახეთ, რა ფიცხია! რა მოგცე სათქვლეფად?
თქვი, რას ისურვებდი? რას შეჭამ? – საფულეს?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ფრჩხილებით ნაწლავებს გარეთ გამოგიყრი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე – სარჩოს, რომ იღებ პრიტანიონიდან!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

710 მე ხალხთან მიგათრევ, პასუხი რომ გამცე!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე თვითონ მიგათრევ და ცილსაც დაგწამებ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მაგრამ შენ, თაღლითო, არ დაგიჯერებენ,
მე – ყველას დავცინებ, თუ მომესურვება.

მ ე ძ ე ხ ვ ე

რა ურცხვად მიიჩნევ, რომ ხალხი შენია!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁷¹⁵ ვიცი, რა საჭმელითაც უნდა დავაპურო.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მერე, ძიძასავით სულ მშიერს არ ტოვებ?
ლუკმას დაუღეჭავ, პატარას მას მისცემ,
თვითონ კი სამჯერ დიდს იტოვებ სანთქავად.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ზევსს ვფიცავ, ისეთი მოხერხებული ვარ,
⁷²⁰ ხალხს ხან ვავიწროებ, ხანაც ვაფართოებ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეგ ჩემს უკანალსაც კარგად ეხერხება.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ნუ ფიქრობ, საბჭოში თითქოს დამამარცხე.
კრებაზე მივიდეთ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

არავინ გაკავებს,
წამო, ნულარაფრის გამო შევეყოვნდებით.

მესამე ეპისოდინი

მ ე ძ ე ხ ვ ე და პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი მიდიან დემოსის სახლთან და კარებზე
აკაკუნებენ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ეი, დემოს, გამოდი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

⁷²⁵ მამა ზევსს გაფიცებ,
გამოდი, დემიკო, გამოდი, ძვირფასო.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

გამოდი, შეხედე, რაებს მიბედავენ.

დ ე მ ო ს ი კარებიდან გამოიხედავს.

დ ე მ ო ს ი

ვინა ხართ? რას ბლავით? მომშორდით თავიდან!
ჩემი ზეთისხილის გვირგვინი! რასა ჰგავს!
როგორ დაგიშლიათ! რა მოხდა?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

730

შენს გამო

მირტყამენ ესეც და ისინიც.
(გუნდზე მიუთითებს)

დ ე მ ო ს ი

ვაჰ! რატომ?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მიტომ, რომ მიყვარხარ და შენზე ვგიჟდები!

დ ე მ ო ს ი

(მეძებვს)

შენ ვინ ხარ, მითხარი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე? ამის მეტოქე,

შენი მოყვარული, კეთილისმსურველი,

735

სხვებივით კეთილი და პატიოსანი;

მაგრამ შენს სიყვარულს ეგ ვინმეს დაუთმობს?!
თვითონაც იმ ბიჭებს ჰგავხარ, საყვარლები

რომ ჰყავთ; – პატიოსნებს არ აგდებ არაფრად,
შენს თავს მეწაღეებს, ვაჭრებს, მეჩექმეებს,

740

ტყავის გამყიდველებს უძღვნი ერთიანად.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე ვზრუნავ ხალხისთვის.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჰო, თქვი, რას აკეთებ?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

როცა პილოსიდან გაიქცნენ სარდლები,
ჩავედი, სპარტელი ტყვეები მოგვგვარეთ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ვიღაცა ქოთანში ხარშავდა შეჭამადს,

მე გამოვიარე, ავწაპნე ქოთანო.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ახლავე სახალხო კრება მოიწვიე,
დემოს, რომ გაიგო, ჩვენ ორში რომელი
უფრო ერთგულია და ის შეიყვარე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

სწორია! ოღონდაც პნიქსზე ნულარ წავალთ.

დ ე მ ო ს ი

750 აბა სხვა ადგილას არსად არ დავჯდები.

კრება ძველებურად პნიქსზე ჩატარდება.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ვაიმე უბედურს! ნაღდად დავიღუპე!
მოხუცი სახლში ხომ ყველაზე ბრძენია,
როგორც კი იმ ქვაზე დაჯდება, იმწუთას

755 ამთქნარებს, თითქოსდა იქ ბუზებს ითვლიდეს.

მეორე აგონი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ. ახლა შენი საიალქნე ბაგირები მოუშვი!

მოიკრიბე სიმამაცე, გაილესე ენა!

ამით უნდა დაამარცხო. ცბიერია იგი,

გაიძვერაც; – გამოსავალს სულ იოლად პოულობს,

760 გრიგალივით ამოვარდი და მძვინვარედ დაეცი!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

აბა, ახლა კი ფრთხილად იყავი, სანამ შეგიტევს, თვით მოემზადე,

ასწიე შენი «დელფინები» და თვითონ მიადგი შენი კატარღა.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე ჩემს დედოფალს, ქალღმერთ ათენას, ჩვენი ქალაქის

მფარველ-განმგებელს,

ამას ვთხოვ: თუკი ათენელთათვის საუკეთესო კაცი შევიქენ

765 ლისიკლეს, კინას და სალაბაკქოს შემდეგ, შეძლება

მომცეს ქალღმერთმა,

კვლავ არაფერი არ ვაკეთო და პრიტანიონში კვლავ ვისადილო.

(დემოსს)

თუკი შენ მძულხარ, თუკი შენს გამო მტერს მარტოდმარტო
არ შევებროლო,
მომსპონ, გამხერხონ, ჩემი ტყავისგან აპურები გამოჭრან თუნდაც!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მეც, ჩემო დემოს, თუ არ მიყვარხარ, თუკი შენს გამო ჭკუას
არ ვკარგავ,

⁷⁷⁰ დამჭრან, დამკეპონ ნაკუწ-ნაკუწ და ისე მომხარშონ! არ
დამიჯერებ? –

ამ მაგიდაზე ცოცხლად დამგლიჯონ და მიტოტოსში ყველს
შემაზილონ,
მერმე კაუჭზე ჩამოკიდული კერამიკოსში გადამათრიონ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვინლა იქნება ის მოქალაქე, შენ ჩემზე უფრო რომ ეყვარები?

ჩემი საბჭოში ყოფნისას შენთვის დიდი თანხა მაქვს შეგროვებული;

⁷⁷⁵ ზოგს ვაწამებდი, ზოგსაც ვახრჩობდი, ზოგს დავდევი და
ვებვეწებოდი,

კერძო პირებზე აღარ ვფიქრობდი, ოღონდაც შენთვის მეამებინა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეგ არაფერი არ არის, დემოს; ასეთ საქმეებს მეც გავაკეთებ.

მეც მოვიტაცებ სხვის პურს როგორმე და მოტაცებულს შენ
ჩაგაბარებ.

რომ არც უყვარხარ, არც ერთგულია, ამას ახლავე გაჩვენებ

ცხადად –

⁷⁸⁰ გემსახურება მხოლოდ იმისთვის, შენს ნალვერდალთან კარგად
რომ გათბეს.

შენ მარათონში მახვილით ხელში სამშობლოსათვის ებრძოდი

სპარსელს,

შენ გაიმარჯვე, ჩვენ ავქაქანდით; სალაპარაკო ბევრი მოგვეცი...

ასეთი კაცი ამ ქვებზე ზიხარ და ეს არც ფიქრობს, რომ გემაგრება.

მე კი სულ სხვა ვარ, აი, შევკერე და მოგიტანე... აბა, ადექი,

⁷⁸⁵ ახლა დაბრძანდი. რბილად იქნება, ვინც სალამინში გადაიღალა.

დ ე მ ო ს ი

კაცო, ვინა ხარ? შთამომავალი ჰარმოდოსის დიდი გვარისა?

ამ საქმით მართლაც კეთილშობილი და მოყვარული ჩანხარ

დემოსის.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვაი, რა წვრილი პირმოთნეობით დაიმსახურა ამისი ნდობა!

მ ე ძ ე ხ ვ ე

შენ იგი ბევრად უფრო პატარა სატყუარათი ჩაიგდე ხელში.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁷⁹⁰ არ აღმოჩნდება არც ერთი კაცი, ხალხისთვის ჩემზე უკეთ
მებრძოლი,
ანდა დემოსის უფრო მოყვარე, – თავს ჩამოვდივარ სანადლეოში!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ამას უწოდებ მერე სიყვარულს?! ხომ ხედავ, ხალხი მერვე წელია
კოშკში, კასრსა და ძერის ბუდეში ცხოვრობს; და მაინც არ
გებრალეზა.

ამწყვდევ და მისგან წვენი გამოგყავს. არქეპტოლემემ რომ
მოგვიტანა

⁷⁹⁵ მშვიდობა, შენ ის არ მოისურვე! ხოლო ელჩები გააპანდურე
და ქალაქიდან ისე გაყარე, როცა მშვიდობა შემოგთავაზეს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მთელს საბერძნეთზე რომ გვებატონა. ორაკულებში ასე წერია,
რომ ხუთ თბოლად მალე დემოსი არკადიაში იჰელიასტებს...

თუკი გადარჩა. ყოველნაირად ვუშოვი ლუკმას, ვემსახურები,

⁸⁰⁰ გზასაც ვიპოვი – ავად თუ კარგად, ტრიობოლი კი მუდამ ექნება.

მ ე ძ ე ხ ვ ე

(პაფლაგონელს)

ზევსს ვფიცავ, შენ ის სულ არ გადარდებს, არკადიაში რომ
იბატონოს.

შენ თვითონ გინდა, ქრთამი აიღო ქალაქებისგან, ხოლო დემოსმა
ომებისა და ბურუსის გამო ვერ დაინახოს, რასაც თაღლითობ

და გასაჭირში ხელფასისათვის სულ შენ გიყუროს

პირდაფჩენილმა.

⁸⁰⁵ ოჰ, მინდვრებში რომ დაბრუნდებოდეს და მშვიდობაში რომ
იცხოვრებდეს,

ფაფას შეჭამდეს, მომაგრდებოდეს, ზეთისხილზე რომ სიტყვას

იტყოდეს,

მაშინ გაიგებს, რამდენ სიკეთეს აკარგვინებს ეგ შენი ხელფასი

და დაბრუნდება გამწარებული, შენს წინააღმდეგ ექნება კენჭი.

ეს შენც იცი და თვალს უხვევ ამ კაცს, სიზმრის ახსნაშიც
ასე ატყუებ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁸¹⁰ საშინელება არ არის განა, ასე რომ ამბობ და ცილს რომ მწამებ
დემოსისა და ათენელების წინაშე იმ კაცს, ვისგანაც ქალაქს,
ვფიცავ დემეტრეს, თემისტოკლეზე მეტი სიკეთე უნდა ახსოვდეს?!

მ ე ძ ე ხ ვ ე

«ქალაქო არგოს, გესმის რას ამბობს?» შენ თემისტოკლეს
როგორ ედრები?

იმან ქალაქი აავსო ჩვენი, თუმც ჩაიბარა გაჭირვებაში;

⁸¹⁵ მშიერი ხალხი დააპურა და სადილს პირვესიც ზედ დაუსართა;
მას ძველი თევზი არც კი მოუკლავს, არა, ახალი კი დაუმატა!
შენ კი სულ ცდილობ, მცირე ქალაქად წარმოაჩინო ჩვენი ათენი,
კედლებს აშენებ, ორაკულს მღერი, თემისტოკლესაც რომ ეტოლები!
ის გააძევეს... შენ ნასადილევეს თითებს ნარჩევი პურებით იწმენდ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁸²⁰ საშინელება არ არის განა, დემოს, ამ კაცმა ასე გამლანძღოს,
როცა მიყვარხარ!

დ ე მ ო ს ი

აბა, შეწყვიტე, ნუ ილანძღები და ნუ თაღლითობ!
მე კი ამდენ ხანს ვერ შევამჩნიე, რომ ამნაირად ინიღბებოდი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჩემო დემიკო, უსაზიზღრესი კაცია, ბევრი ცოდვა ჰკიდია.

სანამ შენ შენთვის წყნარად ამთქნარებ,

⁸²⁵ ეს ანგარიშებს სწურავს, წვეწვს ადენს
და მერე წრუპავს ორივე ხელით
ხაპავს საერთო საგანძურიდან.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

შენ ოცდაათი ათასი დრაქმა
გაქვს მოპარული, ახლავე გამხელ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

⁸³⁰ წყალს რატომ ნაყავ, რა გაყრანტალებს?

მაინც ყველაზე საზიზღარი ხარ
ათენელთათვის. ვფიცავ დემეტრეს,

კაცი არ ვიყო, თუ არ გამხილო,
შენ თვითონ ქრთამად მიტილენედან
835 ორმოცზე მეტი მნა რომ აიღე.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ. შენ სუყველას გამოგვიჩნდი დიდ სიკეთის მთესველად.
გაქებ ენამჭევრობისთვის. გააკეთე ასე –
შეიქნები ელინთ შორის უდიდესი კაცი.
ქალაქს, ყველა მოკავშირეს გაუძღვები სამკაპით,
840 მხოლოდ ერთხელ შეარხევ და ფული მოვა თავისით.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

აღარ გაუშვა, ხომ მიხვდი, რაში ყოფილა სუსტი.
შენი ფერდების პატრონი აწი იოლად დასძლევ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

არა, კარგებო, ჯერ კიდევ ასე არ გახლავთ საქმე.
ზოგი რამ დამრჩა მარაგში, ჩემს პოსეიდონს ვფიცავ,
845 იმგვარი, მტრებს რომ სუყველას დაუმოკლებდა ენას,
თუ პილოსური ფარები დარჩენილია კიდევ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ემაგ «ფარებზე» გაჩერდი, კარგი საბაბი მომეც.
რომ გყვარებოდა დემოსი, არ დაუშვებდი, ალბათ,
ჩამოეკიდათ ფარები სახელურებით, არა!
850 მაგრამ ეს, დემოს, ხრიკია და ეშმაკური ფანდი:
რომც მოინდომო ამ კაცის დასჯა, ვერაფერს უზამ.
ხომ ხედავ, შემოიკრიბა მეტყავეები ირგვლივ,
იმათთან ახლოს ცხოვრობენ ვაჭრებიც – ყველის, თაფლის,
პირი აქვთ ყველას შეკრული, ფიქრობენ მხოლოდ ერთზე,
855 თუ განრისხდები სასტიკად, ან გაამევებ ვინმეს,
გაიქცევიან ღამით და ჩამოიღებენ ფარებს,
რომ ბაზრის შესასვლელები ხელში აიღონ უცებ.

დ ე მ ო ს ი

ვაი, უბედურს, ჰქონიათ სახელურები ფარებს!
შე სამაგელო, ამდენ ხანს მე მატყუებდი თურმე!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

860 ბედკრულო, ნუ დაუჯერებ! ხომ არ გგონია, მართლა
იპოვი ჩემზე უკეთეს მეგობარს? მხოლოდ მე ვარ

შეთქმულებათა გამხსნელი, რაც კი ქალაქში ხდება,
მე ვეღარ დამემალემა, იმწამსვე ავტეხ ყვირილს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

შენ იმ მეზადურს მაგონებ, ვინაც გველთევზას იჭერს.

⁸⁶⁵ ის დამდგარ წყალში ვერაფერს ვერ გაახერხებს, იცი,
წყალს თუ ამღვრევს, ფსკერიდან თუკი ამოყრის ტალახს,
მაშინ დაიჭერს, – შენც ამღვრევ ქალაქს და თევზსაც იჭერ.
ახლა ეს ერთიც მითხარი: ამდენ ტყავებს რომ ჰყიდი,
თუ მიგიცია ამისთვის, რომ შეეკერა წალა?
რომ გყვარებოდა, მისცემდი.

დ ე მ ო ს ი

⁸⁷⁰ არა, აპოლონს ვფიცავ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ხომ მიხვდი, რა კაციცაა?! მე კი ასეთი არ ვარ,
აჰა, ეს წყვილი წალაა, ატარე, გქონდეს ჩემგან.

დ ე მ ო ს ი

ხალხისთვის შენზე უკეთესს ვერვის ინატრებს კაცი.
გეტყობა, გიყვარს ქალაქი, ამ ჩემს ფეხებზეც ზრუნავ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁸⁷⁵ საშინელება არ არის? რა შეძლებიათ წადებს!
ჩემი კი სულ დაივიწყე, რაც გაგიკეთე კარგი?
მრუშობა მოვსპე, სიიდან გამოვიყვანე გრიტე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

საშინელება არ არის? საჯდომს უჭვრეტ და მაინც
ტრახახობ, სიძვა მოვსპეო? იმათი გშურდა, ალბათ,
⁸⁸⁰ რომ მოსპე: ორატორები არ გამხდარიყვნენ მერმე.
ხედავდი, რომ უქიტონოდ იყო ამხელა კაცი,
ერთი პერანგის ღირსადაც არ ჩაგითვლია იგი,
თუნდ ყოფილიყო ზამთარი. აიღე, დემოს, გაძლევ.

დ ე მ ო ს ი

თვით თემისტოკლევ ვერასდროს მოიფიქრებდა ამას.
⁸⁸⁵ თუმცა პირვესი მაჩუქა, მაგრამ მე ასე ვფიქრობ,
რომ ამ ქიტონის ამბავი უკეთესია მაინც.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვაი უბედურს, როგორი მაიმუნობით მებრძვი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ახლა იმ სტუმრის დღეში ვარ, ვისაც უზომოდ უსვამს
და ახლა უჭირს... შენივე ხერხი ვიხმარე ძველი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁸⁹⁰ მლიქვნელობაში მაჯობებ? არა მგონია. აჰა,
ამას მოვასხამ.

(მოსასხამს აძლევს დემოსს. მეძეხვეს)

რას იტყვი? ხომ არ გაცოფდი?

დ ე მ ო ს ი

ტფუი!

ჯანდაბას იქით წასულხარ! სულ ტყავის სუნით ყარხარ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

განზრახ მოგასხა, უნდოდა, რომ გაეგუდე სულაც.
ადრეც შვრებოდა ამგვარებს. შენ სილფიონი, გახსოვს,
რომ გაიაფდა უეცრად?

დ ე მ ო ს ი

⁸⁹⁵ რალა თქმა უნდა, მახსოვს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ამან იზრუნა მაგისტვის, გააიაფა განზრახ,
რომ გეყიდათ და გეჭამათ, ჰელიეაში მერე
მოსამართლეებს ებუთქათ, დახოცილიყვნენ ყველა.

დ ე მ ო ს ი

ვფიცავ პოსეიდონს, იგი ერთმა კოპრელმაც მითხრა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

(მაყურებელს)

⁹⁰⁰ ბათქა-ბუთქისგან სუყველა წითურები არ გახდით?

დ ე მ ო ს ი

ზევსს ვფიცავ, საქმე წითურის ნახელავია ნაღდად.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(მეძებვეს)

თაღლითო, პამპულაობით გსურს ამიბნიო თავგზა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე თვით ქალღმერთმა მასწავლა, რომ თავხედობით დაგძლევ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვერაფრით ვერ გაიმარჯვებ! დემოს, აიღე, გაძლევ

⁹⁰⁵ ფულიან ჯამს და ჩახეთქე, შენტვის იყავი, უქმად.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე კი ამ ქილას მოგართმევ, წამლით სავსეა იგი,
მუხლზე წაისვი, ჭრილობებს სულ დაგიშუმებს უცებ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

სულ ამოგიღებ ჭადარას, უმაღ ყმაწვილკაცს გაგხდი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეს კურდღლის კუდი აიღე, გამოიწმინდე თვალი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁹¹⁰ ცხვირს რომ მოიწმენდ, თითები შემომახოცე თავზე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

არა, ჩემსაზე!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ჩემსაზე!

(მეძებვეს)

ტრიერარქობას მოგანდობ,

ფულს კი სულ თვითონ დახარჯავ:

ძველთაძველ ხომალდს მიიღებ,

⁹¹⁵ რომელიც შეკეთებისთვის

ნიადაგ ხარჯებს მოითხოვს.

როგორმე ისეც მოვაწყობ,

აფრა რომ გერგოს დამპალი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ადუღდა კაცი!

(პაფლაგონელს)

შეწყვიტე,

⁹²⁰ გადმოდის! მოსაკლებია

მუგუზალი და მუქარა

მოსახდელია ქაფქირით!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

კარგად მოგხვდება ამისთვის,

გაგსრეს სამხედრო ბეგარა.

⁹²⁵ თვითონ ვიზრუნებ, სიაში

მდიდარ კაცად რომ ჩაგწერონ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე არ გაშინებ არაფრით,

მაგრამ ამას კი გისურვებ:

ტაფა შეგედგას ცეცხლზე და

⁹³⁰ თევზი შეგეწვას, თავად კი

გინდოდეს მილეტელებზე

ლაქლაქი, გელოდებოდეს

წარმატებისთვის – ტალანტი;

ჩქარობდე, თევზიც ჩახეთქო

⁹³⁵ და კრებაც არ გააცდინო;

სანამ შეჭამდე, მანამდე

კაციც მოგსვლოდეს და შენაც

ტალანტის ხათრით გეჩქაროს,

ერთად გეხეთქოს

⁹⁴⁰ და უმალ დამხრჩვალყავი!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

კარგია, კარგი, ვფიცავ ზევსს, აპოლონსა და დემეტრეს!

დ ე მ ო ს ი

მეც ასე მგონია, ცხადია, ეს კაცი

საუკეთესოა მათ შორის, ვინაც კი

⁹⁴⁵ აქამდე ყოფილა ობოლიანებში.

შენ კი, მიყვარხარო, ამბობ და მაშმაგებ.

აბა, დამიბრუნე ბეჭედი, ვერასდროს

ველარ გამიძღვები.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(უბრუნებს ბეჭედს)

აჰა, გამომართვი.

თუ მე ამიკრძალავ შენზე ბატონობას,

⁹⁵⁰ ჩემზე გაიძვერა ვინმე გამოჩნდება.

დ ე მ ო ს ი

ეს ჩემი ბეჭედი არ არის ნამდვილად.

ნიშანიც სხვა უზის, ეს ჩემი არ არის.

ვერ ხედავ?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მაჩვენე! შენსაზე რა იყო?

დ ე მ ო ს ი

რა? ლელვის ფოთოლში ქონი თაფლიანი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

⁹⁵⁵ არ არის.

დ ე მ ო ს ი

არ არის ფოთოლი? რაღაა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

კლდეზე დგას თოლია და სიტყვას წარმოთქვამს.

დ ე მ ო ს ი

ვაგლახ, მე უბედურს!

მ ე ძ ე ხ ვ ე

რაო?

დ ე მ ო ს ი

მოაცილე!

ეგ ჩემი არ არის, კლეონიმესია!

აი, გამომართვი, შენ გნიშნავ მმართველად.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁹⁶⁰ ჯერ არა, მეუფევე, არა, გევედრები,

ჯერ ჩემს ორაკულებს უნდა მოუსმინო.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჯერ ჩემსას!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ამისას თუკი მიენდობი,
«გუდა» შეიქნები.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ამის მიხედვით კი
«ტყავჩამოწეული ასო» შეიქნები.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

⁹⁶⁵ ჩემი ორაკული ამბობს, რომ შენ მართავ
მთელ მიწას, ვარდების გვირგვინით მორთული.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჩემთან კი ძვირფასი სამოსით, გვირგვინით
შემკული ჩაჯდები ოქროს ოთხთვალაში
და დაედევნები მაშინვე სმიკითეს.

დ ე მ ო ს ი

წადი, მოიტანე ისინი.

(პაფლაგონელზე მიუთითებს)

⁹⁷⁰ ამანაც

უნდა მოისმინოს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ახლავე.

დ ე მ ო ს ი

შენც წადი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ახლავე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ზევსს ვფიცავ, გავრბივარ, რა მიშლის?

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ. საშური დღის ნათელი

დაადგება აქაურებს

⁹⁷⁵ და სტუმრებსაც, ჩამოსულებს,

კლეონი თუ გაქრება.
მაგრამ ბევრი მოხუცისგან,
ბაზარში რომ სასამართლოს
აწყობენ და ბუზღუნებენ,
⁹⁸⁰ ასეც გამიგონია:
თითქოს, მას რომ არ ჰქონოდა
ამოდენა უფლებები,
ორ ნივთს ვერ ველირებოდით:
ჩამჩასა და ქვასანაყს.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
^{ანტ. 985} ღორული აქვს მიღებული
განათლება. ეს მაკვირვებს,
მისი ძველი ძმაკაცები
ასეთ ამბავს ყვებიან:
ღირას მხოლოდ დორიულად
⁹⁹⁰ აწყობდაო და არ სურდა,
შეესწავლა სხვა რამეო.
მაშინ განრისხებულა
კითარისტი, გაუგდია,
რადგან ბავშვი ჰარმონიას
⁹⁹⁵ არ სწავლობდა, თუკი იგი...
დორიული არ იყო.

მეოთხე ეპისოდონი

ბრუნდებიან პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი და მ ე ძ ე ხ ვ ე. მოატრევენ ორაკულებს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი
ჰა, აბა, შეხედე, აქ ყველა არცაა.

მ ე ძ ე ხ ვ ე
ვაიმე, ჩავისვრი... ყველა არც აქაა.

დ ე მ ო ს ი
(მიუთითებს ორაკულებზე)
რაა?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი
ორაკული!

დ ე მ ო ს ი

ამდენი?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

რა გიკვირს?

1000

კიდევ მაქვს, ზევსს ვფიცავ! სკივრი სულ სავსეა!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე – ორი სახლი და სხვენიც, გატენილი.

დ ე მ ო ს ი

მაშ, ვნახოთ. ვისია ეს ორაკულები?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ჩემი – ბაკისისა.

დ ე მ ო ს ი

(მეძეხვეს)

შენი კი ვისია?

მ ე ძ ე ხ ვ ე

გლანისის – ბაკისის უფროსი ძმა გახლავთ.

დ ე მ ო ს ი

და რაზე არიან?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

1005

ათენზე, პილოსზე,

შენზე და ჩემზედაც, სუყველა საქმეზე.

დ ე მ ო ს ი

შენი კი რაზეა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ათენზე, ფაფაზე,

ლაკონელებსა და ახალ სკუმბრიაზე.

ვაჭრებზე, წონაში სულ რომ გვატყუებენ,

1010

შენზე და ჩემზედაც; – ამან დაიკბინოს!

დ ე მ ო ს ი

სწრაფად, ვატრიალოთ, ახლავ გამაგონეთ;

ჰო, ის არ გამოგორჩეთ, მე რომ მსიამოვნებს,

ღრუბლებში არწივი რომ უნდა შევიქნე.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მაშ, მოდი, დამიგდე ყური და მისმინე.

¹⁰¹⁵ ახლა დაუკვირდი, ძეო ერეხთევსის, გზას ორაკულისა,
რომელიც ტაძარში, ძვირფას სამფეხიდან გამცნო
აპოლონმა.

გიბრძანა, დაიცვა ბასრკბილებიანი და წმინდა ნაგაზი,
რომელიც შენთვის ყეფს და უღრენს სუყველას შენი
გულისათვის,
ხელფასსაც ის გაძლევს. თუკი არ დაიცავ, დაღუპვა
მოგელის;

¹⁰²⁰ ბევრი ჰყავს მოძულე, გუნდ-გუნდად ბოროტი ჭკები
დასჩხავიან.

დ ე მ ო ს ი

დემეტრეს ვფიცავარ, ვერ მივხვდი, რას ამბობს.
ან ნაგაზს რა უნდა, ან ჭკას – ერეხთევსთან?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ეს მე ვარ ნაგაზი, შენთვის ვყეფ ნიადაგ.
გითხრა ფოიბოსმა, დამიცვა ქოფაკი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹⁰²⁵ ამას კი არ ამბობს, არამედ ამ ძაღლმა
სულ რომ შეგიჭამა მთელი ორაკული.
სიმართლე ნაგაზზე აქ, ჩემთან წერია.

დ ე მ ო ს ი

მაშ, თქვი, მე მანამდე ქვა უნდა ავიღო,
მაგ თქვენმა ნაგაზმა რამე არ მომჭამოს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹⁰³⁰ ახლა დაუკვირდი, ძეო ერეხთევსის, მონებით მოვაჭრე
ქოფაკსაც, კერბეროსს, კუდს რომ აქიციინებს. სანამ შენ
სადილობ,
დროს უცდის, რომ ხორცი უმაღ შეგიჭამოს, როგორც
დაამთქნარებ.

ხშირად ესტუმრება შენს სამზარეულოს ძაღლულად ნაგაზი
ღამით და სასწრაფოდ შესანსლავს ყველაფერს: ჯამებს
და... კუნძულებს.

დ ე მ ო ს ი

¹⁰³⁵ ვფიცავ პოსეიდონს, გლანისი ჯობია.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მვირფასო, უსმინე ამას და განსაჯე:

ერთ ვინმე დედაკაცს უწმინდეს ათენში ლომი გაუჩნდება,
რომელიც ხალხისთვის ბრძოლას გაუმართავს კოდოთა
სიმრავლეს.

თითქოსდა საკუთარ ბოკვერებს იცავდეს. შენაც

გაუფრთხილდი,

¹⁰⁴⁰ ამისთვის აღმართე კედლები ხისა და კოშკები რკინისა.

დ ე მ ო ს ი

ვერ მივხვდი, აპოლონს ვფიცავარ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

შენ ნათლად გიბრძანა ღმერთმა, დამიფარო,

შენს «ლომად» უფალი ნაღდად მე მგულისხმობს.

დ ე მ ო ს ი

ჩემს დაუკითხავად «ლომადაც» იქეცი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹⁰⁴⁵ არაფრით არ უნდა, ეს ერთიც რომ ახსნას:

რა არის «კედლები ხისა და რკინისა»,

რაშიც ლოქსიასმა გიბრძანა, რომ ჩასვა.

დ ე მ ო ს ი

რას ფიქრობ, რისი თქმა უნდოდა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე მგონი,

გიბრძანა, ეს კაცი ხუნდებში ჩაგესვა.

დ ე მ ო ს ი

¹⁰⁵⁰ ო, ეს ორაკული, ვატყობ, აღსრულდება.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

შენ ნუ მიენდობი, მურისგან ჩხავიან ყორნები ხმამაღლა.

მიმინო გიყვარდეს, გულში სულ გახსოვდეს, რა ტვირთი

ატარა,

ლაკედემონელი ყვავის ბახალები როცა მოგიყვანა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მთვრალი იქნებოდა, თუ პაფლაგონელმა თვითონ გააკეთა.

¹⁰⁵⁵ ბოროტის მზრახველო კეკროპიდ, ეს საქმე დიდად მიგაჩნია?

ტვირთს ქალიც ატარებს, ეს იმ ტვირთს, რომელსაც კაცი შთაუესახავს,
ბრძოლა კი არ ძალუძს, თუ არ დაისვენებს, უმაღ
ჩაისვენებს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

შენ ამას უსმინე, რას ამბობს უფალი პილოსი პილოსზე.
«არის პილოსის წინ პილოსი...»

დ ე მ ო ს ი

რას ბოდავ, როგორ «პილოსის წინ»?

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹⁰⁶⁰ ამბობს, რომ «პიელოსს», კუტალებს აიღებს.

დ ე მ ო ს ი

მაშ, მე დღეს დაბანა აღარ მეღირსება?

მ ე ძ ე ხ ვ ე

არა, – მოიპარა ამან კუტალები.
აქ ზღვაოსნობაზეც არის ორაკული,
მთელი ყურადღებით უნდა მოუსმინო.

დ ე მ ო ს ი

¹⁰⁶⁵ ჰო, გისმენ, პირველად კი ის წამიკითხე,
ხელფასი საიდან ექნებათ ზღვაოსნებს?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ბეო ზევსისა, უფრთხილდი ძალმელას, რომ არ გიეშმაკოს,
მზაკვარმა, ცბიერმა და გამოქექილმა ფეხმარდმა მელიამ.
იცი, ეს რა არის?

დ ე მ ო ს ი

კი, ფილოსტრატეა აქ, ჩვენთან, ძალმელა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹⁰⁷⁰ ამას კი არ ამბობს, არამედ ეს კაცი
სულ სწრაფ და სარფიან ხომალდებს რომ ითხოვს,
არ უნდა მისცეო, ზრძანა ლოქსიასმა.

დ ე მ ო ს ი

მაღლმელა ტრიერი ყოფილა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ვერ ხვდები?

ხომალდიც ხომ სწრაფია ვითარცა მწევარი.

დ ე მ ო ს ი

¹⁰⁷⁵ მერმე ძაღლს მელა როგორ მიემატა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ო, ეს მელუკები ჯარისკაცებია,
სოფლებში ვენახებს რომ ანადგურებენ.

დ ე მ ო ს ი

კეთილი.

ამ მელუკებისთვის ხელფასი სადაა?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე თვითონ ვიშოვი და თანაც სამ დღეში.

¹⁰⁸⁰ ჯერ ამას უსმინე: ზრძანებს ორაკული,
კილენეს უფრთხილდი, არ გიეშმაკოსო.

დ ე მ ო ს ი

რაო, კილენეო?

მ ე ძ ე ხ ვ ე

«კილენე» – პეშვიო?

ეს არის, სულ რომ გთხოვს, «პეშვი ჩამიდეო».

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

სწორად არ განმარტავ. თვითონ ფოიბოსი

¹⁰⁸⁵ «კილენეს» უწოდებს ხელს დიოფითესის.

აი, ორაკული კიდეც მაქვს, ფრთიანი;

არწივი გახდები, იმეფებ მიწაზე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ასეა ჩემთანაც: იმეფებ მიწაზეც,
მეწამულ ზღვაზედაც და ეკატანაზეც.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

¹⁰⁹⁰ სიზმარი მეზმანა, სადაც თვით ქალღმერთი
გრწყავდა სარწყავიდან სიმდიდრჯანმრთელობით.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ზევსს ვფიცავ, მეც ასე მეზმანა ქალღმერთი,
აკროპოლისიდან გამოსულს ბუ ეჯდა.
ჯერ შენ გადმოგასხა თავზე ამბროსია
¹⁰⁹⁵ სურიდან. ამას კი – ნახარში ნივრისა.

დ ე მ ო ს ი

ოჰ, ოჰ!
არავინ არ არის გლანისზე ჭკვიანი.
შენი ვარ დღეიდან, შენ უნდა შეიქნე
გერონტაგოგი და აღმზარდო თავიდან.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

¹¹⁰⁰ არა, გევედრები, ცოტაც მოიცადე.
ქერის პურს მოგიძღვნი და დღიურ ულუფას.

დ ე მ ო ს ი

ვაიმე, არ მინდა ქერის გაგონებაც,
ბევრჯერ მომატყუეთ შენც და თუფანესმაც.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მაშ, ახლა მოგიტან ფქვილს, სულ გამზადებულს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹¹⁰⁵ მე მოგირბენინებ გამომცხვარ კვერებს და
კერძსაც გამზადებულს, ჭამე და იყავი.

დ ე მ ო ს ი

აბა, დააჩქარეთ, რამეს თუ აპირებთ,
თქვენ ორში რომელიც უფრო გამახარებს,
მე იმას გადავცემ პნიქსის სადავეებს.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე უნდა გავიქცე პირველი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

1110

არა, მე!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ. დემოს, საოცარია

შენი ძალაუფლება,

შენი, როგორც ტირანის,

ემინია ყველას.

1115 იოლად კი ბრიყვდები,

გიყვარს, რომ გატყუებენ,

ანდა გელიქნებიან;

სულელივით უყურებ

ყველას პირდაფჩენილი,

1120 გონება კი გტოვებს.

დ ე მ ო ს ი

არც თქვენს თმებში არ იცდის,

რაკი ასე გგონიათ:

მე ხომ თავს ვისულელებ

შეგნებულად, განზრახ.

1125 მსიამოვნებს მე თვითონ,

«ნწაი, ნწაის» რომ ვითხოვ,

ქურდს ისე რომ გამოვკვებ,

როგორც ვინმე პროსტატესს.

მერმე, როცა გაძლება,

1130 ავაყენებ, ვჟეჟავ.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ. აბა, მაშინ რა გვეთქმის,

თუკი სიბრძნე არ გტოვებს,

თუ ყველაფერს აკეთებ,

როგორც თვითონ ამბობ,

1135 წინასწარი განზრახვით.

თუკი, როგორც საქონელს,

პნიქსზე ქურდებს ასუქებ,

კერძი რომ დაგაკლდება,

მსუქან-მსუქანს დაარჩევ,
1140 შესწირავ და შექამ.

დ ე მ ო ს ი

მაგათ, ყველას, მიყურეთ,
ემმაკობით ვაჯობებ,
თუმცა კი აქვთ ჭკუაში
გაცურება ჩემი.

1145 მუდამ თვალყურს ვადევნებ

ჩუმად, თითქოს ვერ ვხედავ,
რომ ყველაფერს მპარავენ,
სულ ამოვანთხევივინებ,
რაც კი მოუპარავთ მათ,

1150 პირში ჩავჩრი კემოსს.

მეხუთე ეპისოდის დიონი

შემორბიან პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი და მ ე ძ ე ხ ვ ე. კალათები მოაქვთ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ემმაკს წაუღიხარ!

მ ე ძ ე ხ ვ ე

გაქრი, ჭირიანო!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

დემოს, ყველაფერი მომზადებულია
სამგზის რახანია, მსურს მოგემსახურო.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე – ათგზის, თორმეტგზის, ათასგზის და ასე

1155 უსასრულოდმრავალდამრავალმრავალგზის.

დ ე მ ო ს ი

მე კი გელოდებით ოცდაათათასგზის,
გულში გაგინებდით მრავალდამრავალგზის.

მ ე ძ ე ხ ვ ე

შენ იცი, რა ჰქენი?

დ ე მ ო ს ი

მითხარი, გავიგებ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

აი, ამ ზღუდიდან გაგვიშვი ორივე,
რომ მოგემსახუროთ.

დ ე მ ო ს ი

¹¹⁶⁰ კარგი, გაემართეთ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი და მ ე ძ ე ხ ვ ე
მზადა ვართ!

დ ე მ ო ს ი

გაუშვით!

მ ე ძ ე ხ ვ ე

(პაფლაგონელს)

ფეხი არ დამიდო!

დ ე მ ო ს ი

ჩემი მეგობრები დღეს ან მომიტანენ
დიდ ბედნიერებას, ან სულ დამღუპავენ.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

სკამი მოგიტანე, ხედავ, მე პირველმა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹¹⁶⁵ ო, მე კი მაგიდა, სულ უპირველესმა!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

შეხედე, როგორი კვერი მოგიტანე,
პილოსურ ქერისგან არის გამომცხვარი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე – ქერქი პურისა, ამოდრუებული
თვით უკვდავ ქალღმერთის სპილოს ძვლის ხელებით.

დ ე მ ო ს ი

¹¹⁷⁰ რა დიდი გქონია თითი, დედოფალო!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე კი – გემრიელი მუხუდოს წვნიანი,
«პილოსში მებრძოლი» პალასის ქმნილება.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ო, დემოს, ცხადია, ქალღმერთი დაგყურებს,
თავზედაც დაგადგა ქოთანი წვნიანით.

დ ე მ ო ს ი

(*ირონიულად*)

¹¹⁷⁵ შენ როგორ გგონია, ჩვენი სახელმწიფო
კი იარსებებდა მაგ ქოთნის გარეშე?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ეს თევზი მოგართვა სპათშემშინებელმა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

«მძლავრ მამის ასულმა» ხორცი მოგიხარშა,
ფაშვის ნაჭერი და კუჭმაჭიც მოგართვა.

დ ე მ ო ს ი

¹¹⁸⁰ კარგია, პეპლოსიც რომ გახსენებია.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

«საზარჩაჩქნიანმა» ქალღმერთმა გიბრძანა,
ეს კვერი მიირთვი, ხომალდი რომ დავძრათ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

და ესეც აიღე.

დ ე მ ო ს ი

სად გამოვიყენებ

შიგნეულს?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ქალღმერთმა ეს გამომიგზავნა,

¹¹⁸⁵ ხომალდის «შიგანი» კარგად რომ მოაწყო, –
მას ხომ ნაოსნობის ბედი სულ ადელვებს.

(*ღვინოს სთავაზობს*)

მიიღე, დალიე, გახლავს «სევაიდუ.»

დ ე მ ო ს ი

ღმერთო, რა ტკბილია, სამ წილსაც რომ იტანს!

მ ე ძ ე ხ ვ ე

«სამგზის დიდებულმა» თავად შეაზავა.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

¹¹⁹⁰ ჩემგან ეს ნაჭერიც მიიღე ნამცხვრისა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჩემგან კი მიიღე მთლიანი ნამცხვარი.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(მეძებვეს)

კურდღელი ხომ არ გაქვს, რომ მისცე! მე კი – მაქვს!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ვაიმე, კურდღელი როგორ გავაჩინო?

ო, სულო, რაიმე ხრიკი მოიფიქრე!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

(მეძებვეს კურდღელს უჩვენებს)

¹¹⁹⁵ ხედავ, უბედურო?!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ნაკლებად მადარდებს.

შეხედე, ისინი სულ ჩემთან მოდიან;

ელჩები არიან, სავსე აქვთ ქისები.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

სად, სად?

(გარბის.)

მ ე ძ ე ხ ვ ე

უცხოელებს თავს ვერ დაანებებ?

(დემოსს)

ამ კურდღელს თუ ხედავ, დემიკო, რომ მომაქვს?

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი ბრუნდება.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

¹²⁰⁰ ვაიმე უბედურს, ჩემი მოუპარავს!

მ ე ძ ე ხ ვ ე

შენც ასე უყავი პილოსელ ტუსალებს.

დ ე მ ო ს ი

მითხარი, მოპარვა როგორ მოიფიქრე?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ქალღმერთის აზრია, ჩემი – შესრულება...
საფრთხე სულ ჩემია.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მაგრამ ხომ მე შევწვი.

დ ე მ ო ს ი

(პაფლაგონელს)

¹²⁰⁵ გადი! მიმწოდებელს – პატივი! სხვას არა!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვაიმე, დამჯაბნეს მე თავხედობაშიც!

მ ე ძ ე ხ ვ ე

დემოს, გადაწყვიტე, ჩვენგან რომელია
შენთვის უკეთესი და შენი მუცლისთვის.

დ ე მ ო ს ი

მერედა, საბუთად რა გამოვიყენო,
¹²¹⁰ ხალხმა რომ მიიღოს ჩემი განაჩენი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე გეტყვი; ახლავე მოდი და აიღე
ჩემი კალათი და ნახე, რა აწყვია;
პაფლაგონელისაც, იმწუთას მიხვდები.

დ ე მ ო ს ი

(ჩაიხედავს მემუხვის კალათში)

ჩავხედოთ, რა არის.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ვერ ხედავ, მამიკო,
¹²¹⁵ რომ ცარიელია? მოგეცი, რაც მქონდა.

დ ე მ ო ს ი

ხალხის მოყვარული არის ეს კალათი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მაშ, პაფლაგონელის კალათიც იხილე.
ხომ ხედავ?

დ ე მ ო ს ი

ყოველგვარ სიკეთით სავსეა!
რამხელა ნამცხვარი დაუტოვებია,
¹²²⁰ მე კი ჩამომიჭრა აი, ამოდენა!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ასე არ გიკეთებს, უკვე რახანია?!
რასაც მიიღებდა, იქიდან პატარას
შენ გიწილადებდა, დიდს დაიტოვებდა.

დ ე მ ო ს ი

მაშ, შე საზიზღარო, ასე მატყუებდი?
¹²²⁵ გვირგვინით გამოსავდი, საჩუქრებს გაძლევდი!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე ხომ სახელმწიფოს გულისთვის ვქურდობდი!

დ ე მ ო ს ი

ახლავე მომეცი გვირგვინი, ეს უნდა
შევმოსო.

მ ე ძ ე ხ ვ ე

სასწრაფოდ მოგვეცი, შე ბილწო!

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

მე ჯერ პითიური დამრჩა ორაკული,
¹²³⁰ იქ არის ნათქვამი, ვისგან დავმარცხდები.

მ ე ძ ე ხ ვ ე

იქ მე ვარ აშკარად დასახელებული.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

აი, ამ საბუთით ახლავე გავარკვევთ,
თუ რამე საერთო გაქვს ღვთის ორაკულთან;
ჯერ კი ეს მითხარი, რათა გამოგცადო,
¹²³⁵ თქვი, ვინ გასწავლიდა, ბავშვი რომ იყავი!

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე საყასბოებში მ უჭ ი მასწავლიდა.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

როგორ თქვი? შიგ გულში მომხვდა ორაკული!
კეთილი...

და რა ჭიდაობა გაქვს შენ შესწავლილი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ქურდობა, ცრუ ფიცი, თვალეზში ყურება.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

¹²⁴⁰ ნეტავ რას მიპირებ, ფოიბოს აპოლონ?

და როცა დაკაცდი, მერმე რას მისდევდი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ძეხვს ვყიდდი, ცოტ-ცოტას იმას ვიძლეოდი...

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვაიმე უბედურს, ვინლა ვარ? არავინ!

სულ მცირე იმედი დამრჩა; მას მივყვები.

¹²⁴⁵ მაშ, ესეც მითხარი, ძეხვებს აგორაზე

ჰყიდდი თუ პირდაპირ ჭიმკარში იდექი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ჭიმკარში, იქ, სადაც თევზი იყიდება.

პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი

ვაგლახ, ამისრულდა წინასწარ ნათქვამი!

სახლში შემათრეთ კაცი უბედური!

¹²⁵⁰ მშვიდობით, გვირგვინო, გტოვებ გულმოკლული;

სხვა ვინმე აგიღებს და დაგეუფლება,

ქურდობით ნაკლები, მაგრამ ბედნიერი.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ო, ზევს ელინელო, დღეს შენ გაიმარჯვე!

პ ი რ ვ ე ლ ი მ ს ა ხ უ რ ი

(მეძეხვებს)

სალამი მძლეეთამძლეს! ოლონდ კი გახსოვდეს,

¹²⁵⁵ კაცი შეიქენი ჩემი მეოხებით;

ბევრს არ გთხოვ: ფანოსი, მდივანი გამხადე.

დ ე მ ო ს ი

(მეძებვეს)

მითხარი, რა გქვია?

მ ე ძ ე ხ ვ ე

აგორაკრიტოსი,

მე ხომ აგორაზე აღმზარდა კრიტიკამ.

დ ე მ ო ს ი

მაშ, აგორაკრიტოსს მივანდობ თავსა და

¹²⁶⁰ ამ პაფლაგონელსაც გადავცემ ახლავე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მეც, დემოს, კეთილად მოგემსახურები

და ნახავთ, ვერავის იპოვით უკეთესს

ამ დოყლაპიათა დედაქალაქისთვის.

მსახიობები ტოვებენ ორქესტრას.

მცირე პარაზასისი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ. კარგად როგორ დავიწყოთ და

¹²⁶⁵ ბოლოს რითი დავასრულოთ,

სწრაფ ცხენოსნებს ღირსეულად რომ ვუმღეროთ,

ლისისტრატეს კი არა?

რომ თუმანტისს, უსახლკაროს, არ ვატკინოთ

გული – სულ მხიარული?

¹²⁷⁰ რადგან იგი, ო აპოლონ, საყვარელო,

მშიერია, ცრემლებსაც ღვრის,

შენს კაპარქსაც ევედრება,

მოაცილოს სილატაკე სასტიკი.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

სამაგელი ხალხის ლანძღვა გასაკიცხი კი არა,

¹²⁷⁵ თუკი განსჯი, პატივია პატიოსან კაცისთვის.

ვისზეც უკვე მოგახსენეთ, ცნობილია ისედაც,

თორემ კარგ და მეგობარ კაცს სულაც არ ვახსენებდი!

ყველამ იცით არიგნოტე, მშვენიერი კაცია,

თეთრიც იცის, შავიც იცის, მუსიკაშიც ერკვევა;

¹²⁸⁰ ძმა ჰყავს ამ კაცს, ზნით იმგვარი, ძმასაც ველარ უწოდებ,

სამაგელი არიფრადე, სალანძღავი ნამდვილად;
სამაგლობა არაფერი, სულ არ გავიხსენებდი,
რომ არ იყოს უარესი, უუუსაზიზღრესი!
ენას ისვრის სამარცხვინო და უხამსი განცხრომით,
¹²⁸⁵ გარყვნილების ბუდეებში დაეთრევა ავხორცი,
წვერს იბილწავს, სრესს და ლოკავს, კოცნის, ლომნის
გოგოებს.
პოლიმნესტეს მსგავსად მღერის, ბაძავს ოიონიქეს.
ამდაგვარი კაცი ვისაც ძლიერ არ ეზიზღება,
იმის ღირსიც აღარ არის, ჩვენი თასით დალიოს.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

^{ანტ. 1290} ხშირად, ღამით, ფიქრში გართულს
ჩემთვის გულში გამივლია,
ტვინს ვიჭყლეტდი, სად შოულობს სარჩოს-მეთქი
კლეონიმი იოლად?
ამბობენ, რომ თუ ვინმესთან, შეძლებულთან
¹²⁹⁵ ერთხელ მაინც გამოსკდა,
მერმე, ნურას უკაცრავად, ვერ გააგდებ.
ეხვეწება მასპიძნელი:
«გევედრები მუხლმოყრილი,
მიბრძანდე და შეივედრო ეს სუფრა».

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ლ ო ლ ი

¹³⁰⁰ ამბობენ, რომ ტრიერები შეხვდნენ სალაპარაკოდ
ერთმანეთს და ერთმა ბრძანა უხუცესმა იმათგან:
«გოგოებო, რა ახალი ამბებია ქალაქში!
ამბობენ, რომ ჩვენგან ასის კართაგენში წაყვანა
განუზრახავს უსაზიზღრეს ჰიპერბოლე-ბუზღუნას.»
¹³⁰⁵ ტრიერები განრისხდნენ და დაუშვებლად ჩათვალეს.
ერთმა ბრძანა, სულ უმანკომ, ჯერ რომ არ შეხებიან:
«ო, მფარველო ღმერთო, მე ის ვერასოდეს წამიყვანს,
მიჯობს, მატლმა დამალპოს და ამ ადგილას ჩავბერდე!»
«არავითარ შემთხვევაში», – დაეთანხმა ნავფანტე, –
¹³¹⁰ «მე არ ვიყო ფიჭვისაგან აგებული ხომალდი!
თუ ქალაქმა მოიწონა და გაგვწირა, გავცუროთ
თესეიონს, ქალღმერთების წმინდა ტაძარს მივადგეთ.
ჩვენ ვერსად ვერ გაგვიძღვება, ქალაქმა კი გვიყუროს!
თუ სურს, მარტო გაემართოს, დააცუროს კასრები

ექსოდოსი

სახლიდან გამოდის საზეიმოდ მორთული მ ე ძ ე ხ ვ ე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

აბა, ახლა კი ყველა დადუმდეს და მოწმეების მოსმენა შეწყდეს;
სასამართლო კი, ჩვენი ქალაქის გულს რომ ახარებს, დაიკეტება.
ხოლო ახალი სიხარულისთვის მაყურებლებმა პენი სჭეჭონ!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

წმინდა ათენის უმრეტო ცეცხლო და კუნძულების დიდო მფარველო,
¹³²⁰ რა სიტყვა მოგაქვს, იქნებ ქუჩები წმინდა საკმელით უნდა ავაგსოთ?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მე გამოვხარშე... გონჯი დემოსი, ულამაზესად გადავაქციე.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ახლა სად არის, ისიც გვითხარი, ო შემოქმედო საოცრებათა!

მ ე ძ ე ხ ვ ე

ის გვირგვინით ლამაზად მორთულ უძველეს ქალაქ ათენში
ცხოვრობს.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

სად უნდა ვნახოთ, ან რა აცვია? როგორი არის მისი იერი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹³²⁵ ისეთივეა, როგორიც იყო, არისტიდესთან, მილტიადესთან
ერთად რომ ჭამდა. მალე იხილავთ, პროპილეები გააღეს უკვე,
აბა, კიჟინა დაეცით ყველამ, ძველი ათენი გამოგვიჩნდება,
საოცარი და მრავალნაქები, სახელოვანი დემოსის ბინა.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ათენო, ის გვირგვინიანო, შესაშურო და თვალისმომჭრელო,
¹³³⁰ გამოგვიჩინე ის, თვითმპყრობელი ამ ქალაქისა და ელადისა.

მ ე ძ ე ხ ვ ე

შეხედეთ, თმებზე აყრია ოქრო, საოცრად ბრწყინავს ძველი სამოსი.
სასამართლოთიც აღარ ყარს, ზავის სურნელი უდის
მირონცხებულის.

შემოდის გაახალგაზრდავებული და ბრწყინვალედ მორთული დ ე მ ო ს ი .

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

შენ გაგიმარჯოს, ელინთა მეფევ და შენთან ერთად ჩვენც
გაგვიმარჯოს!
ღირსი ხარ ნაღდად ამ ქალაქისა და მარათონის ტროფეებისა.

დ ე მ ო ს ი

¹³³⁵ შენ, აგორაკრიტოს, აქ მოდი, ძვირფასო,
კარგად მომექეცი, სულ რომ გამომხარშე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ო, შენ რომ იცოდე, როგორი იყავი,
ან რას აკეთებდი, – ღმერთადაც ჩამთვლიდი.

დ ე მ ო ს ი

და რას ვაკეთებდი, როგორი ვიყავი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹³⁴⁰ ჯერ ერთი, თუ ვინმე გეტყოდა კრებაზე:
«ო, დემოს, მიყვარხარ, სულ შენზე ვფიქრობ მე
და შენთვის სიკეთე მხოლოდ მე ერთს მინდა», –
სიტყვას დაიწყებდა ამგვარად თუ არა
შენ ფრთებს შემოჰკრავდი.

დ ე მ ო ს ი

მაშ, ფრთებს შემოგკრავდი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹³⁴⁵ მოგატყუებდა და ისე წავიდოდა.

დ ე მ ო ს ი

რას ამბობ?
ასე მიშვრებოდნენ და მე ვერ ვხვდებოდი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ზევსს ვფიცავ, მაგ ყურებს შენ მზის ქოლგასავით
გაშლიდი ხოლმე და ისევ დაკეცავდი.

დ ე მ ო ს ი

ასე უგონო და ბებერი ვიყავი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

¹³⁵⁰ ორი ორატორი თუ ლაპარაკობდა,
ერთი გთავაზობდა ხომალდის აგებას,
ხოლო მეორე კი ხელფასებს ითხოვდა,
შენ, რაღა თქმა უნდა, მეორეს სწყალობდი.
თავი რას დახარე, ან რა გაკანკალებს?

დ ე მ ო ს ი

¹³⁵⁵ მრცხვენია იმ ჩემი ძველი შეცდომების.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ნუ დარდობ, თვითონ ხომ არ ხარ დამნაშავე,
სხვები გატყუებდნენ. ახლა ეს მითხარი,
თუ სინეგოროსი ვინმე გაგებხუმრა:
«თქვენ, მოსამართლეებს ფქვილი არ გექნებათ,
¹³⁶⁰ თუ არ გამოიტანთ სასურველ განაჩენს»,
მითხარი, რას უზამ თავხედ სინეგოროსს?

დ ე მ ო ს ი

რას და ჩამოგვიდებ ყელზე ჰიპერბოლეს
და მერმე ორივეს ვისვრი ბარათრონში.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეს უკვე სწორია, კეთილგონივრული.
¹³⁶⁵ ქალაქის საქმეებს როგორღა წარმართავ?

დ ე მ ო ს ი

დიდი ხომალდების მენიჩბეები რომ
დაგვიბრუნდებიან, ხელფასებს გადავცემ.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ო, მრავალ გაცვეთილ საჯდომს გაახარებ!

დ ე მ ო ს ი

შემდეგ: ვინც ჰოპლიტა სიაში იქნება,
¹³⁷⁰ ის ადგილს ვერაფრით ვეღარ გამოიცვლის.
თავიდან რომ იყო, ისევ იქ დარჩება.

მ ე ძ ე ხ ვ ე

აქ კი კლეონიმეს ფარი დაილეწა!

დ ე მ ო ს ი

უწვერო ვერავინ მოვა აგორაზე.

მ ე ძ ე ხ ვ ე

სად იხეტილებს კლისთენე, სტრატონი?

დ ე მ ო ს ი

¹³⁷⁵ იმ ბიჭებს ვგულისხმობ, მუშკ-ამბრის ფარდულში

რომ სხედან და ასე ლაყბობენ მუდმივად:

«ბრძენია ფეაქსი, უკვდავი გონების,
დიდი მჭევრმეტყველი, დიდი პრაქტიკოსი,
ნაღდი ლოგიკოსი და პოლემიკოსი,

¹³⁸⁰ პასუხის გამცემი, სუფთა «ტვინიკოსი».

მ ე ძ ე ხ ვ ე

მაგ ტლიკინიკოსებს არაფერს არ ეტყვი?

დ ე მ ო ს ი

მე მაგათ სუყველას გავყრი სანადიროდ
და შევაწყვეტინებ ამ ტყუილ ლაპარაკს.

მ ე ძ ე ხ ვ ე

მაშ, ახლა მიიღე სკამი დასაკეცი

¹³⁸⁵ და ბიჭიც, რომელიც ამას წამოიწყებს,

თუ გინდა, ეს ბიჭიც სკამად მოიხმარე.

დ ე მ ო ს ი

რა ბედნიერი ვარ! სულ, სულ ძველებურად.

მ ე ძ ე ხ ვ ე

ეს კიდევ რა არის! ჯერ ოცდაათწლიან
ზავს მოგცემ. მობრძანდი, ზავო, აქ, ძვირფასო.

შემოდის ნიმფა ზ ა ვ ი.

დ ე მ ო ს ი

¹³⁹⁰ ო, პატივდებულო ზევს, რა ლამაზია!

ძალმიძს კი მაგასთან ოცდაათწელობა?

თქვი, სად მოიპოვე?

მ ე ძ ე ხ ვ ე

მას პაფლაგონელი

შენ არ გიჩვენებდა და შინ გიმალავდა.

მე კი შენ გადმოგცემ, სოფელში წადი და
ესეც წაიყვანე.

დ ე მ ო ს ი

¹³⁹⁵ და პაფლაგონელს კი
ამ ბოროტებისთვის რითი გადაუხდი?

მ ე ძ ე ხ ვ ე

ო, დიდით არაფრით, – ხელობას გავუცვლი:
ჭიშკარში დადგება და ძეხვებს გაყიდის,
ძაღლის და ვირის ხორცს შეურევს ერთმანეთს,
¹⁴⁰⁰ დათვრება, კახპებთან მოჰყვება გინებას,
მერმე აბანოში ნარეცხ წყალს მიირთმევს.

დ ე მ ო ს ი

კარგი მოიფიქრე, ღირსია ნამდვილად!
კახპებს და მექისეს უყვიროს დღეიდან.
შენ კი წამობრძანდი და პრიტანიონში
¹⁴⁰⁵ დაბრძანდი ამ შხამის უწინდელ ადგილზე,
მიიღე სამოსი. ეს კი – წათრიეთ,
ხელობას შეუდგეს, ვინც მან შეურაცხყო,
იმ უცხოელებმა იქ რომ დაინახონ.

მსახიობები და გუნდი საზეიმო სვლით ტოვებენ ორქესტრას.

კომენტარები

აქარნელები

კომედია წარმოდგენილ იქნა ძვ. წ. 425 წ. ლენეებზე კალისტრატეს სახელით; კომედიოგრაფოსთა ტრადიციულ ასპარეზობაში მან პირველი ადგილი დაიკავა. მეორე პრემია მიენიჭა კრატინეს კომედიას «ქარიშხალში მოხვედრილნი», ხოლო მესამე ევპოლოსის «ახალმთვარეობებს».

«აქარნელები» წარმოადგენს მშვიდობის სადიდებლად და დასაცავად დაწერილ პირველ ნაწარმოებს მსოფლიო ლიტერატურაში.

ექვსი წლის სისხლიანი ბრძოლების შემდეგ ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია რაიმე გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას; მიუხედავად ამისა, ათენელები ბრძოლის ჟინით იყვნენ აღსავსე და მტკიცედ გადაეწყვიტათ ომის გაგრძელება. ასეთ სიტუაციაში გარკვეული სამოქალაქო ვაჟკაცობა იყო საჭირო სპარტელთა სასარგებლოდ ხმის ამოდებისა და შურისძიებამოწყურებულ მაყურებელთან მშვიდობაზე ლაპარაკისათვის. მხოლოდ კომედიის ავტორს შეეძლო, საკუთარი თავისათვის მსგავსი სითამამის უფლება მიეცა...

სტრუქტურული თვალსაზრისით, კომედია იმით გამოირჩევა, რომ მასში არ არის აგონი, ხოლო პაროდოსსა და პარაბასის შორის სამი ეპისოდია, რომელთაგანაც ერთს (ევრიპიდეს სცენა), ფაქტობრივად, დამოუკიდებელი ლიტერატურული პაროდის მნიშვნელობა აქვს.

სტრ. 5-6. *...ხუთი ტალანტი, კლეონს რომ სცენაზე ამოანთხევენ...* – დიკეოპოლისს მხედველობაში აქვს არისტოფანეს ჩვენამდე მოუღწეველი კომედია «ბაბილონელები», რომელიც დაიდგა ძვ. წ. 426 წ. დიდ დიონისიებზე. ამ პიესაში კლეონს ბრალად ედებათ მოკავშირე ქალაქთაგან ქრთამის აღება; მოქმედების მსვლელობაში მხედრები ქრთამს «ამოანთხევენდნენ» პერსონაჟ კლეონს.

სტრ. 11. *თ ე ო გ ნ ი ს ი* – არისტოფანეს თანამედროვე ტრაგიკოსი პოეტი, რომელსაც სიცივისა და ზედმეტი რაციონალიზმისათვის «თოვლი» შეარქვეს. შდრ. სტრ. 140.

სტრ. 13-14. მოსქე და დექსითეოსი კითარედები (კითარისტები) იყვნენ, პირველი – უნიჭო და მეორე – მეტად ნიჭიერი.

სტრ. 16. ქერისი ყოფილა უნიჭო ფლეიტისტი.

სტრ. 20. პნიქსი – მოედანი ათენში. აქ იმართებოდა სახალხო კრებები.

სტრ. 22. ...წითლად შეღებილ თოვს სუყველა გაურბის – სახალხო კრების დაწყებისას, ხელისუფალთა ბრძანებით, წითლად ახალშეღებილ თოვს ჭიმავდნენ აგორაზე და დაგვიანებულებს აიძულებდნენ პნიქსისაკენ წასულიყვნენ (ათენის სახელმწიფო ხელისუფლება განსაკუთრებით ზრუნავდა საჯაროობის პრინციპის განხორციელებისთვის. შემდგომში სახალხო კრებაზე ხალხის მოზიდვის მიზნით მოქალაქეებს გასამრჯელოც კი დაენიშნათ).

სტრ. 23. ...ადარც პრიტანები მოდიან... – უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო ათენში იყო ხუთასთა საბჭო (ბულე), რომელიც ამ პერიოდში ატიკურ ფილეთარიცხვის მიხედვით ათ ნაწილად იყოფოდა. ეს ნაწილები რიგრიგობით ხელმძღვანელობდნენ სახალხო კრებებს. საბჭოს მორიგე ნაწილის წევრებს პრიტანები ეწოდებოდათ.

სტრ. 46-49. ამფითეოსი (სიტყვასიტყვით «ნახევრადღმერთი») ცნობილი შარლატანი ყოფილა, რომელიც მოხერხებულად იყენებდა ათენელთა რელიგიურ გრძნობებს საკუთარი კეთილდღეობისათვის.

დემეტრემ აღზარდა ლეგენდარული ატიკელი უფლისწული ტრიპტოლე-მოსი. კელეოსი, გადმოცემის თანახმად, ყოფილა მეფე ათენის გარეუბან ელევისინისა, სადაც იმართებოდა მოსავლისა და ნაყოფიერების ქალღმერთ დემეტრესადმი მიძღვნილი მისტერიები.

სტრ. 61. მეფე – იგულისხმება სპარსეთის ხელმწიფე.

სტრ. 65. სინამდვილეში ევთიმენეს არქონტობა მოდის 437 წელზე, «აქარნელების» წარმოდგენამდე თორმეტი წლით ადრე. ელჩებს დღიურად უხდიდნენ ორო ობოლს და არა ორ-ორ დრაქმას, როგორც აქ გაზვიადებულად არის წარმოდგენილი (დრაქმაში ექვსი ობოლია).

სტრ. 68. კაისტროსი – მდინარე მცირე აზიაში.

სტრ. 82. ...ოქროს მთიანეთში... – სპარსეთი ანტიკურობის ელდორადო იყო. ირანში ახლაც არის ოქროს საბადოები, მაგრამ ოქროს მთები მხოლოდ ბერძნების წარმოდგენაში არსებობდნენ.

სტრ. 88. ...სამი კლეონიმეს ოდენა ფრინველი... – კლეონიმე ყოფილა უსირცხვილო დემაგოგი. არისტოფანე მრავალგზის ესხმის მას თავს, როგორც ლაჩარს, ღორუმცელასა და გარყვნილ ადამიანს.

სტრ. 118. კლისთენე – დიაცური ზნის ათენელი. არისტოფანეს თავდასხმათა მუდმივი ობიექტი. სიბირტიოსი – გიმნასტიკის მასწავლებელი, რომელიც მოსწავლეებს მკაცრ პირობებში ცხოვრებას აჩვენებდა, კომედიოგრაფოსმა ირონიულად მოიხსენია კლისთენეს მამად.

სტრ. 122. სტრატონი – კლისთენეს მეგობარი და მისივე მსგავსი პიროვნება.

- სტრ. 124. პ რ ი ტ ა ნ ი ო ნ ი – შენობა, რომელშიც მუშაობდა ათენის საბჭო (ბული) და ეწყობოდა ოფიციალური მიღებები. სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებებისათვის მოქალაქეს შეიძლება მინიჭებოდა პრიტანიონში სახელმწიფო ხარჯით სადილობის მაღალი პატივი (შდრ. «მხედრები», სტრ. 186).
- სტრ. 134. თ ე ო რ ე – კლეონის თანამოაზრე ათენელი პოლიტიკური მოღვაწე (იხ. «კრაზანები», სტრ. 42-61). ს ი ტ ა კ ლ ე – თრაკიის ერთ-ერთი ტომის ხელმწიფე. ბოსფორში თავისი პოზიციების გამყარების მიზნით ათენელები ცდილობდნენ მის მიმხრობას; ამისათვის სიტაკლეს ძეს მიენიჭა ათენის მოქალაქეობა, რაც ნახსენები აქვს პერსონაჟ თეორესაც (სტრ. 145).
- სტრ. 156. ა კ ა ტ უ რ ი ე ბ ი ს დღესასწაულზე ათენელ მოქალაქეებს თავიანთი შვილები შეჰყავდათ ფრატრიების სიებში; ზეიმის მონაწილეებს ძეხვით უმასპინძლდებოდნენ ხოლმე.
- სტრ. 156. ო დ ო მ ა ნ ტ ე ბ ი – სტრიმონსა და ნესტოსს შორის მცხოვრები ყველაზე უფრო სისხლისმსმელი და ველური თრაკიული ტომი.
- სტრ. 160. ...*ბ ე ო ტ ი ა ს სულ გადათელავენ და ააოხრებენ* – პელოპონესის ომში ბეოტია სპარტის მოკავშირე იყო და ათენის წინააღმდეგ იბრძოდა.
- სტრ. 163. თ რ ა ნ ი ტ ე ბ ი – ატიკური ხომალდის, ტრიერის ზედა რიგის მენიჩბეები, რომლებსაც ყველაზე გრძელი ნიჩბები ჰქონდათ. ტრანიტობა უმძიმესი პროფესია იყო მაშინდელ ფლოტში.
- სტრ. 181. მ ა რ ა თ ო ნ ე ლ ე ბ ი. მარათონის ბრძოლაში (ძვ. წ. 490 წ.) ათენელებმა დაამარცხეს სპარსეთის მრავალრიცხოვანი არმია. «მარათონელთა» თაობა, არისტოფანეს აზრით, განასახიერებს ბერძენ-სპარსელთა ომების დროინდელი ათენური დემოკრატიის ძალასა და სიმტკიცეს.
- სტრ. 195. დ ი ო ნ ი ს ი ე ბ ი – დღესასწაული, რომელიც ღმერთ დიონისეს საპატივცემულოდ იმართებოდა. თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ «სოფლის» (შემდგომში «მცირე») დიონისიები (ნოემბერ-დეკემბერში ტარდებოდა), ხოლო პისისტრატეს შემდეგ ამას დაემატა «ქალაქის» («დიდი») დიონისიები, რომლებიც ხუთ დღეს გრძელდებოდა (თებერვალ-მარტში).
- სტრ. 197. ...*სამი დღის საგზაღს...* – ახალწვეულებს, ჩვეულებრივ, სამი დღის სამყოფ საწოვავს აძლევდნენ.
- სტრ. 215. ფ ა ვ ლ ო ს კ რ ო ტ ო ნ ე ლ ი – ანტიკურობის სახელგანთქმული მორბენალი.
- სტრ. 241-279. დიკეოპოლისი ზეიმობს სოფლის დიონისიებს. ამ სცენაში ასახულია ფალიკური დღესასწაული და მისი პროცესია; ფალიკური სიმღერების წამომწყებთაგან, არისტოტელეს ცნობით, წარმოიშვა კომედია.
- სტრ. 260. კ ა ნ ე ფ ო რ ა (სიტყვა-სიტყვით, «კალათის მატარებელი») წინ მიუძღოდა საზეიმო პროცესიას. კანეფორას როლს ასრულებდნენ ნორჩი გოგონები, რომლებსაც თავზე ედგათ შესაწირავით სავსე კალათი.

სტრ. 263. ფ ა ლ ე ს ი – ნაყოფიერების ღვთაება.

სტრ. 377-382. ...*განა თვით კლეონმა შარშან არ მაწამა კომედიისათვის?!* – დიკეოპოლისის პირით აქ გველაპარაკება თვით არისტოფანე, რომელიც კომედია «ბაზილონელებისათვის» კლეონმა სამართალში მისცა; რადიკალური დემოკრატიის პარტიის ლიდერი ბრალს სდებდა კომედიოგრაფოსს, რომ ამ უკანასკნელმა დაამცირა ათენის სახელმწიფო ავტორიტეტი, როცა მოკავშირეთა თანდასწრებით თავს დაესხა პასუხისმგებელ პირებს (იხ. აგრეთვე, კომედიის ტექსტი, სტრ. 502-503).

სტრ. 387. *გირჩევ აიღო ჰიერონიმეს მუქ-ხშირ-უხეშ-თმა ზუჩი ჰადესის* – ჰიერონიმე ლირიკოსი და ტრაგიკოსი პოეტი, რომელიც სახეზე ჩამოყრილ გრძელ თმებს ატარებდა.

სტრ. 391. ს ი ზ ი ფ ე – ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟი, კორინთოს ლეგენდარული მეფე, რომელსაც მოუხერხებია თვით ღმერთების მოტყუება; მისი სახელი ანტიკურობაშივე იქცა მოხერხებულობისა და გამჭრიახობის სიმბოლოდ.

სტრ. 410-479. მთელი ეს სცენა წარმოადგენს ე ვ რ ი პ ი დ ე ს დრამატურგიის პაროდias. ე ნ ე ვ ს ი, ფ ი ლ ო ქ ტ ე ტ ე, ბ ე ლ ე რ ო ფ ო ნ ტ ი, ტ ე ლ ე ფ ე, ი ნ ო – ბერძნული მითოსის გმირებია, რომლებსაც ცხოვრებაში მრავალი ტანჯვა და განსაცდელი გადახდათ. ისინი არიან პროტაგონისტები (მთავარი მოქმედი პირები) ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიებისა. თ ი ე ს ტ ე ასევე ტანჯული მითოლოგიური გმირია; ევრიპიდეს იგი პროტაგონისტად ჰყავდა გამოყვანილი თავის ტრაგედიაში «კრეტელი ქალები». ყველაზე ხშირად არისტოფანეს პაროდირებული აქვს «ტელეფე», რომელიც ევრიპიდეს დაუდგამს ძვ. წ. 438 წ. (იხ. «აქარნელები», სტრ. 440-441, 445, 449-450, 457).

სტრ. 478. ...*ცერეცო მომეცი დედის მარაგიდან...* – არისტოფანე (და მას მხარს უბამენ სხვა კომედიოგრაფოსებიც, რომელთა შემოქმედებასაც ჩვენ მოღწეული ფრაგმენტების საშუალებით ვიცნობთ) რამდენიმე ადგილას ამტკიცებს, რომ ევრიპიდეს დედა ბოსტნეულითა და მწვანელით ვაჭრობდა. ამ ცნობების უტყუარობა ფრიად და ფრიად საეჭვოა.

სტრ. 508. მ ე ტ ე კ ო ს ე ბ ი – ათენსა და სხვა ბერძნულ პოლისებში: არამკვიდრი მოსახლეობა, რომელიც თავისუფალ ათენელებთან შედარებით შეზღუდული უფლებებით სარგებლობდა.

სტრ. 510-511. ...*დე პოსეიდონმა, ღმერთმა ტენარონის...* – ტენარონის კონცხთან, ლაკონიკის სამხრეთში, მდებარეობდა «მიწისმრყეველი» პოსეიდონის ტაძარი. დამანგრეველ მიწისძვრას სპარტაში ვარაუდობენ ძვ. წ. 466 წლისათვის (შდრ. პავსანია, '33, 25).

სტრ. 524-539. არისტოფანეს კომიკურად აქვს წარმოდგენილი პელოპონესის ომის დაწყების ერთ-ერთი საბაზი. ძვ. წ. 432 წ. პერიკლეს ინიციატივით მიიღეს კანონი, რომელიც ვაჭრობაში ათენის მეტოქე ქალაქის, მეგარის მკვიდრებს უკრძალავდა ათენის ნავსადგურითა და ბაზრებით სარგებლობას. ამ სავაჭრო ბლოკადამ მეგარა მძიმე ეკონომიკურ კრიზისამდე მიიყვანა.

- სტრ. 527. *...მერმე ასპასიას მოსტაცეს კახპები...* – მილეტელი ა ს პ ა ს ი ა იყო განათლებული და გონიერი ქალი, პერიკლეს მეუღლე, ყოფილი ჰეტერა, რომელსაც ქებით მოიხსენიებს სოკრატე პლატონის დიალოგში «მენექსენე». კომედიოგრაფობი ხშირად ესხმოდნენ მას თავს როგორც პიროვნებას, რომელიც, მათი აზრით, დიდ გავლენას ახდენდა «ოლიმპიელი» პერიკლეს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. კახპების მოტაცების ამბავი აშკარა ანეკდოტია.
- სტრ. 530. *განრისხდა პერიკლე და ოლიმპიელმა იელვა, იქუხა, შეძრა საბერძნეთი* – მეტსახელი «ოლიმპიელი» პერიკლეს მიენიჭა მისი ვაჟკაცური მჭევრმეტყველები-სათვის, არქიტექტურული ძეგლებისათვის, რომლითაც მან დაამშვენა ათენი, სამაგალითო მმართველობისა და ლაშქრის შესანიშნავი ხელმძღვანელობისათვის (შდრ. პლუტარქე, «პერიკლე», 8).
- სტრ. 542. ს ე რ ი ფ ო ს ი – ატიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მცირე კუნძული, რომელიც შედიოდა ათენის საზღვაო კავშირში. მისი მინიმალური მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი და ანდაზადაც ქცეულა.
- სტრ. 567. გ ო რ გ ო ნ ა – მითიური ფრთოსანი დიაცი-ურჩხული, რომლის დანახვაზეც ადამიანი ქვად იქცეოდა. როგორც ჩანს, ლამაქეს ფარზე მეტოქეების დაშინების მიზნით გორგონას თავი იყო გამოსახული.
- სტრ. 589. ტ რ ა ბ ა ხ ბ ა ქ ი ო ს ი – ასე გადმოვეცით არისტოფანესეული «კომპოლაგვდთოს» (კომედიოგრაფოსის მიერ შექმნილი სიტყვა).
- სტრ. 595. *...პათოსანი კაცი ვარ, უბრალო...* – დ ი კ ე ო პ ო ლ ი ს ი ე. წ. «მოლაპარაკე სახელია» და ბერძნულად «სამართლიან მოქალაქეს» აღნიშნავს.
- სტრ. 604. ქ ა ო ნ ი ა – მხარე ეპიროსში.
- სტრ. 606. კ ა მ ა რ ი ნ ა – სიცილიის ქალაქი.
- სტრ. 613. ე კ ბ ა ტ ა ნ ა – სპარსეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია. გასაოცარი სიმდიდრის ქალაქი.
- სტრ. 614. კ ე ს ი რ ა – საზოგადო სახელი პრეტენციოზული, ე. წ. «მაღალი საზოგადოების» დედაკაცისა.
- სტრ. 628. *...რაც კომედიის გუნდს ხელმძღვანელობს ჩვენი პოეტი...* – ანტიკურობაში პოეტი იყო თავისი პიესის დამდგმელი რეჟისორიცა და კომპოზიტორიც.
- სტრ. 637. «ი ო ს გ ვ ი რ გ ვ ი ნ ი თ შ ე მ კ უ ლ ი» – ათენელის ტრადიციული ეპითეტი, რომელიც პირველად იხმარა დიდმა ლირიკოსმა პინდარემ.
- სტრ. 653. ე გ ი ნ ა – ათენის მახლობლად მდებარე კუნძული. ანტიკური კომენტატორების მიხედვით, არისტოფანეს მამას ეგინაზე ჰქონია მიწის მცირე ნაკვეთი, რომელიც მემკვიდრეობით ერგო კომედიოგრაფოსს.
- სტრ. 685. ს ი ნ ე გ ო რ ო ს ი – სახელმწიფოს წარმომადგენელი სამართლის კარზე.
- სტრ. 688. ტ ი თ ო ნ ო ს ი – ბერძნული მითოლოგიიდან აღებული მიხრწნილი ბერიკაცის ეს სახელი საზოგადო სახელად იქცა.
- სტრ. 701. მ ა რ ფ ს ი ა – იმდროინდელი მოდური და ყბედი ორატორი.

სტრ. 704. თ უ კ ი დ ი დ ე – როგორც ჩანს, იგულისხმება პერიკლეს პოლიტიკური მოწინააღმდეგე, რომელიც 443 წ. გააძევეს ათენიდან. ათი წლის შემდეგ შინ დაბრუნებული თუკიდიდე, უკვე მიხრწნილი ბერიკაცი, ალბათ, სამართალში მისცეს. ამ პასაჟიდან ჩანს, რომ მას წაუგია პროცესი.

კ ე ფ ი ს ო დ ე მ ე ს შვილი, ქვემოთ მოხსენიებული ე ვ ა თ ლ ე – სოფისტებთან აღზრდილი მოდური ორატორი. სკვითს რომ უწოდებდა, არისტოფანე ამით ხაზს უსვამდა მის უცხოურ წარმოშობას.

სტრ. 709. ...*დედოფალს არ მოუთმენდა, ქალღმერთს არ დაინდობდა...* – იგულისხმება დ ე მ ე ტ რ ე. მიუხედავად მეცნიერთა დიდი მცდელობისა, ეს პასაჟი დღემდე დამაკმაყოფილებლად ახსნილი არ არის.

სტრ. 716. კ ლ ი ნ ი ა ს ძ ე – ალკიბიადე, იმ დროისათვის ჭაბუკი არისტოკრატი, შემდგომში სახელოვანი პოლიტიკური მოღვაწე, ანტიკურობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო ფიგურა. კომედიოგრაფოსებს არაერთგზის გაუკიცხავთ მისი მანკიერი მიდრეკილება მიწიერებისაკენ.

სტრ. 723-724. ...*ზედამხედველებად დაენიშნავ ბაზარში სამ ქამარს ლეპრედან* – ანტიკური სქოლიასტის მიხედვით, ბაზრის ზედამხედველები (აგორანომოსები) შეიარაღებულნი იყვნენ ტყავის ქამრებით თუ მათრახებით.

ლ ე პ რ ე შ ი, ათენის მახლობლად, ტყავს თრიმლავდნენ.

სტრ. 726. ...*მე სტელას მოვიტან, ამოკვეთილია ზედ ზავის პირობა* – ოფიციალური დადგენილებები ქვის ბოძებზე (სტელებზე) ამოიკვეთებოდა და იდგმებოდა კარგად გამოსაჩენ ადგილებში.

სტრ. 738. ...*უნდა მოვიფიქრო რ ა მ ე მ ე გ ა რ უ ლ ი ...* – მეგარაში ძვ. წ. '3 საუკუნეში, ზოგიერთი ცნობით, პირველად მატერიკულ საბერძნეთში აღმოცენდა კომედია, რომელიც ბალაგანურ წარმოდგენას ვერ გასცდა. «მეგარულ ხუმრობებს» ატიკელი კომედიოგრაფოსები მდარე პოეზიად მიიჩნევდნენ, თუმცა ხშირად თვითონვე იყენებდნენ მათ.

სტრ. 742. *ჰერმესს გეფიცებით...* – ვაჭრები, როგორც წესი, თავიანთ ღმერთს, ჰერმესს იფიცებდნენ.

სტრ. 747. ...*თითქოს გოჭები ხართ, შესაწირავები* – გოჭს დემეტრეს სწირავდნენ მისტერიებზე.

სტრ. 760. *მარილი გაკლიათ?..* – ძვ. წ. 427 წ. ათენელებმა დაიპყრეს მეგარის მახლობლად მდებარე კუნძული მინოა, სადაც საბადოებიდან მარილი მოიპოვებოდა (იხ. თუკიდიდე, ³³³, 51).

სტრ. 774. დ ი ო კ ლ ე იყო მეგარელთა ეროვნული გმირი.

სტრ. 801. *მუხუდოს თუ შეჭამთ?..* – მ უ ხ უ დ ო – «ერებინთოს». ეს სიტყვა მამაკაცის ასოსაც აღნიშნავდა.

სტრ. 807. *რას ახრამუნებენ! ძვირფასო ჰერაკლე!* – ჰ ე რ კ ა ლ ე ს ლორმუცელობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. შდრ. მაგალითად, «ბაყაყები», სტრ. 549 და შმდგ.

- სტრ. 826. ...*უფითილოდ აპირებ «ნათებას»?*.. – ორიგინალში სიტყვათა თამაშია: ზმნა «ფაინეინ» ნიშნავს «ნათებასაც» და «დაბეზღებასაც».
- სტრ. 839. კ ტ ე ს ი ა, როგორც ჩანს, მახეზღარი ყოფილა.
- სტრ. 846. ჰ ი პ ე რ ბ ო ლ ე – ლამპრების დამამზადებელი სახელოსნოს პატრონი, ომის ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე. კლეონის სიკვდილის შემდეგ, 422 წ. იგი გახდა რადიკალური დემოკრატიის ლიდერი. შინაპოლიტიკური ინტრიგების გამო 417 წ. გააძევეს ათენიდან და 411 წ. მოკლეს.
- სტრ. 849. კ რ ა ტ ი ნ ე – ძველი საბერძნეთის უდიდესი კომედიოგრაფოსი, არისტოფანეს უფროსი თანამედროვე. ' საუკუნის ოციან წლებში უკვე ღრმად მოხუცებული იყო; ეტანებოდა ღვინოს. მის უკანასკნელ კომედიაში «ბოთლი» («პტინე», 423 წ.), რომელიც არ შემონახულა, წარმოდგენილი ყოფილა მისი კანონიერი მეუღლის, კ ო მ ე დ ი ო ს ა და საყვარლის, ს მ ი ს კომიკური კამათი.
- სტრ. 854. პ ა ვ ს ო ნ ი – არისტოფანეს თანამედროვე ლატაკი მხატვარი. ჰქონია მეტად მახვილი ენა.
- სტრ. 855. ქ ო ლ ა რ გ ე ვ ს ე ლ ი ლ ი ს ო ს ტ რ ა ტ ე – ავენა და ლატაკი მოქალაქე. იხ. «მხედრები», სტრ. 1265-1268, «კრაზანები», სტრ. 788.
- სტრ. 860. ჰ ე რ ა კ ლ ე ბეოტიელთა ეროვნული გმირი იყო. მითის მიხედვით, იგი ბეოტიაში, კერძოდ, თებეში დაიბადა.
- სტრ. 862. ფ ლ ე ი ტ ა ბეოტიელთა საყვარელი ინსტრუმენტი ყოფილა.
- სტრ. 867. ი ო ლ ა ე (ვარ. იოლაოსი) – თებელი გმირი, ჰერაკლეს მეგობარი.
- სტრ. 880. კ ო პ ა ო ს ო ს ტ ბ ო ს (ბეოტიაშია) გველთევზა განთქმული იყო მთელ საბერძნეთში. ამ დელიკატესს არისტოფანე თითქმის ყველა კომედიაში ახსენებს.
- სტრ. 883. *შენ, კოპაისელთა ელჩო და ქალწულო...* – ესქილეს რომელიღაც ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიის პაროდია.
- სტრ. 886. ტ რ ი გ ო დ ი ა (სიტყვა-სიტყვით, «მთხლის სიმღერა». იგულისხმება, რომ ოდესღაც კომედიის პერსონაჟთა ნიღბები მთხლით იყო მოთხვრილი) – იგივეა, რაც კომედია.
- სტრ. 887. მ ო რ ი ქ ე – იმ დროის ცნობილი გურმანი.
- სტრ. 893-894. *სიკვდილიც ვერასდროს ვერ გამყრის... სტუმართან* – ევრიპიდეს «ალკესტისის» (სტრ. 367) პარატრაგედია.
- სტრ. 901. ფ ა ლ ე რ ო ნ ი – ათენის ერთ-ერთი ნავსადგური.
- სტრ. 905. *ორ ღმერთს გეფიცები...* – იგულისხმებიან ამფიონი და ძეთოსი, თებეს დამფუძნებლები. სპარტელებისთვის «ორი ღმერთი» იქნებოდა კასტორი და პოლიდეკსე.
- სტრ. 920-924. მანძილი ათენსა და პირეესის ნავსადგურს შორის სინამდვილეში შეადგენდა 10 კმ-ს.
- სტრ. 961. ზ ე დ ა შ ე ე ბ ი – მეორე დღე ანთესტერიების დღესასწაულისა, რომელიც დიონისეს საპატივცემულოდ იმართებოდა მარტის დასაწყისში. ამგვარად, კომე-

დიის მოქმედება, რომელიც მიმდინარეობდა სოფლის დიონისიების დროს (დეკემბერი), გადატანილია სხვა დროში.

სტრ. 980. **ჰარმოდოსი** – ათენელი გმირი, რომელმაც სამშობლო ტირანისაგან გაათავისუფლა. მისი გმირობა დაკავშირებულია სისხლისღვრასთან, რაზედაც ახლა აქარნელებს სიტყვის გაგონებაც არ უნდათ. მისი საპატივცემულო სუფრული სიმღერა ასე იწყებოდა: «საყვარელო ჰარმოდოს, არა, შენ არა ხარ მკვდარი» (შდრ. აქვე, სტრ. 1093).

სტრ. 989. **ქარიტი** – გრაციოზულობის ქალღმერთები.

სტრ. 991-992. *«პირმშვენიერო, უწინ, რად ვერ გამჩნევდი!»* – ლაპარაკია მხატვარ ძევქსისის სურათზე, რომელიც გამოფენილი იყო ათენში, აფროდიტეს ტაძარში.

სტრ. 1000-1003. *...ძველი წესისამებრ, ამ ზედაშეებზე უნდა სვათ სუყველამ* – სმაში შეჯიბრება შედიოდა ანთესტერიების დღესასწაულის პროგრამაში. ის, ვინც პირველი დაცლიდა თავის თასს, საჩუქრად ღებულობდა გვირგვინს და ღვინით სავსე ტივს.

სტრ. 1032. **პიტალე** – ათენელი ექიმი.

სტრ. 1082. **გერიონე** – სამი წლის მითიური გოლიათი, რომელიც დაამარცხა ჰერაკლემ.

სტრ. 1150. *...ანტიმაქეს... ვითომ პოეტს...* – პოეტი ანტიმაქე, როგორც კომედიის ტექსტიდან ჩანს, ერთხელ ქორეგოსი ყოფილა, ე. ი. მას ევალებოდა კომედიის გუნდის მატერიალური უზრუნველყოფა. წარმოდგენის შემდეგ მსახიობებისათვის ბანკეტის მოწყობა ყოფილა მიღებული. ანტიმაქემ, როგორც ჩანს, დაარღვია ეს ტრადიცია და არისტოფანეს გესლიან ენასაც ვეღარ გადაურჩა.

სტრ. 1169. *...შეხვედროდეს გალეშილი ორესტე და ქვა ჩაერთყას გოგრაში...* – ორესტემ, მიკენის ლეგენდარული მეფის, აგამემნონის ძემ დასთან, ელექტრასთან ერთად მამის მკვლელობისათვის შური იძია დედაზე – კლიტემნესტრაზე და მის საყვარელზე, ეგისტეზე. ამ სიუჟეტზე ანტიკურობაში შექმნილი იყო მრავალი ტრაგედია, მათ შორის ესქილეს «ორესტეა» (ტრილოგია) და სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიები, სახელწოდებით «ელექტრა». არისტოფანე ორესტეს უწოდებს ქუჩის მძარცველს.

მხედრები

კომედია დაიდგა ძვ. წ. 424 წ. ლენეებზე. არისტოფანე პირველად მონაწილეობდა ასპარეზობაში საკუთარი სახელით და გამარჯვება მოიპოვა. მეორე იყო მოხუცი კრატინე თავისი «სატირებით», მესამე – არისტომენესი «ტყისმჭრელებით».

ბედმა იწევა, რომ დემაგოგი კლეონი ათენის ფაქტობრივი გამგებელი გამხდარიყო. განსაკუთრებული დამსახურებებისათვის მან მიიღო პრიტანიონში კვების უფლება და ადგილი თეატრის პირველ რიგში – ე. წ. «პროედრია». არისტოფანე, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა თავისი ძველი მტრის ასე აღზევებას.

სტრუქტურული თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ კომედიაში ორი აგონია (მცირე აგონი მესამე და მეოთხე ეპისოდებში შორის) და ორი პარაბასისი (მცირე პარაბასისი – მეხუთე ეპისოდისა და ექსოდოსს შორის).

სტრ. 1. პირველ მსახურში განსახიერებულა ათენელი მხედართმთავარი დემოსტენე, ალკისთენეს ძე, რომელმაც სახელი გაითქვა პელოპონესის ომში. მან 424 წელს აიღო პილოსი და კუნძულ სფაქტერიაზე დაამარცხა სპარტელები. ეს გამარჯვებები შემდგომში კლეონმა მიიწერა. სიცილიის ლაშქრობაში დამარცხების შემდეგ 413 წ. სექტემბერში დემოსტენე სიკვდილით დასაჯეს სირაკუზში. ზოგიერთ გამოცემაში პირველი მსახურის ნაცვლად წერია დემოსტენე, ხოლო მეორე მსახურის ნაცვლად ნიკია; პაფლაგონელის ნაცვლად კი – კლეონი (ამის საფუძველს იძლევა რამდენიმე ხელნაწერი და რამდენიმე, მაგალითად, გილბერტისა და ჰოლის ოქსფორდისეული გამოცემა. ჩვენ ვეყრდნობით ვ. კულონისეულ ტექსტს).

სტრ. 3. პაფლაგონელი – იგულისხმება კლეონი, კლეენეტეს ძე, დემაგოგი, რადიკალური დემოკრატიის პარტიის ლიდერი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ათენის ცხოვრებაში ძვ. წ. 429-422 წლებში.

პერიკლეს გარდაცვალების შემდეგ ბრწყინვალეებს სათავეში ჩაუდგა ნიკია, დემოს კი – კლეონი, «რომელმაც, მგონი, უფრო გახრწნა დემოსი თავისი ვნებაშლილობით და პირველმა დაიწყო საქადაგოდან ყვირილი და ლანძღვა-გინება» (არისტოტელე, ათენელთა პოლიტია. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, თბ. 1958). თუკიდიდეს დახასიათებით ჩანს, რომ კლეონი ყოფილა ენერგიული და მჭევრმეტყველი პოლიტიკოსი, მაგრამ მას არ ახასიათებდა არც სულის კეთილშობილება, არც ბრძნული წინდახედულობა და არც ღმობიერება.

სტრ. 6. მეორე მსახურში განსახიერებულა ათენელი მხედართმთავარი და ოლიგარქიის მეთაური ნიკია (ვარ. ნიკიასი), ნიკერატეს ძე (პლუტარქე, ნიკია, 2). ხალხმა იგი ორგზის აირჩია სტრატეგოსად, მაგრამ კლეონს მაინც მეტი გავლენა ჰქონდა. კლეონის სიკვდილის შემდეგ დაიდო ზავი (421 წ.), რომელიც ნიკიას ზავის სახელითაა ცნობილი. სიკვდილით დასაჯეს სირაკუზში 413 წ.

სტრ. 9. ოლიმპე – სახელოვანი მუსიკოსი. შექმნა ე. წ. «ნომოსები», რელიგიური ხასიათის სევდიანი მელოდიები ფლეიტისათვის (სქოლიასტი).

სტრ. 16. ევრიპიდეს «ჰიპოლიტოსის» სტრ. 345. ამ სიტყვებით მიმართავს ძიძას ფედრა, რომელსაც ვერ გაუბედავს გერისადმი თავისი უკანონო სიყვარულის გამჟღავნება.

სტრ. 18. ევრიპიდიდურად... – ასე გადმოვეციოთ დედნისეული «ევრიპიდიკოს», ევრიპიდესეული ბრწყინვალეებით.

სტრ. 19. ...*ნუ გაამჟავნებ!* – კომედიოგრაფოსების მიხედვით, ევრიპიდეს დედა მემწვანილე ყოფილა (შდრ. «აქარნელები», სტრ. 457).

სტრ. 42. პერსონაჟ დემოსში პერსონიფიცირებულია ათენელი ხალხი.

- სტრ. 44. *პ ა ფ ლ ა გ ო ნ ე ლ ი* – სადაურობის აღმნიშვნელი სახელია (ათენში ამ დროისათვის ბევრი მონა ყოფილა პაფლაგონიიდან). ამავე დროს, ეს სიტყვა გვაგონებს ზმნას «პაფლაძეინ», რაც «თუხთუხს» აღნიშნავს და კარგად მიგვანიშნებს დემაგოგ კლეონის მეტყველებასა და ხასიათზე (პაფლაგონელი ხომ კლეონის პერსონიფიკაციაა).
- სტრ. 52. *ტ რ ი ო ბ ო ლ ი* – წვრილი ფულია. კლეონმა, პოპულარობის მოპოვების მიზნით მოსამართლეებს (ჰელიასტებს) გასამრჯელო ერთიდან სამ ობოლამდე გაუზარდა.
- სტრ. 55. *პილოსში მოვზილე ცომი ლაკონური* – ალუზია დემოსთენეს მიერ პილოსში ლაკედემონელებზე მოპოვებული გამარჯვებისა, რომლის მთელი პატივიც კლეონმა უსირცხვილოდ მიიწერა.
- სტრ. 78. *ე ტ ო ლ ი ე ლ ე ბ ი* («აიტოლიოი») დასახელებული არიან, რათა მოგვაგონონ ზმნა «აიტეინ» – «თხოვნა» (კლეონი ხომ სულ მუდამ ფულს *მ ო ი თ ხ ო ვ დ ა*).
- სტრ. 79. *ქ ა ო ნ ი ე ლ ე ბ ი ს*, ეპირელი ხალხის სახელი ჩამოაგავს ზმნას «ქაეინ» (იგივეა, რაც «ქასკო») – «მოქნარება», რაც მინიშნებაა პერსონაჟის ხასიათზე, შდრ. «კრაზანები», სტრ. 1493. *კ ლ ო პ ი დ ე ლ ე ბ შ ი* იგულისხმებიან ატიკის დემის კლოპეიას მცხოვრებნი; სიტყვა ოდნავ ფორმაცვლილია იმ მიზნით, რომ დამსგავსებოდა სახელს «კლოფს» – «ქურდი» (მინიშნება კლეონზე).
- სტრ. 84. *ისე აღვესრულოთ, როგორც თემისტოკლე* – თუკიდიდეს ცნობით (1, 138, 4), თემისტოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა. არსებობს სხვა გადმოცემაც, რომლის მიხედვითაც იგი ხარის სისხლით მოწამლულა (ციცერონი, ბრუტუსი, 43).
- სტრ. 85. *სჯობს, სუფთა ღვინოთი დავლოცოთ ღვთაება* – ნადიმი იწყებოდა კეთილი ღვთაებისათვის ზედაშეს შეწირვით (შდრ. სტრ. 106).
- სტრ. 107. *პ რ ა მ ნ ი ო ს ი* – ღვინით განთქმული მხარე მცირე აზიაში.
- სტრ. 123. *ბ ა კ ი ს ი* – იმხანად მეტად პოპულარული წინასწარმეტყველი.
- სტრ. 129. *მ ე ნ ძ ი თ მ ო ვ ა ჭ რ ე* – ევკრატე, იხ. სტრ. 254 და კომენტარი.
- სტრ. 132. *ცხენებით მ ო ვ ა ჭ რ ე* – იგულისხმება ლისიკლე (შდრ. სტრ. 765).
- სტრ. 167. *პრიტანიონში... გოგოებს მიიყვან*. მოსალოდნელი იყო: *პრიტანიონში ისა-დილებ*.
- სტრ. 197-198. *როცა კი დაითრევს ბრჭყალებდაგრეხილი არწივი ტყავისა...* – შდრ. «ილიადა», სტრ. 200-204, სადაც აღწერილია ბრძოლა არწივსა და გველს შორის, რომელიც ქვეწარმავლის გამარჯვებით მთავრდება. დაგესლილი ფრინველი ტროელთა ბანაკში ვარდება.
- სტრ. 237. *...თასი ქალკისური...* *ქ ა ლ კ ი ს ი* – კუნძულ ევბეას მთავარი ქალაქი, სახელგანთქმული იყო ვერცხლისა და სპილენძის თასებით. ძვ. წ. 445 წ. არისტოკრატიული პარტიის წაქეზებით ევბეა ათენს აუჯანყდა; ეს აჯანყება ჩაახშო პერიკლემ.

სტრ. 243. სქოლიასტის მიხედვით, ს ი მ ო ნ ი და პ ა ნ ე ტ ი ო ს ი, ნახევარგუნდების წინამძღოლები, კომედიის დადგმის წელს მართლაც ყოფილან ჰიპარქოსები (მხედრიონის მეთაურები).

სტრ. 254. ე ვ კ რ ა ტ ე, ძენძით (შდრ. სტრ. 129) და ფქვილით (შდრ. სტრ. 696) მოვაჭრე; იყო სახალხო პარტიის მეთაური, პოლიტიკოსი და კომერსანტი, რომელიც პოლიტიკური წარუმატებლობით გამოწვეულ დარდს სავაჭრო წარმატებებით იქარვებდა ხოლმე.

სტრ. 268. *თქვენი სიმამცისთვის რამე ძეგლი დაგვედგა* – ძვ. წ. 425 წ. ათენელებმა ნიკიას მეთაურობით 80 ხომალდით მოაწყვეს ლაშქრობა კორინთოში. ლაშქარში შედიოდა 2000 ჰოპლიტი და 200 მხედარი. საბოლოო გამარჯვება სწორედ ათენელთა მხედრიონმა მოიპოვა; ამ გამარჯვებამ ლაპარაკი პარაზისის ანტეპირემაშიაც (სტრ. 595-610).

სტრ. 277. თ ა ფ ლ ი ს კ ვ ე რ ი ჩ ვ ე ნ ი ა – იდიომატური გამოთქმაა. ამ ნამცხვარს ჯილდოდ იღებდა გამარჯვებული მებრძოლი, რომელიც შეძლებდა, მთელი ღამე ფეხზე მდგარიყო (სქოლიასტი).

სტრ. 283. *ამის ნება პერიკლესაც არ ჰქონია არასდროს* – პერიკლეს არასოდეს უსადილია პრიტანიონში.

სტრ. 302. *...და მეათედს არ იხდის* – შესაწირის მეათედი ნაწილი პრიტანებს ეძლეოდათ (სქოლიასტი).

სტრ. 321. პ ე რ გ ა ს ი იყო ატიკის დემი ათენისა და აფიდნეს გზაზე. აფიდნედან იყო წარმოშობით მხედართმთავარი დემოსთენე.

სტრ. 327. ჰ ი პ ო დ ა მ ე ს ძ ე, არქეპტოლემე მიკუთვნებულია არისტოკრატიულ პარტიას და, როგორც მშვიდობისათვის მებრძოლი, იგი უპირისპირდება კლეონს. არქეპტოლემე სფაქტერიაზე გამარჯვების შემდეგ ხელმძღვანელობდა ელჩობას სპარტაში, რათა ლაკედემონელებისათვის ზავი შეეთავაზებინა. კლეონი ზავის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო (შდრ. აქვე, 394, 668-674, 794-796; «მშვიდობა», სტრ. 665-667 და სხვ.).

სტრ. 393-394. *ახლაც სხვისი მოსავალი მოიწია...* – მინიშნება პილოსში დემოსთენეს მიერ მოპოვებულ გამარჯვებაზე, რომლის «მოსავალი მოიწია», ე. ი. რომელიც მიიწერა კლეონმა. «ნაყოფში», რომელსაც გასაყიდად «აშრობს» კლეონი, იგულისხმებიან ლაკედემონელი ტყვეები; მათ გამოსასყიდად ახლობლებს დიდძალი თანხა უნდა გადაეხადათ.

სტრ. 400. ლ ო თ ი კ რ ა ტ ი ნ ე (შდრ. სტრ. 535) ლოგინში ისველებდა თურმე.

სტრ. 401. მ ო რ ს ი მ ე – უნიჭო ტრაგიკოსი პოეტი. იხ. «მშვიდობა», 480 და შმდგ., «ბაყაყები», სტრ. 150 და შმდგ.

სტრ. 438. *შენ თვითონ პოტიდეადან ათი ტალანტი არ გაქვს?* – შდრ. თუკიდისე, 1, 64, 10.

სტრ. 446. *...რომ შეურაცხვეს ქალღმერთი* – კ ი ლ ო ნ ი ს ა და მისი თანამგზავრების მკვლელები ქალღმერთ ათენას ტაძრის ახლოს იმალებოდნენ. მკვლელობა

მოხდა საკურთხეველთან; ამის გამო აღკმეონიდები და მათი შთამომავლობა ღვთისმგმობელებად და მკრეხელებად გამოაცხადეს.

სტრ. 447. *შუბოსანი... გყავდა ბაბუა* – შ უ ბ ო ს ნ ე ბ ი ტირანთა სატელიტები იყვნენ. ჰიპიას შუბოსნებმა მოკლეს ჰარმოდოსი, ათენის განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი.

სტრ. 449. *ჰიპიას ცოლის, ტყავ...რინეს* – სინამდვილეში ტირან ჰიპიას ცოლს მ ი რ ი ნ ე (მირსინე) ერქვა.

სტრ. 479. *ბეოტიელებს ... ანდობდით ყველაფერს* – «აქარნელებში» (სტრ. 860 და შმდგ.) არისტოფანემ აზრი გამოთქვა, რომ აღედგინათ ეკონომიკური ურთიერთობა ბეოტიასთან; «მხედრების» დადგამამდე ცოტა ხნით ადრე დემოსთენეს მოლაპარაკება ჰქონია რამდენიმე ბეოტიელთან ამ ქვეყანაში დემოკრატიის დამყარების თაობაზე. ბეოტია სახელგანთქმული იყო მაღალხარისხოვანი პროდუქტებით, მათ შორის ყველით.

სტრ. 495. *ს წ რ ა ფ ა დ ი ჩ ქ ა რ ე* – სახუმარო ვარიანტი ცნობილი გამოთქმისა «ნელა იჩქარე» (გავრცელებულია ამ გამონათქვამის ლათინური ვარიანტი «ფესტინა ლენტე»); შდრ., აგრეთვე, «ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე», სტრ. 277.

სტრ. 511. *ტ ი ფ ო ნ შ ი* (სიტყვა ნიშნავს «ქარიშხალს») იგულისხმება კლეონი.

სტრ. 520. *მ ა გ ნ ე ს ი* – ძველი ატიკური კომედიის ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელი.

სტრ. 526. *კ რ ა ტ ი ნ ე* – არისტოფანესთან და ევპოლისთან ერთად განიხილებოდა, როგორც ძველი ატიკური კომედიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. კომედოგრაფოსთა ასპარეზობებში მოუპოვებია ცხრა გამარჯვება.

სტრ. 529. აქ მოცემულია კრატინეს ერთ-ერთი პასაჟის პაროდია. *დ ო რ ო* (ხუმრობით) – ქრთამის ქალღმერთი. *ტ ე რ ფ ლ ე ღ ვ ი ა ნ ი* – მინიშნება მახეზღარზე ანუ სიკოფანტზე (ეს სიტყვა ეტიმოლოგიურად «ლელვის გამომჩენს» ნიშნავს).

სტრ. 534. *კ ო ნ ა ს ი* – დამამცირებელი მეტსახელია, რომელიც დიდ მუსიკოს კონოსს (სოკრატეს მუსიკის მასწავლებელს) მისცა კრატინემ.

სტრ. 546. *დაე, თერთმეტჯერ დაჰკრან ნიჩაბს* – ჩვეულებრივ, «ვაშას» დამახებამდე მხოლოდ ათეზის დაჰკრავდნენ ნიჩბებს.

სტრ. 561. *გ ე რ ე ს ტ ო ს ი* – კონცხი კუნძულ ევბეას სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში; აქ იყო პოსეიდონის ტაძარი.

სტრ. 562. ათენელთა ფლოტმა *ფ ო რ მ ი ო ნ ი ს* მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ნავაპეტესთან კორინთოელებზე 429 წელს.

სტრ. 566. ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, დიდი პანათენეების დღესასწაულზე პართენონში ათენასათვის შესაწირად მიჰქონდათ მდიდრული სამოსი *პ ე კ ლ ო ს ი*; მასზე წარჩინებულ ათენელ ქალთა მიერ ამოქარგული იყო ღმერთების გმირობათა ამსახველი სურათები.

სტრ. 574. *კ ლ ე ე ნ ე ტ ე* – კლეონის მამა.

- სტრ. 575. ქალაქისადმი დიდი დამსახურებისათვის მოქალაქეებს ეძლეოდათ
პ რ ო ე დ რ ი ა – ადგილი თეატრის პირველ რიგში.
- სტრ. 595. *ახლა გვინდა, ჩვენს ცხენებსაც საკადრისი მივუზღოთ* – მხედრების გუნ-
დი თავის ცხენებს მიაწერს საკუთარ ამბებს. შემდეგ მოცემულია თავის ქების მე-
ტად თავისებური, ასე ვთქვათ, «მოკრძალებული» ვარიანტი.
- სტრ. 608. თ ე ო რ ე კლეონის მომხრე და, ამდენად, მხედრების მტერი იყო. იგი სხვა-
განაც ხშირად ჰყავს მოხსენიებული არისტოფანეს ზიზლითა და სიძულვილით:
«აქარნელები», სტრ. 134; «ღრუბლები», სტრ. 400; «კრაზანები», სტრ. 42-51, 418 და ა.
შ.
- სტრ. 609. *კიბორჩხალა ღმერთს უხმობდა...* – ვარაუდობენ, რომ «კიბორჩხალა» კო-
რინთოელთა დასაცინი მეტსახელი იყო.
- სტრ. 615. ნ ი კ ო ბ უ ლ ე – ეტიმოლოგიურად «საბჭოზე გამარჯვებული».
- სტრ. 630. *კარგად რომ გამოძღნენ ტყუილმხალეულით...* – ტ ყ უ ი ლ მ ხ ა ლ ე უ -
ლი – ასე გადმოვეციტ დედნისეული ნეოლოგიზმი, რაც სიტყვა-სიტყვით «ცრუ-
ნაცარქათამას» ნიშნავს; ნაცარქათამა ერთგვარი ბოსტნეულია, მისი ჭამა ავადმყო-
ფობასა და ფერის დაკარგვას იწვევს. კომედიოგრაფოსს სურს თქვას: საბჭოს წევ-
რებმა დემაგოგის მიერ «შეკაზმული» ტყუილები რომ «მიირთვეს», მრისხანებისა-
გან გაფითრდნენ...
- სტრ. 634 და შმდგ. *პაწია ღმერთებო მატრებაზობისა...* – მსგავსი პერსონიფიკაცია
ხშირად გვხვდება ორატორებთან; შდრ. ესქინე, «კტესიფონტის წინააღმდეგ», 260:
«ო, მიწავ, მზეო, სათნობავ, გონიერებავ, აღზრდავ!»
- სტრ. 639. მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ მოცემული ნიშანი სასიკეთოდ ითვლებოდა.
- სტრ. 649. ო ბ ო ლ ი – ფულის ყველაზე წვრილი ერთეული ძველ საბერძნეთში, 1/6
დრაქმა.
- სტრ. 660. მ ო ნ ა დ ი რ ე არტემისის ეპითეტია. მარათონის ბრძოლის წინ ბერძნებმა
აღთქმა დადეს, იმდენი თხა შეეწირათ არტემისისათვის, რამდენ მტერსაც მო-
კლავდნენ; მაგრამ მოკლულ სპარსელთა რიცხვი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ
შეუძლებელი გახდა ამ აღთქმის მთლიანად შესრულება; მაშინ მიიღეს გადაწყვე-
ტილება, ყოველწლიურად შეეწირათ ხუთასი თხა და «დღესაც სწირავენ», დასძენს
ქსენოფონტი თავის «ანაბასისში».
- სტრ. 661-662. *...ათას თხის შეწირვის აღთქმა რომ მიგვეცა...* – კომიკურ ეფექტს ქმნის
ის, რომ მეძებვე მოითხოვს უჩვეულოდ დიდ მსხვერპლს; თევზის გაიაფებასთან
დაკავშირებით შესაწირავი თხების რაოდენობა ორგზის აღემატება მარათონის
ბრძოლაში გამარჯვებისათვის დაწესებულს.
- სტრ. 665. *გარეთ გაათრიეს იგი პრიტანებმა* – ათენელთა საბჭოში (ბულე) შედიოდა
ხუთასი წევრი (ბულევტი). ფილეთა რიცხვის მიხედვით საბჭო გაყოფილი იყო ათ
თანასწორ ნაწილად. წლის მეათედის განმავლობაში ბჭობდნენ ერთი ფილეს ბუ-
ლევტები, რომლებსაც ამ დროს ეწოდებოდათ პ რ ი ტ ა ნ ე ბ ი, ხოლო ამ მოვალეო-

ბის შესრულებას – პ რ ი ტ ა ნ ი ა. პრიტანები თავმჯდომარეობდნენ საბჭოსა და სახალხო კრებას.

სტრ. 699. ვ ე რ ა ფ რ ი თ ა ღ... ჭ ა მ ე – მოსალოდნელი «აღგავეს» ნაცვლად.

სტრ. 728. ჩემი ზეთისხილის გვირგვინი... – ზეთისხილის შტოზე ამაგრებდნენ ხილს და პიანეფსიონში (ოქტომბერი-ნოემბერი) ჰკიდებდნენ ყველა სახლის კარებზე, სადაც რჩებოდა მთელი წლის განმავლობაში.

სტრ. 762. ასწიე შენი «დელფინები»... – დ ე ლ ფ ი ნ ი – იგულისხმება დელფინის ფორმის მქონე ტყვიის მასა, რომელსაც მაღლა წევდნენ და შემდეგ მოწყვეტით უშვებდნენ მოწინააღმდეგის გემზე, რათა ჩაეძირათ იგი.

სტრ. 765. ლ ი ს ი კ ლ ე – ცხვრებით მოვაჭრე (მოხსენიებული ზემოთ, სტრ. 132). კ ი ნ ა და ს ა ლ ა ბ ა კ ქ ო ჰეტერები იყვნენ.

სტრ. 771. მ ი ტ ო ტ ო ს ი – ძველი ბერძნული ეროვნული კერძი პაშტეტის ტიპისა; მზადდებოდა ერთმანეთში შეხელილი ნივრის, ყველისა და თაფლისაგან.

სტრ. 772. ათენში ორი კ ე რ ა მ ი კ ო ს ი იყო: ე. წ. შიდა კერამიკოსი, უბანი, სადაც სამშობლოსათვის დაღუპულებს ასაფლავებდნენ და გარე კერამიკოსი, კახპების უბანი (სქოლიასტი). მეძებვე სწორედ ამ უკანასკნელს გულისხმობს.

სტრ. 894. ს ი ლ ფ ი ო ნ ი საკვებში გამოიყენებოდა; შემოჰქონდათ კირენაიკედან. იგი კუჭის აშლილობასა და გაზების გამოყოფას იწვევს (თეოფრასტე, მცენარეთათვის, 6, 3).

სტრ. 901. ...საქმე წითურის ნახელავია ნაღდად – ამ ადგილის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლეონი წითური იყო.

სტრ. 912. ტ რ ი ე რ ა რ ქ ო ბ ა (ხომალდის მეთაურობა) მეტად საპატიო მოვალეობად ითვლებოდა. ხომალდის მოწყობასა და მეზღვაურებისათვის ხელფასის გაცემას თვით სახელმწიფო კისრულობდა. რაც შეეხებოდა გემის შეკეთებას და ეკიპაჟის აღჭურვას, რაც საკმაოდ დიდ თანხას მოითხოვდა, ეს უკვე ტრიერარქის საქმე იყო; ამიტომ ამ მოვალეობას მდიდარ მოქალაქეებს აკისრებდნენ ხოლმე.

სტრ. 945. ო ბ ო ლ ი ა ნ ე ბ ი – ობოლის (წვრილი ფულია) მოდგმა – იგულისხმება ათენელი ხალხი.

სტრ. 978. ბაზარში რომ სასამართლოს აწყობენ და ბუზღუნებენ – პირველში, ათენის სავაჭრო ცენტრში იყო ბაზარი, სადაც თავს იყრიდნენ უსაქმურებიც, რომელთა დაუსრულებელი კამათი სასამართლოს მოაგონებს არისტოფანეს.

სტრ. 985. დორიული აქვს მიღებული განათლება – დორი ბერძნებისათვის იყო არა იმდენად მსუნაგობის ან სიბინძურის სიმბოლო, რამდენადაც უხეშობისა და გაუთლელელობისა.

სტრ. 994-996. რადგან ბავშვი ჰარმონიას არ სწავლობდა, თუკი იგი... დორიული არ იყო – ბერძნულ მუსიკაში ოთხგვარი წყობა იყო: დორიული, იონიური, ფრიგიული და ლიდიური, რომელთაც განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ. დორიული წყობა ითვლებოდა ყველაზე უფრო ვაჟკაცურად და მორალურად; იგი გამოიყენებოდა ტრაგედიის საგუნდო პარტიებში (შდრ. პლატონი, «სახელმწიფო», 3, 399;

- არისტოტელე, «პოლიტიკა», 8, 1). ერთი შეხედვით, გაუგებარია, რატომ ვერ ელეოდა პატარა კლეონი დორიულ მუსიკას; ყველაფერი გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ მექრთამეობის მუზას დ ო რ ო ერქვა (შდრ. ზემოთ, სტრ. 529).
- სტრ. 1004. ...*გლანისის – ბაკისის უფროსი ძმა გახლავთ* – მეძებვემ დაასახელა უცნობი პიროვნება. «გლანისი» თევზის სახელია, მაშინ როცა ბ ა კ ს ი სახელოვანი მისანი იყო.
- სტრ. 1015. ე რ ე ხ თ ე ვ ს ი – ათენის პირველი მეფე.
- სტრ. 1069. ...*ფილოსტრატეა... ძაღლმელა* – «ძაღლმელა» ფილოსტრატეს, საროსკიპოს მფლობელის, მეტსახელი იყო.
- სტრ. 1089. მ ე წ ა მ უ ლ ი ზ ღ ვ ა – სპარსეთის ყურე და ინდოეთის ოკეანე. ე კ ბ ა - ტ ა ნ ა – მიდიის მთავარი ქალაქი, სპარსეთისა და შემდგომში, პარტიის მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, სიმდიდრით სავსე ქალაქი, ბერძნების «ელდორადო» (შდრ. «აქარნელები», სტრ. 64).
- სტრ. 1103. თ უ ფ ა ნ ე ს ი – სქოლიასტის მიხედვით, კლეონის მდივანი.
- სტრ. 1121. *არც თქვენს თმებში არ იცდის...* – მხედრები გრძელ თმებს ატარებდნენ (შდრ. სტრ. 580).
- სტრ. 1150. ...*პირში ჩავჩრი კემოსს*. კ ე მ ო ს ი – კენჭისყრის ურნის ზედა ნაწილი, რომელიც ტირიფისაგან მზადდებოდა.
- სტრ. 1182. *ეს კვერი მიირთვი...* – კ ვ ე რ ი ს აღმნიშვნელი სიტყვა «მენიჩბესაც» ნიშნავდა.
- სტრ. 1237. *როგორ თქვი? შიგ გულში მომხვდა ორაკული!* – ტრაგედიის სტილია.
- სტრ. 1250-1253. *მშვიდობით, გვირგვინო, გტოვებ გულმოკლეული...* – ევრიპიდეს «ალკესტისის» პარატრაგედია. ევრიპიდესეული გმირი სიკვდილის წინ ასე ემშვიდობება თავის სარეცელს: «მშვიდობით, სარეცელო... სხვა ქალი დაგეუფლება, სიბრძნით ჩემზე ნაკლები, მაგრამ, შესაძლოა, უფრო ბედნიერი...» (ევრიპიდე, «ალკესტისი», სტრ. 177 და შმდგ.).
- სტრ. 1256. ფ ა ნ ო ს ი – კლეონის ამ მეგობრის სახელი (შდრ. «კრაზანები», სტრ. 1220) «მაბეზღარსაც» ნიშნავს.
- სტრ. 1257. სახელი ა გ ო რ ა კ რ ი ტ ო ს ი ნაწარმოებია არსებითიდან «აგორა» (ბაზრის მოედანი) და ზმნიდან «კრინეინ» (განსჯა).
- სტრ. 1267-1268. ლ ი ს ი ს ტ რ ა ტ ე და თ უ მ ა ნ ტ ი ს ი – ორი მარადმშიერი მოქალაქე.
- სტრ. 1278. ა რ ი გ ნ ო ტ ე – არისტოფანეს მეგობარი, შესანიშნავი კითარისტი ყოფილა; მისი ერთ-ერთი ძმა ნიჭიერ მსახიობად ითვლებოდა, მეორე ძმა კი, არიფრადე, ანაქსაგორას მოწაფე, უფრო თავისი ბიწიერებით ყოფილა ცნობილი (შდრ., აგრეთვე, «მშვიდობა». სტრ. 885).
- სტრ. 1287. პ ო ლ ი მ ნ ე ს ტ ე – სახელოვანი ლირიკოსი პოეტი და ფლეიტისტი ყოფილა (ძვ. წ. '3 ს.); დასახელებული ჰყავთ პინდარეს, ალკმანსა და პლუტარქეს. ი ო ნ ი ქ ე – უცნობი მუსიკოსია.

- სტრ. 1304. *ჰიპერბოლე* – ფარნებისა და ლამპრების გამყიდველი, ომის მომხრე დემაგოგი იყო. კლეონის სიკვდილის შემდეგ სათავეში ჩაუდგა რადიკალურ დემოკრატias.
- სტრ. 1312. *თესეიონი* – თესესის ტაძარი და «უმაღლეს ქალღმერთთა» (ევმენიდთა) სავანე – ორი ხელშეუხებელი თავშესაფარი. თესეიონს თავს აფარებდნენ გაქცეული მონები, რომლებიც ახალ პატრონს მოითხოვდნენ.
- სტრ. 1325. *არისტიდე და მილტიადე* – ბერძენ-სპარსელთა ომების ეპოქის გამოჩენილი ათენელი პოლიტიკური მოღვაწეები. მილტიადე ხელმძღვანელობდა ბერძნების არმიას მარათონთან მომხდარ ისტორიულ ბრძოლაში; არისტიდემ ჩამოაყალიბა საზღვაო კავშირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ათენი.
- სტრ. 1336. *რა კარგად მიყავი, სულ რომ გამომხარშე* – ოდესღაც მედეამაც «გამოხარშა» და გააახალგაზრდავა ესონი, იასონის მამა.
- სტრ. 1358. *სინეგოროსი* – იხ. «აქარნელები», სტრ. 715 და კომენტარი.
- სტრ. 1363. *...ვისვრი ბარათრონიში*. *ბარათრონი* – უფსკრული აკროპოლისის უკან; ბარათრონიში ისროდნენ დამნაშავეებს.
- სტრ. 1369. *ჰოპლიტი* – მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომარი.
- სტრ. 1370. *...ადგილს ვერაფრით ვეღარ გამოიცვლის* – ლაპარაკია იმაზე, რომ ხშირად თანამდებობის პირები ნაცნობ-მეგობრობითა თუ ანგარებით სამხედრო გაწვევის სიებიდან ამოშლიდნენ ხოლმე «თავის» ხალხს და სხვებს ჩაწერდნენ, რითაც არღვევდნენ არსებულ რიგს (შდრ. «მშვიდობა», სტრ. 1180-1185).
- სტრ. 1374. *კლისთენე და სტრატონი* დიაცური ბუნების ქოსა მამაკაცები იყვნენ.
- სტრ. 1377. და შმდგ. *ბრძენია ფეაქსი... დიდი პრაქტიკოსი, ნაღდი ლოგიკოსი და პოლემიკოსი...* – *ფეაქსი* – ყმაწვილკაცებში პოპულარული სოფისტი. სოფისტების მოსწავლეებს «-იკოს» დაბოლოებიანი ზედსართავეები განსაკუთრებით ჰყვარებიათ.